

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

ყოველკვარტალური გამოცემა  
QUARTERLY PUBLICATION  
ЕЖЕКВАРТАЛЬНОЕ ИЗДАНИЕ

ISSN 1512-0996

უ რ თ მ ე ბ ი

TRANSACTIONS

Т Р У Д Ы

№4(498)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ  
2015

## სარედაქციო კოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. კლიმაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, ს. ბიელეცკი (პოლონეთი), პ. ბიელიკი (სლოვაკეთი), თ. გაბადაძე, ჯ. გახოკიძე, ო. გელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, გ. გობში (გერმანია), ალ. გრიგოლიშვილი, ე. ელიზბარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, ო. ზუმბურიძე, პ. ზუნკელი (ავსტრია), დ. თავხელიძე, პ. თოდუა (რუსეთი), ბ. იმნაძე, ა. კევეალიკი (ესტონეთი), ი. კვესელავა, ტ. კვიციანი, ზ. კიკნაძე, თ. ლომინაძე, ი. ლომიძე, ა. მამალისი (საბერძნეთი), მ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, მ. მესხი, ა. მოწონელიძე, ლ. მძინარიშვილი, დ. ნატროშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნოზაძე, გ. სალუკვაძე, ქ. ქოქრაშვილი, ე. ქუთელია, ა. შარვაშიძე, ს. შმიდტი (გერმანია), პ. შტროერი (გერმანია), მ. ჩხეიძე, ზ. წვერაიძე, თ. ჯაგოდნიშვილი, თ. ჯიშკარიანი.

## EDITORIAL BOARD:

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, J. Beridze, S. Bielecki (Poland), P. Bielik (slovakia), M. Chkheidze, E. Elizbarashvili, S. Esadze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. Gelashvili, A. Giginishvili, G. Gobsch (Germany), Al. Grigolishvili, B. Imnadze, T. Jagodnishvili, T. Jishkariani, A. Keevalik (Estonia), Z. Kiknadze, K. Kokrashvili, E. Kutelia, I. Kveselava, T. Kvitsiani, T. Lominadze, I. Lomidze, A.G. Mamalis (Greece), M. Matsaberidze, L. Mdzinarishvili, T. Megrelidze, M. Meskhi, A. Motzonelidze, D. Natroshvili, N. Natsvlivshvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Salukvadze, H. Stroher (Germany), H. Sunkel (Austria), S.M. Schmidt (Germany), A. Sharvashidze, D. Tavkhelidze, P. Todua (Russia), Z. Tsveraidze, Vl. Vardosanidze, O. Zumburidze, U. Zviadadze.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

А.И. Прангишвили (председатель), Л.Д. Климиашвили (зам. председателя), З.А. Гаситашвили (зам. председателя), А.Г. Абралава, Г.С. Абрамишвили, А.В. Абшилава, Т.А. Амброладзе, Е.Ш. Бараташвили, Т.В. Бацикадзе, С. Биелецки (Польша), П. Биелик (Словакия), Дж.Л. Беридзе, Вл.Г. Вардосанидзе, Т.Г. Габададзе, Дж.В. Гахокидзе, О.Г. Гелашвили, А.В. Гигинеишвили, Г. Гобш (Германия), Ал.Р. Григолишвили, Т.А. Джагоднишвили, Т.С. Джишкარიани, У.И. Звиададзе, О.Г. Зумбуридзе, Г. Зункел (Австрия), Б.Л. Имнадзе, И.С. Квеселава, Т.А. Квициани, А. Кеевалик (Эстония), З.Г. Кикнадзе, К.А. Кокрашвили, Е.Р. Кутелия, И.Б. Лომидзе, Т.Н. Ломинадзе, А. Мамалис (Греция), М.И. Мацабериძე, Л.Д. Мдзинარიшвили, Т.Я. Мегрелиძე, М.А. Месхи, А.Н. Моцонелиძე, Д.Г. Натрошвили, Н.В. Нацвлишвили, Ш.А. Немсаძე, Д.А. Нозაძე, Г.Г. Салукვაძე, Д.Д. Тавхелиძე, П. Тодуа (Россия), З.Н. Цвераიძე, М.М. Чхеიძე, А.М. Шарвашиძე, С. Шмидт (Германия), Г. Штроер (Германия), Э.Н. Элизбарашвили, С.Ю. Эсаძე.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015

Publishing House “Technical University”, 2015

Издательский дом “Технический Университет”, 2015

<http://www.gtu.ge>



Verba volant,  
scripta manent

# შინაარსი

## ბიზნესი, მართვა და აღრიცხვა

- ნ. ფაილოძე, ჟ. გაბარაევი. იმპორტის და ექსპორტის ოპერაციების აუდიტი.....9
- მ. მეტრეველი, ბ. ხოტენაშვილი. ტურიზმის ბავშვთა მსოფლიო ეკონომიკაზე.....18

## ქიმიური მრეწველობა და ტექნოლოგიები

- გ. ხიტირი, რ. კოკილაშვილი. მაღალუფქმური ლუმინოფორის მიღების ინოვაციური ტექნოლოგია .....26
- რ. ლაბაძე, გ. ხიტირი, რ. კოკილაშვილი, ა. სულამანიძე, ჯ. ქერქაძე. ამორტიზებული საპურავების უტილიზაციის ახლებური ხედა .....31
- ზ. ჯავაშვილი, თ. ჭეიშვილი. ალბილობრივი ბუნებრივი ქანების გამოყენებით ფორმირებული მასალების მიღება და შესწავლა ..... 37

## ქიმია

- პ. თუშურაშვილი, დ. ჩორგოლაშვილი, თ. ხუჭუა, ნ. კობალაძე, მ. ალელიშვილი, ე. გელაშვილი. გაცემითილი საავტომობილო საპურავების უტილიზაცია დაბალტემპერატურული პირობების შედეგად და მიღებული თხევადი პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური კვლევა..... 43
- ნ. ჩიჯავაძე, თ. ჭეიშვილი. მანბანუმისა და სპილენძის ოქსიდების შემცველი ამორფულ-კრისტალური მატრიცის მქონე მასალების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები ..... 50

## ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები

- დ. ჯაფარიძე, ზ. ჯაყელ-ხუნდაძე, ა. იოსელიანი. მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირება და მართვა ..... 55

## ენერგეტიკა

- გ. არაბიძე, ი. ფხალაძე. საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენარი..... 68

**ინჟინერია**

**ო. ხაზარაძე, ფ. ვერულაშვილი, ვ. ტურაშვილი.** მოქნილკედლიანი ლითონის  
შეღებნილი კოჭები..... 78

**მასალათმცოდნეობა**

**ა. მეტრეველი, ა. სულამანიძე.** ვოლტამპერული მასასიათმბლის აბეგა და ბანხილვა..... 84

**ო. მიქაძე, ი. ნახუცრიშვილი, ნ. მაისურაძე, თ. ლოლაძე.** ალუმინის ოქსიდის  
ფორმირებადი მსურვალმეღები შენაღნობების მაღალტემპერატურული ქანბვის  
კინეტიკა..... 88

**მ. ხუციშვილი, ლ. შენგელია.** პლასმური დაფრქვევის ეფექტურობის ამაღლება..... 93

**გ. ქაშაკაშვილი, ი. ქაშაკაშვილი, ბ. ქაშაკაშვილი.** ფოლადის წარმოების ინოვაციური  
ტექნოლოგია ..... 99

**მ. მიქაუტაძე, ალ. გორდეზიანი, ნ. კანთელაძე, ნ. კენჭიაშვილი.** საბრძოლო იარაღის  
ლულის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის კვლევა..... 110

**ა. სულამანიძე, გ. კახიშვილი.** კონტაქტური შეღებვის წერტილის  
აღბილმღებარების მართვა..... 116

**ი. ბერძენიშვილი, მ. სირაძე.** მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების  
ეფექტურობის ამაღლებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება ..... 122

**ავტორთა საძიებელი** ..... 128

**ავტორთა საწურაღებოდ**..... 129

# CONTENTS

## BUSINESS, MANAGEMENT AND ACCOUNTING

- N. Pailodze, J. Gabaraevi.** THE AUDIT OF OPERATIONS OF IMPORT AND EXPORT ..... 9
- M. Metreveli, B. Khotenashvili.** TOURISM INFLUENCE ON THE WORLD ECONOMY ..... 18

## CHEMICAL ENGINEERING

- G. Khitiri, R. Kokilashvili.** INNOVATION TECHNOLOGY OF OBTAINING HIGHLY EFFECTIVE LUMINOPHORE ..... 26
- R. Labadze, G. Khitiri, R. Kokilashvili, A. Sulamanidze, J. Kerkadze.** INNOVATIVE APPROACH TO  
RECYCLING OF SHOCKPROOF TIRE-CASING ..... 31
- Z. Javashvili, T. Cheishvili.** OBTAINING AND STUDY OF POROUS MATERIALS WITH THE USE OF LOCAL  
NATURAL ROCKS ..... 37

## CHEMISTRY

- P. Tushurashvili, D. Chorgolashvili, T. Khuchua, N. Kobaladze, M. Alelishvili, E. Gelashvili.** UTILIZATION OF  
SCRAP TIRES BY LOW-TEMPERATURE PYROLYSIS AND PHYSICAL-CHEMICAL EXAMINATION OF OBTAINED  
LIQUID PRODUCTS..... 43
- N. Chidzavadze, T. Cheishvili.** STUDY AND PROSPECTS OF APPLICATION OF AMORPHOUS-CRYSTALLINE  
MATRIX MATERIALS CONTAINING MANGANESE AND COPPER OXIDES ..... 50

## ECONOMICS, ECONOMETRICS AND FINANCE

- D. Japaridze, Z. Jakeli-Khundadze, A. Ioseliani.** OPTIMAL ECONOMETRICAL MODELLING AND MANAGEMENT  
OF FINANCIAL SUSTAINABILITY AT THE MAJOR ELECTRIC POWER PROCESSING INSTITUTION..... 55

## ENERGETICS

- G. Arabidze, I. Pkhaladze.** BUSINESS-AS-USUAL SCENARIO (BAU) FOR GEORGIAN ENERGY SECTOR  
DEVELOPMENT..... 68

## ENGINEERING

- O. Khazaradze, F. Verulashvili, V. Turashvili.** METALLIC COMPOSITE BEAM WITH FLEXIBLE WALL..... 78

## **MATERIALS SCIENCE**

<b>A. Metreveli, A. Sulamanidze. CONSTRUCTION AND CONSIDERATION OF CURRENT-VOLTAGE CHARACTERISTIC .....</b>	<b>84</b>
<b>O. Mikadze, I. Nakhutsrishvili, N. Maisuradze, T. Loladze. ON THE KINETICS OF HIGH-TEMPERATURE OXIDATION FOR ALUMINA FORMING HEAT-RESISTANT ALLOYS.....</b>	<b>88</b>
<b>M. Khutsishvili, L. Shengelia. IMPROVEMENT OF EFFECTIVENESS OF PLASMA SPRAYING .....</b>	<b>93</b>
<b>G. Kashakashvili, I. Kashakashvili, B. Kashakashvili. INNOVATIVE TECHNOLOGY OF STEELMAKING .....</b>	<b>99</b>
<b>M. Mikautadze, A. Gordeziani, N. Kanteladze, N. Kenchiashvili. RESEARCH OF TECHNOLOGICAL PROCESSES OF MANUFACTURING MUZZLES OF COMBAT WEAPON.....</b>	<b>110</b>
<b>A. Sulamanidze, G. Kakhishvili. CONTROLLING THE LOCATION OF PRESSURE CONTACT WELDING POINT.....</b>	<b>116</b>
<b>I. Berdzenishvili, M. Siradze. ORIENTED SOLUTION INCREASE THE EFFICIENCY OF MAJOR INFRASTRUCTURE PROJECTS.....</b>	<b>122</b>
<b>AUTHOR'S INDEX .....</b>	<b>128</b>
<b>TO THE AUTORS ATTENTION .....</b>	<b>129</b>

# СОДЕРЖАНИЕ

## БИЗНЕС, МЕНЕДЖМЕНТ И БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ

- Н.Р. Паилодзе, Ж.Р. Габараева. АУДИТ ОПЕРАЦИЙ ПО ИМПОРТУ И ЭКСПОРТУ..... 9
- М.Ш. Метревели, Б.Г. Хотенашвили. ВЛИЯНИЕ ТУРИЗМА НА МИРОВУЮ ЭКОНОМИКУ .....18

## ХИМИЧЕСКАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ И ТЕХНОЛОГИИ

- Г.Ш. Хитири, Р.Г. Кокилашвили. ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНОЛОГИЯ ПОЛУЧЕНИЯ  
ВЫСОКОЭФФЕКТИВНОГО ЛЮМИНОФОРА ..... 26
- Р.Д. Лабадзе, Г.Ш. Хитири, Р.П. Кокилашвили, А.К. Суламанидзе, Дж.В. Керкадзе. НОВЫЙ ВЗГЛЯД НА  
УТИЛИЗАЦИЮ АМОРТИЗИРОВАННЫХ ПОКРЫШЕК ..... 31
- З.Г. Джавашвили, Т.Ш. Чеишвили. ПОЛУЧЕНИЕ И ИЗУЧЕНИЕ ПОРИСТЫХ МАТЕРИАЛОВ С  
ИСПОЛЬЗОВАНИЕМ МЕСТНЫХ ЕСТЕСТВЕННЫХ ПОРОД..... 37

## ХИМИЯ

- П.Р. Тушурашвили, Д.Г. Чорголашвили, Т.Т. Хучуа, Н.З. Кобаладзе, М.В. Алелишвили,  
Э.Г. Гелашвили. УТИЛИЗАЦИЯ ИЗНОШЕННЫХ АВТОМОБИЛЬНЫХ ШИН МЕТОДОМ  
НИЗКОТЕМПЕРАТУРНОГО ПИРОЛИЗА И ФИЗИКО-ХИМИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ПОЛУЧЕННОГО  
ЖИДКОГО ПРОДУКТА ..... 43
- Н.Л. Чиджавадзе, Т.Ш. Чеишвили. ИЗУЧЕНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ  
АМОРФНО-КРИСТАЛЛИЧЕСКИХ МАТРИЧНЫХ МАТЕРИАЛОВ, СОДЕРЖАЩИХ ОКСИДЫ МАРГАНЦА  
И МЕДИ..... 50

## ЭКОНОМИКА, ЭКОНОМЕТРИКА И ФИНАНСЫ

- Д.А. Джапаридзе, З.Н. Джакели-Хундадзе, А.М. Иоселиани. АДАПТИВНОЕ ЭНТРОПИЙНОЕ КОДИРОВАНИЕ  
МАССИВА ГЛАВНЫХ КОЭФФИЦИЕНТОВ ДИСКРЕТНОГО КОСИНУСНОГО ПРЕОБРАЗОВАНИЯ..... 55

## ЭНЕРГЕТИКА

- Г.О. Арабидзе, И.Э. Пхаладзе. СЦЕНАРИЙ РАЗВИТИЯ СЕКТОРА ЭНЕРГЕТИКИ ГРУЗИИ ТРАДИЦИОННЫМ  
ПУТЕМ БИЗНЕСА (BAU) ..... 68

## **ИНЖЕНЕРИЯ**

<b>О.Г. Хазарадзе, Ф.Г. Верулашвили, В.Ш. Турашвили. МЕТАЛЛИЧЕСКИЕ СОСТАВНЫЕ БАЛКИ С ГИБКОЙ СТЕНКОЙ.....</b>	<b>78</b>
--	-----------

## **МАТЕРИАЛОВЕДЕНИЕ**

<b>А.Б. Метревели, А.К. Суламанидзе. ПОСТРОЕНИЕ И РАССМОТРЕНИЕ ВОЛЬТ-АМПЕРНЫХ ХАРАКТЕРИСТИК .....</b>	<b>84</b>
---	-----------

<b>О.И. Микадзе, И.Г. Нахуцришвили, Н.И. Майсурадзе, Т.О. Лоладзе. О КИНЕТИКЕ ВЫСОКОТЕМПЕРАТУРНОГО ОКИСЛЕНИЯ ЖАРОПРОЧНЫХ СПЛАВОВ ОБРАЗУЮЩИХ ГЛИНОЗЕМ.....</b>	<b>88</b>
---	-----------

<b>М.Г. Хуцишвили, Л.Б. Шенгелиа. УЛУЧШЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ ПЛАЗМЕННОГО НАПЫЛЕНИЯ .....</b>	<b>93</b>
---	-----------

<b>Г. Б. Кашакашвили, И. Г. Кашакашвили, Б. Г. Кашакашвили. ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНОЛОГИЯ ПРОИЗВОДСТВА СТАЛИ.....</b>	<b>99</b>
--	-----------

<b>М.М. Микаутадзе, А.Г. Гордезиани, Н.В. Кантеладзе, Н.А. Кенчишвили. ИССЛЕДОВАНИЕ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ ИЗГОТОВЛЕНИЯ СТВОЛОВ БОЕВОГО ОРУЖИЯ .....</b>	<b>110</b>
---	------------

<b>А.К. Суламанидзе, Г.С. Кахишвили. УПРАВЛЕНИЕ МЕСТОРАСПОЛОЖЕНИЕМ ТОЧКИ КОНТАКТНОЙ СВАРКИ .....</b>	<b>116</b>
--	------------

<b>И.Г. Бердзенишвили, М.Г. Сирадзе. РЕШЕНИЕ, ОРИЕНТИРОВАННОЕ НА ПОВЫШЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ КРУПНЫХ ИНФРАСТРУКТУРНЫХ ПРОЕКТОВ .....</b>	<b>122</b>
--	------------

<b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ .....</b>	<b>128</b>
-------------------------------	------------

<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>	<b>129</b>
---------------------------------	------------

UDC 339.92

SCOPUS CODE 1401

## იმპორტის და ექსპორტის ოპერაციების აუდიტი

- ნ. ფაილოძე** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: n.pailodze@gtu.ge
- ჟ. გაბარაევი** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: girina83@yahoo.com

### რეცენზენტები:

**თ. როსტიაშვილი**, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: tamar\_rostiashvili@mail.ru

**ს. ბლიაძე**, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: sofo\_4@mail.ru

**ანოტაცია:** საგარეო ეკონომიკური საქმიანობა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. გლობალიზაციის პირობებში იმპორტის და ექსპორტის ოპერაციები ჩვენი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდა. ამ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის აქტიურად მონაწილეობის მიუხედავად, უამრავი პრობლემა არსებობს, რომლის გადაწყვეტაში არსებითი როლი აუდიტს ენიჭება. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სრულყოფილ და ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე სამეურნეო სუბიექტები. ასეთი ტიპის ოპერაციების აუდიტი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობის არეალი სცილდება ქვეყნის საზღვრებს. გასათვალისწინებელია ადგი-

ლობრივი, საერთაშორისო და იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელთანაც ხორციელდება საქმიანი ურთიერთობები. ამგვარად, აუდიტი მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა უნდა ჩატარონ. მათ მიერ მომზადებულ დასკვნებზე დამოკიდებულია ექსპორტის და იმპორტის ოპერაციების მოცულობა, რაც ეკონომიკური ზრდის და მდგრადობის საწინდარია.

**საკვანძო სიტყვები:** ექსპორტის ოპერაცია; იმპორტის ოპერაცია; საგარეო ეკონომიკური საქმიანობა.

### შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას მოჰყვა საკუთრების ფორმე-

ბის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების მრავალფეროვნება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად შეიცვალა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებიც. სამეურნეო სუბიექტებმა ისეთი საქმიანობა დაიწყეს, რაც საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფო ორგანიზაციების პრეროგატივად ითვლებოდა. უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო სუბიექტებმა დამოუკიდებლად დაიწყეს იმპორტის ოპერაციების განხორციელება და შემდგომ უკვე ექსპორტზეც გაიტანეს პროდუქცია. ეს თავისუფალი ნიშა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის კერძო კომპანიებმა წარმატებით აითვისეს და ახორციელებენ მის განვითარებას. იმპორტის და ექსპორტის ოპერაციები უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური საქმიანობაა ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან ქვეყანა იმპორტზეა დამოკიდებული და უარყოფითი ბალანსის შესამცირებლად მნიშვნელოვანია ექსპორტის ზრდაც.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, კერძოდ ექსპორტის და იმპორტის ოპერაციები ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის განხორციელება კერძო სამეურნეო სუბიექტებმა 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს.

**ძირითადი ნაწილი**

ტერმინი საგარეო ეკონომიკური საქმიანობა (სეს) ფართოდ გამოიყენება ჩვენს ქვეყანაში მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, თუმცა თავდაპირველად ეს მოიცავდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რაც თავისთავად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა. სეს-ის ცნება მოგვიანებით გაფართოვდა და მოიცვა არა მხოლოდ ნივთობრივი ვაჭრობა, არამედ სხვა ტიპის თანამშრომლობაც, როგორცაა კოოპერაცია სხვა

ქვეყნის კომპანიებთან, თანამშრომლობა მომსახურების სფეროში, საერთაშორისო გადაზიდვები, საბანკო მომსახურება, დაზღვევა და ა.შ.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაში თავისთავად იგულისხმება ეკონომიკის განვითარება, რაც უზრუნველყოფს მის მდგრადობასაც, ამ საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო კომპანიები. მაგალითად, საქსტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2007 წელს საგარეო ბრუნვამ შეადგინა 6444, ხოლო 2014 წლის მონაცემებით 11457 მლნ აშშ დოლარი. ეს ეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი პარამეტრია, მათი სიზუსტე არსებითია, ამიტომაც ამ ტიპის ოპერაციების აუდიტი მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნისთვის, ასევე იმ კომპანიებისთვის, ვინც ამ საქმიანობას ახორციელებს.

საგარეო ვაჭრობა მოიცავს სხვადასხვა საქონლის ან მომსახურების ექსპორტს და იმპორტს. ამ ფორმით ხდება ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობა: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, პარფიუმერია, კვების პროდუქტები და ა.შ. ასევე ამაში შედის ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა, როგორცაა ლიცენზიების, ფრანჩიზის გაყიდვა და სხვა. საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომსახურების სფეროს, რომელშიც შედის საბანკო სექტორის მიერ არარეზიდენტი პირებისთვის გაწეული მომსახურება, დაზღვევა, საერთაშორისო გადაზიდვები და ა. შ.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში გადაწყვეტი როლი სახელმწიფოს აკისრია. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, გაამარტივებს ბიზნესის წარმართვის შესაძლებლობას, შეძლებს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის შეღავათების შემოღებით წახალისოს ადგილობრივი წარმოება და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანა. ამ მხრივ მნიშვნელოვან საკანონმდებლო

ცვლილებად და ბიზნესის ხელშემწყობად შეგვიძლია ჩავთვალოთ საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილება, რომლითაც მეწარმეები გათავისუფლდნენ დღგ-ს გადასახადისაგან. ექსპორტის ოპერაციების დროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 პუნქტით ჩათვლის უფლებით დღგ-სგან გათავისუფლებულია საქონლის რეექსპორტი ან ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც განხორციელებულია დეკლარირება საქონლის რეექსპორტის ან საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ.

რომ გავერკვეთ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ამოცანებში, ფუნქციებსა და ანალიზის მეთოდებში უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ამ საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას შეიძლება ეწოდეს როგორც ცალკე აღებული იურიდიული პირი ან ცალკეული სამეურნეო სუბიექტი, ასევე ქვეყნები და რეგიონები, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ ნებისმიერი ფორმით და არ არსებობს შეზღუდვები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკანონმდებლო შეზღუდვა არსებობს.

გლობალიზაციის პირობებში მუდმივად ვითარდება და ფართოვდება ეკონომიკური ზონები, საწარმოების უმრავლესობა მიზნად ისახავს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. ამ ურთიერთობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მაგალითად, სხვა ქვეყნების ბაზრებზე გასვლას თან სდევს დამატებითი ხარჯები, როგორცაა სატრანსპორტო, იურიდიული, მარკეტინგული და სხვა, რომლებიც გასაწევია ახალი პროდუქტის დასაწერად ახალ ბაზრებზე. ამავდროულად ახალ ბაზრებზე გასვლისას ხდება შემოსავლების გაზრდა, კომპანიის განვითარება, ახალი ტექნოლოგიების გაზიარება, ახალი ინვესტიციების მოზიდვა, რენტაბელურობის ზრდა და ა.შ.

ბევრი კომპანია განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას ან სხვა ქვეყნის ბაზრებზე გასვლისას არ იყენებს ბაზრის წინასწარ ანალიზს, კომპანიის აუდიტს და ეყრდნობა საორიენტაციო პროგნოზებს და ზოგად მჩვენებლებს, რაც არასწორი მიდგომაა და ზოგ შემთხვევაში სავალალო შედეგებამდე მიყვავართ. ასეთი ტიპის აუდიტის ჩატარების მიზანია არა მხოლოდ ახალი ბაზრის შესწავლა და დასკვნის დადება თუ რამდენად რენტაბელურია განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა, არამედ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლაც, რამდენად მომზადებულია კომპანია გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს, აქვს თუ არა რესურსები როგორც მატერიალური, ასევე ახალი საკადრო ამოცანების სრულყოფილად შესასრულებლად. უპირველეს ყოვლისა, სხვა ქვეყნების ბაზრებზე გასვლისას მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლა, რომელშიც შესვლას და დამკვიდრებას აპირებს სამეურნეო სუბიექტი, გამოვლინდეს განსხვავება ადგილობრივ და უცხოურ კანონმდებლობას შორის, მათი ზეგავლენა კომპანიის შემდგომ განვითარებაზე, გათვალისწინებულ იქნეს ვალუტის საკურსო სხვაობები, შეფასდეს რისკები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს სამომავლო გეგმები.

ექსპორტის ოპერაციების ანალიზს და ძირითად მჩვენებლებს სახელმწიფო საბაჟო სამსახური გვაწვდის. საბაჟო სამსახური იყენებს აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდს – ანალიზის სტატისტიკურ, გრაფიკულ, საინდექსო, საბალანსო, საგარეო ვაჭრობის დინამიკურს და სხვა.

სტატისტიკური დაკვირვებით მიღებულ მჩვენებლებზე დაყრდნობით, შეუძლებელია სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარება. საჭიროა პირველადი მონაცემების სისტემატიზაცია, ყველა მონაცემის შეგროვების შემდეგ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დახარისხება.

სტატისტიკური მონაცემების ერთობლიობის დაყოფა ხდება ჯგუფებად, ჯგუფებისა კი – ოპერაციების ტიპებად.

საბაჟო სამსახურები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ინფორმაციის დაჯგუფებისას იყენებენ შემდეგ ქვეჯგუფებს: ზოგადი მონაცემები ექსპორტზე, ექსპორტის მონაცემები რევიონების მიხედვით, ექსპორტის მონაცემები ცალკეული ქვეყნების მიხედვით, საქონლის ექსპორტი ნომენკლატურების მიხედვით, საქონლის ექსპორტის მოცულობა თანხობრივად და რაოდენობრივად.

სტატისტიკური დაჯგუფებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საბაჟო რეჟიმების მიხედვით. სტატისტიკური მონაცემები ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რითაც შეგვიძლია გამოვაველინოთ მახვენებლების კანონზომიერება. მახვენებლების გარდა ანალიზში გვეხმარება დიაგრამები და გრაფიკები, რითაც მარტივდება პროცესების შესწავლა.

ექსპორტის ოპერაციების ანალიზის დროს ვიყენებთ შემდეგ მახვენებლებს: ექსპორტის საშუალო ზრდა და ზრდის ტემპები.

კვლევის მიზანია ზრდის დინამიკის მოდელირება და სამომავლო დინამიკის განჭვრეტა, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად დავგეგმოთ ეკონომიკური პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ მოდელირება გვაძლევს საკმაოდ სრულ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ზრდის პროგნოზირება და სამომავლო დაგეგმარება, მაინც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შიგა და გარე ბაზარს, რომლის მიმართ ჩვენი ეკონომიკა სენსიტიური რჩება. სწორედ აუდიტის მიზანია ამ მონაცემების სისტემატიზაცია და სიზუსტის დადგენა.

იმპორტი არის საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების საზღვარგარეთიდან შემოტანა, რომელიმე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე მათი ქვეყნიდან გატანის ვალდებულების გარეშე. იმპორტი იყოფა კატეგორიებად: ნივთობრივი, არამატერიალური. არამა-

ტერიალურში შედის სხვადასხვა მომსახურება, მაგალითად, ტურიზმი, დაზღვევა, გადაზიდვები, ფულადი გზავნილები და სხვა.

იმპორტის მოცულობა განისაზღვრება საქონლის იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან.

იმპორტის ოპერაციები შეგვიძლია გავანალიზოთ შემდეგი მიმართულებებით: სტრუქტურის, იმპორტიორების რაოდენობის, იმპორტის მოცულობისა და გადარიცხვების მიხედვით, მათი წილი საერთო გადარიცხვებში, ბანკის შემოსავლების მიხედვით – რა წილი უკავია მომსახურებაში, საბაჟო დეკლარაციების, ქვეყნების და პროდუქციის მიხედვით. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას სამეურნეო სუბიექტები ამყარებს საქმიან ურთიერთობას როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ კომპანიებთან, ბანკებთან, ახდენს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას და დებს ხელშეკრულებებს. კონტროლი ვალდებულებების ზუსტ და დროულ შესრულებაზე ხორციელდება ფინანსური აღრიცხვის მეშვეობით, რომელიც აღრიცხავს ექსპორტის და იმპორტის ოპერაციებს. განხორციელებული ოპერაციები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებს და ადგილობრივ კანონმდებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის საქმიანობის აუდიტის ძირითადი ამოცანებია:

1. შიგა კონტროლის სისტემის შესწავლა. კონტოლდება თუ არა ექსპორტის ან იმპორტის ოპერაციების აღრიცხვა სრულად;
2. საგარეო ვალდებულებების სწორად აღრიცხვა, რესურსების რაციონალური გამოყენება და შესაბამისობა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებთან;
3. შეუსრულებელი ვალდებულებებისა და დასახული ამოცანების შესრულება;
4. საგარეო ეკონომიკური ოპერაციების შედეგების საერთო შეფასება;
5. შიგა გამოყენებელი რეზერვებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასება.

საწარმოს მუშაობის შეფასებისას მნიშვნელოვანია ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლების გაანალიზება, რომლის დროს შესწავლილი უნდა იქნეს მაჩვენებლები ცალკეული ქვეყნების და წინა წლებში მიღებული შემოსავლების მიხედვით. რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლების შეფასებით ხდება იმ მიზეზის გამოვლენა, რომლის გამოც ვერ შესრულდა ან შემცირდა ექსპორტის ან იმპორტის მოცულობა, მაგ., ექსპორტის შემცირება ან არგაზრდა შეიძლება დამოკიდებული იყოს გადაზიდვის პრობლემებთან, როგორცაა პორტის გადატვირთულობა, აგრეთვე საკურსო ან სავალუტო შეზღუდვები, ცვლილებები საერთაშორისო ბაზარზე და ა.შ.

სამეურნეო სუბიექტები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ როგორც საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციის ხარისხზე, ასევე იმპორტირებულზეც. პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტვირთბრუნვის მოცულობაზე. აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროდუქციის ხარისხი, დაადგინოს მისი შესაბამისობა წარმოდგენილ სერტიფიკატებთან დოკუმენტურად (ხარისხის სერტიფიკატი, საექსპორტო დასკვნა და სხვა დოკუმენტაციებთან შესაბამისობა) და გამოავლინოს ფიზიკური ნაკლოვანებები, ასევე დაადგინოს ნაკლოვანებების მოცულობა მთლიან ექსპორტში ან იმპორტში, წუნდებული საქონლის დაბრუნება და ახლით შევსების ვალდებულების არსებობის შემთხვევაში რამდენად დროულად და სრულყოფილად მოხდა ზარალის ანაზღაურება.

იმპორტის ოპერაციების აუდიტის დროს აუდიტორმა უნდა შეისწავლოს იმპორტის მოცულობა, მიწოდების პირობები, ხარისხი და ამის საფუძველზე მოამზადოს სარეკლამაციო აქტები. ამ აქტის შედგენისას ფიქსირდება ყველა პრეტენზია ხარისხთან დაკავშირებით, წუნდებული პროდუქციის რაოდენობა, ზარალი. ზარალში იგულისხმება არა მხოლოდ პროდუქციის ღირებულება, არამედ ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირე-

ბულია პროდუქციის მიწოდებასთან და ხარჯები, რომლის გაწვევაც კომპანიას მოუწევს ამ ზარალის ასანაზღაურებლად. აუდიტორმა აგრეთვე უნდა გამოავლინოს კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიის შედეგები, რომელზეც პირდაპირაა დამოკიდებული ექსპორტის ან იმპორტის მოცულობა, რამდენად სწორად არის ან იყო დაგეგმილი მარკეტინგული ღონისძიებები, შესაძლებელია თუ არა გაყიდვების მოცულობის გაზრდა შერჩეული სტრატეგიით თუ საჭიროა სტრატეგიის შეცვლა. აუდიტმა საბოლოო დასკვნაში უნდა ჩაწეროს რეკომენდაციები ამასთან დაკავშირებით.

შემდეგი შესასწავლი საკითხია აუდიტის მიერ გაფორმებული კონტრაქტები, მათი შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ტვირთმომძრაობის დროს შედგენილი დოკუმენტების სისწორე და შიგა კონტროლის სამსახურების მიერ მათი სწორი აღრიცხვა – თუ რამდენად სწორად ასახავს ლოგისტიკის სამსახური ტვირთის მოძრაობას და არსებობს თუ არა ტვირთის დაზიანების ან დაკარგვის საშიშროება იმ ეტაპების გაელისას, სანამ ტვირთი მყიდველს ჩაბარდება. შესწავლის საგანია შემდეგი ოპერაცია და დოკუმენტაცია:

- ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტები, კონოსამენტი, ავიაზედღებული და ა.შ.;
- მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება ტვირთის მიღება პორტში ან საწყობში;
- მყიდველის მიერ გადახდილი თანხების შესაბამისობა მიწოდებულ პროდუქციასთან;
- მყიდველის დასტური საქონლის მიღებაზე დანაკლისის ან ზედმეტობის შემთხვევაში, ასევე წერილობითი პრეტენზიის არსებობა.

აუდიტის ყურადღების საგანია – რამდენად სწორადაა ბუღალტრის მიერ ეს ოპერაციები ასახული, ახდენს თუ არა კონტროლს ტვირთის გადაზიდვაზე, აკონტროლებს თუ არა თანხების გადახდისას შედგენილი დოკუმენტაციის სის-

წორეს და შესაბამისობას მიწოდებულ პროდუქციასთან ან გაწეულ მომსახურების ღირებულებასთან, ასახულია თუ არა ყველა ოპერაცია, საქონელი სუბანგარიშებზე, როგორცაა, მაგალითად, საქონელი გზაში ან ხდება თუ არა იმ დამატებითი ხარჯების სრულყოფილად და სწორად ასახვა, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ წარმოებასთან, არამედ მიწოდებასთანაც – გადასახადები, ტრანსპორტირების ხარჯი, დაზღვევა და სხვა. შესწავლის საგანია აგრეთვე გაწეული ხარჯების აუცილებლობა და გზები მათი შემცირების რენტაბელურობის გასაზრდელად, მიწოდებული პროდუქციის გადახდის პირობები და ვადები; მათი შესრულებისას ხდება თუ არა ამ ვადების დარღვევა და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ექსპორტის ოპერაციების დროს ყურადღება უნდა მიექცეს სხვაობას შიგა ბაზარზე გაყიდულ საქონლის ღირებულებასა და ქვეყნის გარეთ გაყიდულ საქონლის ღირებულებას შორის, რაც ექსპორტის ეფექტურობაზე მიუთითებს. როგორც წესი, ექსპორტი გათავისუფლებულია გადასახადებისგან. ეს საკითხიც შესწავლის ობიექტია – რომელი გადასახადებისგან არის ექსპორტი გათავისუფლებული და რამდენად სწორად არის გაანგარიშებული ექსპორტის დროს გადასახადები ან მოსაკრებლები; იმპორტის დროს საჭიროა შედარება საბაჟო სამსახურებთან, გადასახადებზე და გადახდილ გადასახადებთან დაკავშირებით.

აუდიტი ვალდებულია შეამოწმოს შემდეგი:

- აქვს თუ არა კომპანიას უფლება განახორციელოს ექსპორტის ან იმპორტის ოპერაციები;
- შედგენილი დოკუმენტების სისწორე ექსპორტის დროს;
- საბაჟო დეკლარაციის შესაბამისობა გაფორმებულ კონტრაქტთან;

- ჩარიცხული თანხების შედარება მიწოდებულ საქონელთან ან გაწეულ მომსახურების ღირებულებასთან;
- გადასახადების სწორი გაანგარიშება და დროულად გადახდა;
- წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების სისწორე;
- ექსპორტზე გაშვებული პროდუქციიდან მიღებული მოგების სწორი გაანგარიშება;
- ექსპორტის ოპერაციის დროს წარმოშობილი მოთხოვნების სწორი ასახვა კონსიგნაციით მიწოდების დროს;
- სხვა ქვეყანაში არსებული საწყოებიდან პროდუქციის მიწოდების სწორი აღრიცხვა და დროული ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში;
- გადასამუშავებლად ქვეყნის გარეთ გატანილი პროდუქციის სწორი აღრიცხვა, საბაჟო რეჟიმების სწორი აღრიცხვა;
- პროდუქციის შუამავლის დახმარებით გაყიდვის ოპერაციების სისწორე;
- იმპორტირებული საქონლის ღირებულების სწორი გაანგარიშება;
- გადასახადები გადასახადების გაანგარიშება ტვირთის განბაჟებისას;
- იმპორტის ოპერაციების დროს შედგენილი საბუთების შესაბამისობა განბაჟებულ ტვირთთან;
- უცხოურ ვალუტაში გაყიდული საქონლის სწორი ასახვა;
- რეექსპორტის ან ბარტერული ოპერაციების არსებობისას მათი სწორი და დროული ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში;
- სავალუტო ოპერაციების დროს შექმნილი ან გაყიდული უცხოური ვალუტის ოპერაციების სწორი ასახვა;
- ლიზინგის არსებობისას სალიზინგო ოპერაციების და ხელშეკრულების შემოწმება;

- საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის შემოწმება და არსებული შეცდომების აღმოფხვრა;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული ან გაცემული კრედიტების აღრიცხვა და მათი მიზნობრიობასთან შესაბამისობის შესწავლა, რათა თავიდან იქნეს აცილებული არამიზნობრივად მოზიდული სახსრების დახარჯვა.

### დასკვნა

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა ყოველდღე განიცდის ცვლილებებს. იზრდება ექსპორტის და

იმპორტის ოპერაციების მოცულობა და მათი ნაირსახეობა, ამიტომ საჭიროა ამ ტიპის ოპერაციებში მონაწილე სუბიექტების ინფორმირება, სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება, რაც დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდასა და სამომავლო ოპერაციების სწორ დაგეგმვაზე, თავიდან იქნება აცილებული დამატებითი ხარჯები. ასეთი ოპერაციების აუდიტი მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ცალკეული სამეურნეო სუბიექტებისთვის. ამ მიმართულებით აუდიტის განვითარებისათვის სახელმწიფო ხელშეწყობას გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი შედეგები მოჰყვება.

### ლიტერატურა

1. International Auditing Standards, Tbilisi, 1998. (In Georgian).
2. The Law on Entrepreneurs, Tbilisi, 1994. (In Georgian).
3. <http://notes4.state.ak.us/wa/postapps.nsf/JobsByDept?OpenView>.
4. <http://MUNI-AUDITS@OSC.STATE.NY.US>.
5. <http://www.dpi.state.wi.us/dpi/grants.html>.
6. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

**UDC 339.92**

**SCOPUS CODE 1401**

## **THE AUDIT OF OPERATIONS OF IMPORT AND EXPORT**

**N. Pailodze** Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: n.pailodze@gtu.ge

**J. Gabaraevi** Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: girina83@yahoo.com

### **Reviewers:**

**T. Rostiashvili**, associated professor, Department of business administration, faculty of business-engineering of GTU  
E-mail: tamar\_rostiashvili@mail.ru

**S. Bliadze**, associated professor, Department of business administration, faculty of business-engineering of GTU  
E-mail: sofo\_4@mail.ru

**ABSTRACT:** Externally, the economic activity is one of the most important sectors of the modern economy. With globalization, the operation of export and import became locomotive and driving force of our economy, despite the fact, that our country is an active participant in these processes there are many problems in this area, to solve these problems an important role is played by the audit. State structures, as individuals to make decisions necessary to have reliable and accurate information. Audit FEA-a is fairly complex and lengthy process, because range of activities exceeds the limits of state borders and the need to take into account both local legislation and international. Based on the data submitted by the audit planned operations on export and import, in turn, affect the growth of the economy. The study of this question is a positive impact on our economy.

**KEY WORDS:** export operation; foreign economic activity; import operation.

UDC 339.92

SCOPUS CODE 1401

## АУДИТ ОПЕРАЦИЙ ПО ИМПОРТУ И ЭКСПОРТУ

**Паилодзе Н.Р.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: n.pailodze@gtu.ge

**Габараева Ж.Р.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: girina83@yahoo.com

### Рецензенты:

**Т. Ростиашвили**, асоц. профессор Департамента бизнес-администрирования факультета бизнес-инженеринга ГТУ

E-mail: tamar\_rostiashvili@mail.ru

**С. Блядзе**, асоц. профессор Департамента бизнес-администрирования факультета бизнес-инженеринга ГТУ

E-mail: sofo\_4@mail.ru

**АННОТАЦИЯ:** Внешняя экономическая деятельность - одна из значимых отраслей современной экономики. В условиях глобализации операции по экспорту и импорту стали локомотивом и движущей силой нашей экономики. Несмотря на то что наша страна является активным участником этих процессов, существует масса проблем в этой сфере; в решении этих проблем важную роль играет аудит. Госструктурам, как и частным лицам, для принятия решений нужно иметь достоверную и точную информацию. Аудит ВЭД-а достаточно сложный и длительный процесс, т.к. ареал деятельности выходит за рамки гос. границ и надо учитывать как местное законодательство, так и международное. На основе данных, представленных аудитом, планируются операции по экспорту и импорту, которые, в свою очередь, влияют на рост экономики. Изучение этого вопроса положительно отразится на нашей экономике.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** внешнеэкономическая деятельность; операция импорта; операция экспорта.

UDC 339.92

SCOPUS CODE 1409

## ტურიზმის ბავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

- მ. მეტრეველი** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: marinametreveli@yahoo.co.uk
- ბ. ხოტენაშვილი** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: belakho88@yahoo.com

### რეცენზენტები:

- რ. ქინქლაძე**, სტუის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი  
E-mail: ruso1103@yahoo.com
- ნ. ნადარეიშვილი**, სტუის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი  
E-mail: n.nadareish3005@gmail.com

**ანოტაცია:** ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიკური დარგია. მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმს წამყვანი როლი ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიგა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ დარგებზე, როგორებიცაა: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა. თავის მხრივ, ტურიზმის განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკურ-საკანონმდებლო და სამეცნიერო-ტექნიკური. ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყ-

ნის მოსახლეობის ცხოვრების დონე, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილის ზრდა, ეკონომიკური, პოლიტიკური სტაბილურობა. ამგვარად, ტურიზმი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია.

**საკვანძო სიტყვები:** მთლიანი შიგა პროდუქტი; მსოფლიოს ტურისტული ბაზარი; ტურისტული პროდუქტი; ტურიზმის განვითარება.

### შესავალი

მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე, XX საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში, ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის თვალსაზრისით, შესამჩნევი გარდატეხა მოხდა. შეიცვალა თავისუფალი დროის გამოყენებისადმი მიდგომა,

კერძოდ იმპლაგრა „ცხოვრების ხარისხის“ ამაღლების ტენდენციებმა – არა მხოლოდ შთაბეჭდილებისა და სიამოვნების მიღების ზოგადმა სურვილმა, არამედ იმატა მოთხოვნამ მკვეთრ შთაბეჭდილებასა და დახვეწილ სიამოვნებაზე.

ბუნებრივია, რომ თავისუფალი დროისადმი ასეთი მიდგომა შესაბამისად აისახა ტურისტული პროდუქტის მოთხოვნის ფორმირებაზეც.

ტურიზმზე მოთხოვნა მასობრივ ხასიათს ინარჩუნებდა. ტურიზმის მონაწილეებად ძველებურად რჩებოდნენ ელიტარული საზოგადოებისა და საშუალო ფენის წარმომადგენლები. შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ფენა ტურიზმში მხოლოდ XX საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩაერთო. ბაზარზე ცვლილებებს განსაზღვრავდა არა იმდენად შემოსავლის დონე, რამდენადაც ტურისტული მოთხოვნილების ხასიათი. მასობრივი კონვეიერული ტურიზმი, რომელიც გამოირჩეოდა მომსახურების სტანდარტული ფორმებით, შეიცვალა დიფერენცირებული ტურიზმით, რადგან უფრო სრულად ითვალისწინებდა ტურისტის მოთხოვნილებებს.

**ძირითადი ნაწილი**

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლება განაპირობებს დასაქმებულთა საშვებულებო დროის ზრდასა და საპენსიო უზრუნველყოფის მაღალ დონეს. ამ ქვეყნებში პენსიაზე გასვლა ხდება შედარებით ადრეულ ასაკში, იზრდება ფინანსურად დამოუკიდებელ მარტოხელათა რიცხვი, მომუშავე ქალთა რაოდენობა, შესაბამისად მატულობს გვიანი ქორწინებები, უშვილო ოჯახთა რიცხვი და ა.შ. ყველაფერი ეს იწვევს მოგზაურობაზე ადამიანთა სურვილის და შემდგომ უკვე მოთხოვნის ზრდას. დემოგრაფიულ და სოციალურ სტრუქტურებში ცვლილებები განაპირობებს მსოფლიოში მოგზაურობის მსურველთა რიცხვის ზრდას.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ცვლილებას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია სწავლობს, მათ რიცხვშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციათა კავშირი. 1980წ. აღნიშნულმა კავშირმა დაამტკიცა სოციალური ინდიკატორების სია, რომელშიც შედის ინდიკატორი „დრო და დასვენება“ – თავისუფალი დრო და მისი გამოყენება. ოჯახთა ხარჯების რაციონალურობის კრიტერიუმად გამოყენებულია გერმანელი ეკონომისტ ელჰარდო ენგელის კანონი, რომლის თანახმად, ოჯახის შემოსავლების ზრდასთან ერთად ეცემა დანახარჯების წილი კვებაზე, ხოლო დანახარჯების წილი ფუფუნების საგნებზე, კულტურულ და სხვა არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე შესამჩნევად იზრდება.

დღეს მიმდინარე პროცესებიდან მსოფლიო ტურიზმში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ტენდენციები:

- საერთაშორისო მასშტაბით ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა;
- ტურისტული ინდუსტრიის ცალკეული დარგების განვითარების წინმსწრები ტემპები;
- საერთაშორისო ტურიზმის როლის მკვეთრი ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში;
- შემომყვანი და გამყვანი ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვალებადი ხასიათი.

ზოგადად, ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე გამოიხატება: ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით, ტურიზმის ხვედრითი წილით ქვეყნის ექსპორტსა და საგადასხდელ ბალანსში, ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით, ტურიზმის განვითარებით მიღებული ახალი სამუშაო ადგილებით.

ტურიზმის დარგის უნიკალურობას განსაზღვრავს ისიც, რომ ტურისტების შემოყვანა მთლიანად მუშაობს ქვეყნის შიგა ბაზრის გაფართოებაზე. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ

აღნიშნეთ, ტურიზმი სხვადასხვა ხარისხით შეხებაშია ეკონომიკის მრავალ დარგთან და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

ტურისტული საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს ქვეყნების ორი ჯგუფი: 1. ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურისტს აგზავნიან, ვიდრე იღებენ (მიმწოდებელი ქვეყნები ანუ ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევა საერთაშორისო ტურიზმში მაღალი მიმდევლობითი უნარით) და 2. ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურისტს იღებენ, ვიდრე აგზავნიან (მიმღები ქვეყნები ანუ ქვეყნები, რომლებიც ტურიზმიდან ღებულობენ შემოსავლებს). მიმწოდებელ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ გერმანია, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, იაპონია, იტალია და სხვა, ხოლო მიმღებ ქვეყნებს – საფრანგეთი, ესპანეთი და სხვა.

### საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლები

2013 წელს საერთაშორისო ტურისტების შემოსვლის მაჩვენებელი 5%-ით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (1087 მლნ მსოფლიო მასშტაბით). 2012 წელს ჩამომსვლელთა რიცხვი შეადგენდა 1035 მილიონს, როდესაც ტურისტების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 1 მილიარდს. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური დაღმასვლისა, საერთაშორისო ტურიზმზე მოთხოვნამ მოლოდინს გადააჭარბა და 2013 წელს ჩამოსული ტურისტების რაოდენობა 52 მლნ-ით გაიზარდა.

ევროპამ 2013 წელს 29 მილიონზე მეტ საერთაშორისო ტურისტს უმასპინძლა, დაიკავა მოწინავე პოზიცია და ჯამური მაჩვენებელი 563 მილიონამდე გაზარდა. დაფიქსირდა 5%-იანი ზრდა, რამაც ამ რეგიონში 2005–2012 წლების (2.5%-იანი ზრდა) საშუალო მაჩვენებელი გააორმაგა.

2014 წელს შენარჩუნდა ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია და მერყეობდა 4%–4,5%-მდე მსოფლიო მასშტაბით. გაეროს

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზით, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ტურისტების რიცხვი გაიზარდა 5 – 6 %-ით, აფრიკაში – 3 – 4 %-ით, ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში – 3 – 4 %-ით. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, მოსალოდნელია 0–5 %-იანი ზრდა, რაც გულისხმობს, რომ იმედის საფუძველი არსებობს, მაგრამ ზუსტი გათვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ტურისტთა უმეტესობა დასასვენებლად მოგზაურობს და უპირატესობას საჰაერო ტრანსპორტს ანიჭებს.

2013 წელს ტურისტთა ნახევარზე მეტმა (53%) საჰაერო ტრანსპორტით ისარგებლა, დანარჩენმა (47%) უპირატესობა სხვა ტიპის ტრანსპორტს მიანიჭა, აქედან 40% – საგზაო, რკინიგზა – 2% და საზღვაო – 5%. დროთა განმავლობაში შეინიშნება საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობის ზრდის ტენდენცია.

2013 წელს ტურისტთა უმეტესობამ იმოგზაურა დასვენების მიზნით და შეადგინა საერთაშორისო ტურისტების საერთო შემოსვლების ნახევარზე მეტი (52% ანუ 568 მლნ) მაშინ, როცა ტურისტების 14% საქმიანი და პროფესიული ვიზიტით შემოიფარგლა, 27%-მა იმოგზაურა მეგობრებისა და ახლობლების მოსანახულებლად, სამკურნალოდ, რელიგიური ან სხვა განზრახვით, ხოლო დარჩენილი 7%-ის მიზანი დაუდგენელია.

### შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან

2013 წელს, ვალუტის კურსის ცვალებადობისა და ინფლაციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 5%-ით გაიზარდა მსოფლიო მასშტაბით და მიაღწია 1159 მილიარდ დოლარს (873 მლრდ ევრო). საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ზრდა ადეკვატურად აისახა შემოსულ თანხებზე (+5%) და დაადასტურა მჭიდრო კავშირი საერთაშორისო ტურიზმის ამ ორ მთავარ ინდიკატორს შორის.

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 81 მლრდ დოლარით გაიზარდა (34 მლრდ ევრო). ეს შედარებით ნაკლები ზრდა გამოწვეული იყო დოლარის კურსის ვარდნით. 2013 წელს მსოფლიო მასშტაბით ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროპაში, რამაც შეადგინა საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების 42% და 35 მლრდ დოლარიდან 489 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (368 მლრდ ევრო), რაც განაპირობა ევროს, როგორც ვალუტის სიმყარემ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში.

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსულმა თანხებმა მსოფლიო მასშტაბით 31% შეადგინა და 30 მილიარდიდან 359 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (270 მლრდ ევრო). ამერიკის ქვეყნების წილი 20%-ს შეადგენს და შემოსავლები 16 მლრდ-იდან 229 მლრდ დოლარამდე გაიზარდა (173 მლრდ ევრო). ახლო აღმოსავლეთის წილია 4% (47 მლრდ დოლარი (36 მლრდ ევრო)), ხოლო აფრიკის – 3% (34 მლრდ დოლარი (26 მლრდ ევრო)).

ცხრილი 1

**შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან**

						შემოსავლები (დოლარში)			შემოსავლები (ევროში)		
						მლრდ	შემოსვლა	შემოსვლა	მლრდ		შემოსვლა
	10/09	11/10	12/11	13*/12	2013*				2012	2013*	
მსოფლიო	5.2	4.5	4.2	5.3	100	1,078	1,159	1,070	839	873	800
მზარდი ეკონომიკა	5.8	5.9	4.0	6.0	64.3	688	745	1,280	536	561	970
განვითარებადი ეკონომიკა	4.0	2.1	4.5	4.0	35.7	390	413	820	303	311	610
ევროპა	-0.2	4.9	1.9	3.8	42.2	454.0	489.3	870	353.4	368.4	650
აზია და წყნარი აუზის ქვეყნები	14.9	8.3	6.7	8.2	31.0	329.1	358.9	1,450	256.1	270.3	1,090
ამერიკა	4.2	5.1	5.7	6.4	19.8	212.9	229.2	1,360	165.7	172.6	1,030
აფრიკა	2.6	1.7	7.3	0.0	3.0	34.3	34.2	610	26.7	25.8	460
შუა აღმოსავლეთი	16.3	-17.2	2.2	-1.9	4.1	47.5	47.3	920	36.9	35.6	690

აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში, წინა წლების მონაცემებთან შედარებით, დაფიქსირდა ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (+8%), მათ

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (+8%), მათ

მოსდევს ამერიკა (+6%) და ევროპა (+4%). აფრიკაში შენარჩუნდა წინა წლების მაჩვენებელი, მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთში 2012 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 2%-ით დაეცა.

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები გულისხმობს მასპინძელ ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით გაწეულ დანახარჯებს, კერძოდ საცხოვრებელი ადგილისთვის, კვებაზე, ტრანსპორტზე, გართობაზე, საყიდლებზე და ასევე სხვა მომსახურებასა თუ პროდუქტზე. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯები მასპინძელი ქვეყნისთვის მოიაზრება, როგორც ექსპორტი, ხოლო ვიზიტორის ქვეყნისთვის იმპორტად მიიჩნევა. გადახდების ბალანსით შემოსული ტურისტების დანახარჯები “ტურისტულ კრედიტად” ითვლება, ხოლო მომსახურების ბალანსითა და დანახარჯებით ტურიზმი საზღვრებს გარეთ მოიაზრება, როგორც “ტურისტული დებიტი.” ბევრი ქვეყნისათვის ტურიზმი წარმოადგენს უცხოური ვალუტის მოზიდვის ძირითად წყაროს, რაც, თავის მხრივ, დიდ როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებაში, ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და ქვეყნის ზოგად განვითარებას.

გარდა საერთაშორისო ტურიზმიდან მასპინძელ ქვეყანაში შემოსავლებისა, ტურიზმი ასევე საექსპორტო შემოსავალს ქმნის საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების საშუალებით. 2013 წელს ამ უკანასკნელის საექსპორტო ღირებულებამ შეადგინა 218 მლრდ დოლარი, რამაც საერთო ტურისტული საექსპორტო შემოსავლები 14 ტრილიონ დოლარამდე გაზარდა (1 ტრილიონი ევრო), რაც დღეში საშუალოდ 3.8 მილიარდ დოლარს (2.8 მლრდ ევრო) შეადგენს.

საერთაშორისო ტურიზმი (მოგზაურობა და ტრანსპორტი) შეადგენს მსოფლიო მომსახურების ექსპორტის 29%-ს და მთლიანი სასა-

ქონლო და მომსახურების ექსპორტის 6%-ს. მსოფლიო ექსპორტის კატეგორიათა ჩამონათვალში ტურიზმს მეხუთე ადგილი უჭირავს საწვავის, ქიმიკატების, საკვებისა და საავტომობილო პროდუქციის შემდეგ, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – პირველი ადგილი.

მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ მარშრუტებზე საერთაშორისო ტურისტული შემოსვლებისა და დანახარჯების ტოპათეულში მხოლოდ მცირე ცვლილებები დაფიქსირდა.

2013 წელს საერთაშორისო ტურისტული შემოსვლებისა და დანახარჯების ტოპათეულში ორი ცვლილება დაფიქსირდა. შემოსვლების თვალსაზრისით, ესპანეთმა (61 მლნ) რეიტინგში მესამე პოზიცია დაიბრუნა, რომელიც 2010 წელს ჩინეთს (56 მლნ) დაუთმო. ტაილანდმა ტურისტული შემოსვლების თვალსაზრისით მეათე ადგილი დაიკავა და 5 პოზიციით მაღლა გადაინაცვლა, ხოლო ტურისტული შემოსავლებით 2 პოზიციით დაწინაურდა და მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდა.

მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნადი ტურისტული მარშრუტების რეიტინგის შედგენისას სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ერთზე მეტი მაჩვენებელი. საინტერესო ფაქტია, რომ ორი ძირითადი ტურისტული ინდიკატორის (საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები და საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსული თანხები) საფუძველზე შედგენილი ტოპათეულებიდან რვა ტურისტული მარშრუტი ფიქსირდება ორივე სარეიტინგო ჩამონათვალში, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება როგორც იმ ტურისტთა ტიპი, რომელსაც ეს მარშრუტები მოიზიდავს, ასევე თითოეული ვიზიტისას თითოეული დამით მათი დარჩენის ხანგრძლივობა თუ დანახარჯების ოდენობა. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების შემთხვევაში ცვლილებები ფიქსირდება

**მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნილი ტურისტული მარშრუტები**

	საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლები								საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლები				
	(1000)				ცვლილებები (%).საბაზრო წილი								საბაზრო წილი (%)
	2010	2011	2012	2013	11/10	12/11	13/12	2013	2010	2011	2012	2013	2013
კერძობა	484,842	516,020	534,376	563,441	6,4	3,6	5,4	100	411,361	464,733	454,047	489,253	100
ჩრდილოეთ ევროპა	62,654	64,480	65,088	68,862	2,9	0,9	5,8	12,2	59,353	66,323	67,631	74,210	14,3
დასავლეთ ევროპა	154,374	161,477	167,193	174,276	4,6	3,5	4,2	30,9	144,159	162,885	157,934	167,861	34,3
ცენტრალური	94,497	103,133	111,655	118,944	9,1	8,3	6,5	21,1	48,082	56,024	56,297	59,928	12,2
	173,317	186,930	190,441	201,3	7,9	1,9	5,7	35,7	159,767	179,50	172,185	187,254	38,3

არა მარტო ვიზიტის პირობების გათვალისწინებით, არამედ, გარკვეულწილად, მასზე აისახება ვალუტის გადაცვლის კურსის მერყეობა ამერიკულ დოლართან მიმართებაში.

ტაილანდმა ორი საფეხურით მაღლა აიწია საერთაშორისო ტურიზმით შემოსავლების რეიტინგში და დაიკავა მე-7 პოზიცია, ხოლო მე-10 ადგილით შევიდა ტოპათეულში ტურისტების შემოსვლის რაოდენობრივ რეიტინგში, კერძოდ 2013 წელს ტაილანდში შემოსული ტურისტების რიცხვი 19%-ით გაიზარდა და 27-მილიონიან მაჩვენებელს გაუტოლდა, ხოლო საერთაშორისო ტურიზმით შემოსავლები გაიზარდა 23%-ით და 42 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს, შემოსვლების რეიტინგში ინარჩუნებენ ძველ პოზიციებს და მე-7 და მე-8 ადგილებს იყოფენ, ხოლო საერთაშორისო ტურიზმით შემოსავლების რეიტინგში თითო საფეხურით დაქვეითდნენ და ამჟამად მე-8 და მე-9 პოზიციებს იკავებენ. რუსეთის ფედერაცია შემოსვლების

რეიტინგში მე-9 პოზიციაზე გვევლინება, ხოლო ჩინეთის ორი ადმინისტრაციული რეგიონი – მაკაო და ჰონგკონგი საერთაშორისო ტურიზმით შემოსავლების რეიტინგში მე-5 და მე-10 ადგილებს იკავებენ.

**დასკვნა**

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს, უდავოა ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი, როგორცაა: მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა; რეგიონალური ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეზერვების არსებობა, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების სტიმულირება და სხვა. ტურიზმს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ქვეყანაში განვითარდება კომპლექსურად, რაც ნიშნავს, რომ ტურიზმი ქვეყანაში სხვა დარგებთან ერთად და მათ პარალელურად უნდა განვითარდეს.

## ლიტერატურა

1. Metreveli M., Timothy D., „Tourism, Progress and Peace“, Chapter 9., „Effects of the August 2008 War in Georgia on Tourism and Its Resources“, Edited by I Kelly, University of Western Australia, Australia, O Moufakkir, Stenden University, Netherlands, 2010. (In English).
2. Metreveli M., The English-Georgian Explanatory Dictionary of Tourism. Tbilisi., 2006. (In Georgian).
3. Metreveli M., Tourism Economics and Politics. Tbilisi., 2011. (In Georgian).
4. UNWTO World Tourism Barometer (2013). (In English).
5. The Travel & Tourism, Report 2013. (In English).
6. <http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/regional%202015/world2013.pdf>
7. <http://www.wttc.org/research/economic-research/economic-impact-analysis/>
8. [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_TT\\_Competitiveness\\_Report\\_2013.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_TT_Competitiveness_Report_2013.pdf)

**UDC 339.92**

**SCOPUS CODE 1409**

## **TOURISM INFLUENCE ON THE WORLD ECONOMY**

- |                         |   |
|-------------------------|---|
| <b>M. Metreveli</b>     | Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: marinametreveli@yahoo.co.uk |
| <b>B. Khotenashvili</b> | Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: belakho88@yahoo.com         |

### **Reviewers:**

**R. Kiknadze**, professor, Department of business administration, faculty of business-engineering, GTU  
E-mail: ruso1103@yahoo.com

**N. Nadareishvili**, associated professor, Department of business administration, faculty of business engineering, GTU  
E-mail: n.nadareish3005@gmail.com

**ABSTRACT:** Tourism in is one of the leading and dynamic field. Many of the country's economy with tourism leading role in filling the state budget, gross domestic product and more job creation. Tourism influences on the fields of economy, such as transport, communications, construction, agriculture, industry, consumer goods and others. For one's fart the following factors influences on the development of tourism: demographic, natural-geographic, socio-economic, historical, cultural, religious, political, legal and scientific-technical. It is also important for the development of the tourism sector of the country's population living standards, the length of free time, an increase in the desire to accommodate with the needs of the cultural, economic, political stability and so forth. Thus, tourism acts as a catalyst for socio-economic development.

**KEY WORDS:** cross domestic product; tourist product; tourism development.

**UDC 621.397.2**

**SCOPUS CODE 1409**

## **ВЛИЯНИЕ ТУРИЗМА НА МИРОВУЮ ЭКОНОМИКУ**

**Метревели М.Ш.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: marinametreveli@yahoo.co.uk

**Хотенашвили Б.Г.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: belakho88@yahoo.com

### **Рецензенты:**

**Р. Кинкладзе**, ассоц. профессор Департамента бизнес-администрирования факультета бизнес-инженеринга ГТУ  
E-mail: ruso1103@yahoo.com

**Н. Надареишвили**, ассоц. профессор Департамента бизнес-администрирования факультета бизнес-инженеринга ГТУ  
E-mail: n.nadareish3005@gmail.com

**АННОТАЦИЯ:** Туризм является одной из ведущих и динамически развивающихся областей в экономике многих стран. Туризму принадлежит ведущее место в заполнении государственного бюджета страны, в создании валового внутреннего продукта и дополнительных рабочих мест. Со своей стороны, развитию туризма содействуют такие факторы: природно-географические условия, потенциал страны, культура, история, религия, экономика.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** валовой внутренний продукт; туристический продукт; развитие туризма.

UDC 621.3.032.3

SCOPUS CODE 1501

### მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ინოვაციური ტექნოლოგია

- გ. ხიტირი** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 1  
E-mail: guram2011@yahoo.com
- რ. კოკილაშვილი** გარემოს დაცვის ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: kokilashvilir@mail.ru

#### რეცენზენტები:

- ი. ჩიკვაიძე**, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი  
E-mail: iosebc@yahoo.com
- ზ. გელიაშვილი**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: z.geliashvili@gtu.ge

**ანოტაცია:** შემუშავებულია მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვით ხდება ლუმინოფორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ამაღლება და თვითღირებულების 26%-ით შემცირება. ეს მიღწეულია პეტროლეინის ეთერის გათხევადებული პროპან-ბუტანის ნარევიტ ჩანაცვლებით და ტექნოლოგიური პროცესის ექსტრაქციის დროს სოქსლეტის აპარატით შეცვლით. მნიშვნელოვანია, რომ ენერგოდანახარჯები გაცილებით ნაკლებია, რადგან პროპან-ბუტანის აორთქლება, პეტროლეინის ეთერთან შედარებით, გაცილებით ადვილია.

ძველი ლუმინოფორის ლუმინესცენციური მახასიათებლები ახალთან შედარებით გაცილებით დაბალია, რადგან პეტროლეინის ეთერი ხსნის

ფისოვანი ნივთიერებების მცირე რაოდენობას, ხოლო საყოფაცხოვრებო გაზი ფისოვანი ნივთიერების მიმართ ნაკლებად აქტიურია. ამიტომ, ახალი ლუმინოფორის ლუმინესცენციური ინტენსიურობა ორჯერ მაღალია და ეტალონ აზოტ-მჟავა-ურანილთან შედარებით 480% შეადგენს.

უნდა აღინიშნოს ახალი ლუმინოფორის გაცილებით დაბალი ფასი და არატოქსიკურობა, აგრეთვე დაბალი ჩარეცხვის უნარი და მაღალი სტაბილურობა.

იგი ლუმინესცენციური დეფექტოსკოპიის გარდა გამოიყენება ისეთ დარგებში, როგორცაა: მედიცინა, ბიოლოგია, ანალიზური ქიმია, კრიმინალისტიკა, ლუმინესცენციური საღებარეობის წარმოება, პოლიგრაფია და ა.შ. ახალი მაღალეფექტური ლუმინოფორი ხარისხის ყველა საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

**საკვანძო სიტყვები:** დეფექტოსკოპია; ინტენსიურობა; ლუმინესცენცია; ლუმინოფორი; სინთეზური.

**შესავალი**

**ლუმინოფორების მიმოხილვა**

ლუმინესცენციური დეფექტოსკოპია დაფუძნებულია ლუმინესცირებადი გამოსაცდელი სითხის – პენტრანტის (ლუმინოფორის ხსნარი გამხსნელში) თვისებაზე შეაღწიოს თვალით უხილავ ზედაპირულ დეფექტებში და შემდგომ ულტრაიისფერი დასხივებისას გაანათოს და აჩვენოს ნაკეთობაში არსებული დეფექტების ხასიათი და ადგილმდებარეობა [1].

ლუმინესცენციურ დეფექტოსკოპიაში გამოყენებულ სინთეზურ ლუმინოფორებს აქვს მაღალი ლუმინესცენციური თვისებები, მაგრამ იმავდროულად გამოირჩევა სიძვირითა და ტოქსიკურობით.

**ძირითადი ნაწილი**

პროექტის მიზანია მაღალდეფექტური, არატოქსიკური ლუმინოფორის იაფი ბუნებრივი ნედ-

ლეულიდან გამოყოფის, ჩვენ მიერ შემუშავებული, მარტივი ტექნოლოგიის დახვეწა და სალიცენზიო კონდიციამდე მიყვანა [2].

შემოთავაზებული ტექნოლოგიით მიღებულ ლუმინოფორს მაღალი საექსპლუატაციო მახასიათებლები გააჩნია – აქვს 1 მკმ-ზე ნაკლები სისქის ბზარების აღმოჩენის უნარი. მისი ნათების ინტენსიურობა ეტალონ აზოტმჟავა-ურანილის მიმართ 450–500% შეადგენს, ფერი მომწვანო-მოყვითალოა, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და, რაც მთავარია, აღნიშნული ტექნოლოგია დაფუძნებულია ადგილობრივი, იაფი ნედლეულის გამოყენებაზე. შემოთავაზებული ლუმინოფორი გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორცაა: ბიოლოგია, მედიცინა, ანალიზური ქიმია, კრიმინალისტიკა, პოლიგრაფია, ლუმინესცენციური საღებარების წარმოება და ა.შ.

ლუმინოფორის მისაღებად ჩვენ მიერ შეიქმნა ტექნოლოგიურად სრულყოფილი სპეციალური გამსხვილებული ლაბორატორიული დანადგარი, რომელიც ლუმინესცენციურ დეფექტოსკოპიაში სამრეწველო პირობებში გამოიყენება. მაგალითად, საავიაციო ქარხანაში, ვერტმფრენის ლიონის ნაკეთობების გამოსაცდელად [3].

**სხვადასხვა ლუმინოფორის დახასიათება**

მახასიათებელი	ინტენსიურობა, %	ფკ.	სტაბ. %	გამოს. %	ფეთქის T, °C	კოქსი, %	მჟ. რც. %	S, %	შენიშვნა
ნორიოლ A-400	480	1.2	80	54	330	3.8	0.05	0.24	არატოქს.
ნორიოლ-A	260	1	60	60	250	5.8	0.15	0.37	“_____”
“შუბეკოლი”	200	1.5	70	—	—	—	—	—	“_____”
“ლუ2”	300	3	45	—	—	—	—	—	ტოქსიკური
„ზიგლოუ“	350	3	30	—	—	—	—	—	ტოქსიკური
„პენტრექსი“	500	4.5	30	—	—	—	—	—	“_____”

### ტექნოლოგიის მოკლე აღწერა

ახალი მაღალეფექტური ლუმინოფორი მიიღება საექსტრაქციო დანადგარისგან, რომელიც შედგება: ექსტრაქტორისგან, ამორთქლებლისგან, კონდენსატორ-მაცივრისა და ბუფერული მოცულობისგან, გამსხნელის ექსტრაქტორში დასაბრუნებლად და სისტემაში მისი ცირკულაციის მიზნით (სურათი).



საექსტრაქციო დანადგარი

აღსანიშნავია, რომ ლუმინოფორი ძვირადღირებული დეფიციტური პროდუქტია, რომელიც ძირითადად სინთეზური გზით მიიღება და მათი უმრავლესობა ტოქსიკურია [4].

ამ ნაერთების წარმოების ტექნოლოგია რთულია და დიდ ენერგოდანახარჯებთანაა დაკავშირებული.

წარმოდგენილი ტექნოლოგიური პროექტი იაფია და არატოქსიკური, რადგან მიღებული ნაერთის ნარჩენი გუდრონისგან. შეუძლია დაიცვას მშენებლობა, ავიაცია, მანქანათმშენებლობა, ატომური ენერგეტიკა და ა.შ. დეფექტური კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებისგან, რითაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ავარიული შემთხვევის აღკვეთას და, შესაბამისად, უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას [5].

აღნიშნული ტექნოლოგიით, ლუმინოფორის გამოსავალი გუდრონიდან 54% შეადგენს, ექსტრაქციის დრო 5 საათია. ახალი ლუმინოფორი გამოირჩევა მაღალმოლეკულური ფისოვანი ნივთიერებების უმნიშვნელო რაოდენობით.

ასევე აღსანიშნავია, ლუმინოფორის მისაღებად გამოყენებულ გამსხნელ პროპან-ბუტანის ნარევის სიიაფე და ხელმისაწვდომობა, რომელიც აკმაყოფილებს ლუმინოფორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს.

### დასკვნა

დადასტურებულია ახალი ლუმინოფორის ეფექტურობა. მაღალი ლუმინესცენციური ინტენსიურობის და ფერის ფაქტორის – მომწვანო-მოყვითალო სპექტრის უბანში ნაკეთობის ზედაპირიდან სრული და ადვილად ჩარეცხვის უნარი. მაღალეფექტურ ლუმინოფორ ნორილ A-400-ის თვითღირებულება 26%-ით იაფია მის წინამორბედ ნორილ A-ზე.

მიღებულია დადებითი რეცენზიები სხვადასხვა გასაიდუმლოებული მანქანათმშენებელი ქარხნებიდან.

## ლიტერატურა

1. AC USSR 246762 L.D. Melikadze, B.K. Zanes "Method of Obtaining Oil for Luminescent Defectoscopy". Discovery, invention, industrial samples, trading marks, 1969, 21, 75. (In English).
2. Parent. Method of Obtaining Luminophor P4054, 2005. (In English).
3. Papok K. K., Ragozin N. A. Dictionary of fuels, oils, lubricants, additives and special liquids. Moscow. "Chemistry". 1975, p. 392. (In Russian).
4. Krasovitsky B. M., Bolotin B. M. Organic Luminophores. "Chemistry". 1984. 334. p. (In Russian).
5. Tyagunova G V. Yaroshenko Y.G. Ecology. Moscow. "Logos". 2005. 504. p. (In Russian).

UDC 621.3.032.3

SCOPUS CODE 1501

## INNOVATION TECHNOLOGY OF OBTAINING HIGHLY EFFECTIVE LUMINOPHORE

- G. Khitiri** Iv. Javakhishvili Tbilisi State University, institute of physical and organic chemistry, Georgia, Tbilisi, Chavchavadze avenue 1.  
E-mail: guram2011@yahoo.com
- R. Kokilashvili** Department of engineering of environmental protection and ecology, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: kokilashvilir@mail.ru

### Reviewers:

**I. Chikvaidze**, associated professor, Department of chemistry, exact and natural sciences TSU

E-mail: iosebc@yahoo.com

**Z. Geliashvili**, professor Department of chemical and biological technologies, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: z.geliashvili@gtu.ge

**ABSTRACT:** There is elaborated new technology for obtaining high-performance luminophor. It allows improving the quality of luminophor in compliance with the international standards and reducing cost price by 26 %. All this was reached by substitution of light petroleum with the liquefied mixture of propane and butane and by changing the technological process during the extraction by analogy with the Soxhlet apparatus principle. It is noticeable, that energy prices are rather less, because propane-butane mixture evaporates much easier, than light petroleum.

Luminescent characteristics of the old luminophore are much lower in comparison with the new one, because light petroleum dissolves small amount of resinous substances and domestic gas is less active in respect of resinous substance. Therefore luminescent intensity of the new luminophore is twice greater and amounts 480% in comparison with the standard uranyl nitrate.

The new luminophore is rather inexpensive in comparison with other synthetic variations. It is characterized by high stability and easy flushing ability

The new highly effective luminophore satisfies requirements of the international standards on quality. Besides, the luminescent defectoscopy is prospective in use in many fields of science and industry, such as medicine, biology, analytical chemistry, criminalistics, production of luminescent dyes, printing production, etc.

**KEY WORDS:** defectoscopy; intensity; luminescent; luminophore; synthetic.

**UDC 621.3.032.3**

**SCOPUS CODE 1501**

## **ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНОЛОГИЯ ПОЛУЧЕНИЯ ВЫСОКОЭФФЕКТИВНОГО ЛЮМИНОФОРА**

**Хитири Г.Ш.** Государственный университет им. Ив. Джавахишвили, Институт физической и органической химии, Грузия, Тбилиси, пр. Чавчавадзе 1  
E-mail: guram2011@yahoo.com

**Кокилашвили Р.Г.** Департамент защиты окружающей среды, инженерии и экологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: kokilashvilir@mail.ru

### **Рецензенты:**

**И. Чикваидзе**, ассоц. профессор Департамента химии факультета точных и естественных наук Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

E-mail: iosebc@yahoo.com

**Г. Двали**, З. Гелиашвили, профессор Департамента химической и биологической технологий факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: z.geliashvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Разработана новая технология получения высокоэффективного люминофора, благодаря которой качество люминофора повышается до международного уровня и себестоимость уменьшается на 26%. Это достигнуто путем замены петролейного эфира на сжиженную пропан-бутановую смесь, а также введением в технологический процесс принципа аппарата Сокслета на стадии экстракции. При этом уменьшаются энергозатраты, т.к. пропан-бутановая смесь испаряется гораздо легче петролейного эфира.

Люминесцентные характеристики старого люминофора намного слабее по сравнению с новыми, т.к. петролейный эфир, помимо люминофора, экстрагирует и смолистые вещества, а бытовой газ менее активен по отношению к смолам. Поэтому люминесцентная интенсивность нового люминофора вдвое выше и составляет 480% по сравнению с эталоном – азотнокислым уранилом.

Следует отметить значительное уменьшение стоимости нового люминофора по сравнению с другими синтетическими люминофорами. Новый люминофор характеризуется высокой стабильностью и легко смывается.

Новый высокоэффективный люминофор, который соответствует требованиям международных стандартов качества, кроме люминесцентной дефектоскопии применяется в таких отраслях как: медицина, биология, аналитическая химия, криминалистика, производство люминесцентных красителей, полиграфия и т.п.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** дефектоскопия; интенсивность; люминесценция; люминофор; синтетический.

UDC 621.11.012.553

SCOPUS CODE 1501

## ამორტიზებული საბურავების უტილიზაციის ახლებური ხედი

- რ. ლაბაძე** სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: labadze\_r123@mail.ru
- გ. ხიტერი** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
E-mail: guram2011@yahoo.com
- რ. კოკილაშვილი** სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: kokilashvilir@mail.ru
- ა. სულამანიძე** სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: arthuzsulamanidze@gtu.ge
- ჯ. ქერქაძე** სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: j.kerkadze@gtu.ge

### რეცენზენტები:

**ი. ჩიკვაძე**, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: iosebc@yahoo.com

**ზ. საბაშვილი**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**ანოტაცია:** ამორტიზებული საბურავების და რეზინის ყველანაირი ნარჩენის დასაწყობება, დამარხვა ეკონომიკურად არაეფექტურია და ეკოლოგიურად საშიში. ხანგრძლივი შენახვის პირობებში მეორეულ ნარჩენებს შეუძლია გარემოში გამოეყოს მომწამლავი ნივთიერებები, რაც თავისთავად დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამავ დროს, ამორტიზებული საბურავები ექსპლუ-

ატაციის ვადის ამოწურვის მომენტში განიცდის უმნიშვნელო ცვლილებებს. ეს კი საშუალებას იძლევა მეორეული გადამუშავებისას მივალწიოთ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ მიერ დამუშავებულია ამორტიზებული საბურავების გადამუშავების პიროლიზური მეთოდი, რომლის დროსაც საბურავები ტემპერატურის

ზეგავლენით უჰაერო სივრცეში იშლება მყარ, თხევად და აირად პროდუქტებად, რაც 300°C ტემპერატურაზე მიმდინარეობს.

სამუშაოში ნაჩვენებია, რომ ამორტიზებული საბურავების გადამუშავება მომგებიანია ორი მიმართულებით: პირველი ის, რომ ბუნებას იცავს დაბინძურებისგან და მეორე, მიიღება ისეთი სასარგებლო პროდუქტები, როგორცაა ღუმლის საწვავი, ნახშირი – კომპონენტი მასტიკისთვის, ბიტუმის წარმოებისთვის. აირი გამოიყენება, როგორც გამახურებელი აგენტი წარმოებაში დასაბრუნებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ამორტიზებული; ბრიკეტირება; ეკოლოგია; პიროლიზი; უტილიზაცია; „ღუმლის“ საწვავი.

**შესავალი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ მიერ დამუშავებულია ამორტიზებული საბურავების გადამუშავების პიროლიზური მეთოდი, რომლის დროსაც საბურავები ტემპერატურის ზეგავლენით უჰაერო სივრცეში იშლება მყარ, თხევად და აირად პროდუქტებად, რომელიც 300°C ტემპერატურაზე მიმდინარეობს. პიროლიზის შედეგად მიღებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამორტიზებული საბურავების გადამუშავება მომგებიანია ორი მიმართულებით: ერთი ის, რომ იცავს ბუნებას დაბინძურებისგან [1] და მეორე მიიღება ისეთი სასარგებლო პროდუქტები, როგორცაა ღუმლის საწვავი, ნახშირი – კომპონენტი მასტიკისათვის, ბიტუმის წარმოებისთვის, აირი გამოიყენება, როგორც გამახურებელი აგენტი წარმოებაში დასაბრუნებლად [2].

**ძირითადი ნაწილი**

პიროლიზის შედეგად მიიღება პროდუქტის ფრაქციული შედგენილობა APH-2 რექტიფიკაციის აპარატზე.

ფრაქციების მასისა თვითობები	გამოსავალი %	სიმკვრივე $\rho_{4}^{20}$	$n_D^{20}$	იოდის რიცხვი	უჯკერი მასური %	შენიშვნა
60-150	11,8	841	1,4696	77	30	
150-200	15,2	874	1,4892	70	30	
60-200	27	869	1,4850	90	35	
200-250	18	922	-			
250-300	11	955	-			
300-350	9,8	979	-			
>350	34,2	-	-			

შენიშვნა: ნარჩენი >350  $\nu_{80}$  – 3,87, T აფეთქების – 150°, T გამყარების – 16°.

ნაჩვენებია არომატული და არაარომატული ნახშირწყალბადების შემცველობის განსაზღვრა ქრომატოგრაფიული ანალიზით – ალურიონიზაციური დეტექტორის გამოყენებით. ფრ. 60–200°C %-ში შედის შემდეგი ნახშირწყალბადები: 1) ბენზოლი – 19,2; 2) ტოლუოლი – 12,9; 3) ეთილბენზოლი + მეტა-პარაქსილოლი – 12,8; 4) ორთოქსილოლი +  $C_9$  არომატული ნახშირწყალბადები – 6,4; 5) არაარომატული ნახშირწყალბადები – 48,6; 6) არომატული ნახშირწყალბადები – 51,4.

ამორტიზებული საბურავების და რეზინის ყველანაირი ნარჩენის დასაწყოება, დამარხვა ეკონომიკურად არაეფექტურია და ეკოლოგიურად საშიში. ხანგრძლივი შენახვის პირობებში მეორეულ ნარჩენებს შეუძლია გარემოში გამოყოს მომწამლაგი ნივთიერებები, რაც თავისთავად დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამავ დროს, ამორტიზებული საბურავები ექსპლუატაციის ვადების ამოწურვის მომენტში განიცდის უმნიშვნელო ცვლილებებს, ეს კი

საშუალებას იძლევა მეორეული გადამუშავებისას დიდ ეკონომიკურ ეფექტს მივაღწიოთ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ მიერ დამუშავებული ამორტიზებული საბურავების და რეზინის სხვა ნარჩენების გადამუშავების ახალი მიდგომა ნახშირწყალბადური ნედლეულის გადამუშავებისა და უტილიზაციის სფეროს განეკუთვნება.


**დანადგარის მუშაობის რეგლამენტი**

კონტეინერში ჩაიყრება მთლიანი ან დაჭრილი საბურავები და ჩაიდგმება ლითონის კორპუსში 1, რომელიც დაიხურება თავსახურით 3, ჩაირთვება ელექტროგამახურებელი 2 და გამოყოფილი სითბოთი მოხდება რეზინის თერმული დაშლა, დეპოლიმერიზაცია. ლითონის კორპუსის ჰერმეტიკულობა დაცულია თხევადი ჩამკეტით 4. ჩვეულებრივ თხევად ჩამკეტად გამოიყენება წყალი ან პიროლიზის დროს მიღებული თხევადი პროდუქტი, საბურავის შემთხვევაში – სტიროლი. საბურავის თერმული დაშლისას წარმოქმნილი აირი გაიფლის მაცივარს 6, სადაც ხდება თხევადი ნაწი-

ლის – სტიროლის კონდენსაცია, რომელიც გროვდება სითხის შემკრებში 7, ხოლო აირადი ნაწილი – ბუტადიენი გადადის პირველ, დაბალი წნევის აირსაცავში 8, საიდანაც კომპრესორით 9 მიეწოდება ფილტრს 10 და ამის შემდეგ მომხმარებელს. პიროლიზის მყარი პროდუქტები, ნახშირი და ლითონის მავთული რჩება კონტეინერში 5, საიდანაც ამოიღება სამუშაო ციკლის დამთავრების შემდეგ. დანადგარი მუშაობს ხუთკილოვატიანი სიმძლავრის გამახურებლით. მისი მეშვეობით ხდება აგრეთვე სხვადასხვა ორგანული ნარჩენის, მერქნისა და პლასტმასის გადამუშავება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანადგარის უსაფრთხო მუშაობას. ეს კომპონენტი მთლიანად დაცულია, ვინაიდან მუდმივ რეჟიმში ხდება წარმოქმნილი აირების გამოყვანა.

ავტომობილის ამორტიზებული საბურავების გადამამუშავებელი დანადგარი [5] (ნახაზი) შეიცავს რეაქტორსა და მასში წარმოქმნილი აირების გამოსაყვან სისტემას. რეაქტორში მოთავსებულია ელექტროგამახურებელი, ხოლო აირების გამოსაყვანი სისტემა აირის ფილტრს შეიცავს.



ავტომობილის ამორტიზებული საბურავების გადამამუშავებელი დანადგარი:

- 1 – ლითონის კორპუსი; 2 – დახურული ელექტროგამახურებელი; 3 – თავსახური; 4 – ჰერმეტიკულობის დამცავი სითხის ჩამკეტი; 5 – საბურავების კონტეინერი; 6 – მაცივარი; 7 – სითხის შემკრები; 8 – პირველი აირსაცავი; 9 – კომპრესორი; 10 – ფილტრი; 11 – მეორე აირსაცავი

## დასკვნა

უტილიზაციის პროცესში მეორეული ნედლეულის (ამორტიზებული საბურავები, რეზინის ყველანაირი ნარჩენი) გადამუშავებისას მიიღება:

1. თხევადი საწვავი (40%-მდე გადასამუშავებელი ნედლეულის) არის პიროლიზური სითხე მუქი ყავისფერი სპეციფიკური სუნით. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახლებისა და სათბურების გასათბობად, „ბიტუმის“ გამსხნელებად, რექტიფიკაციის შემდეგ ბენზინისა და დიზელის მისაღებად. მას ე.წ. „პეჩის“ საწვავს ეძახიან [3].

2. აირი გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში.

3. ტექნიკური ნახშირი (25% გადასამუშავებელი ნედლეულის) შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შემავსებელი რეზინის ნაკეთობათა წარმოებისას, ასფალტის წარმოებაში, დანამატად მასტიკის წარმოებისას და როგორც მშრალი (მყარი) საწვავი. ბრიკეტირებით შეიძლება მზა პროდუქცია მოვამზადოთ [4].

4. რეზინის მავთულები, გროვდება როგორც ჯართი.

## ლიტერატურა

1. Tyagunova G.V., Yaroshenko Y.G. Ecology. Moscow. "Logos", 2005, 504 p. (in Russian).
2. Shkolnikov V.M. Fuels, lubricants, Technical liquids. Assortment and Application. Moscow, "Tckhinform", 1999, 596 p. (in Russian).
3. Papok K.K., Ragozin N.A. Vocabulary on Fuels, Lubricants, Additives and Special Liquids. Moscow, "Khimia", 1975, 392 p. (in Russian).
4. G. Khitiri. L. Topuridze. T. Gabunia. Rational Processing of Oil Pipe-line Waste. Symposium on Organic Chemistry, October 16, 2009, Sighnaghi, pp. 143-144 (in Georgian).
5. R. Labadze, A. Sulamanidze, G. Gordadze. Georgian Patent No. 1783, Utility Model, 04.05.2014. (In Georgian).

UDC 621.11.012.553

SCOPUS CODE 1501

## INNOVATIVE APPROACH TO RECYCLING OF SHOCKPROOF TIRE-CASING

- R. Labadze** Scientific-engineering centre "Utilization", Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: labadze\_r123@mail.ru
- G. Khitiri** Iv. Javakhishvili Tbilisi State University, institute of physical and organic chemistry, Georgia, Tbilisi, Chavchavadze avenue 1.  
E-mail: guram2011@yahoo.com
- R. Kokilashvili** Scientific-engineering centre "Utilization", Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: kokilashvilir@mail.ru
- A. Sulamanidze** Scientific-engineering centre "Utilization", Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: arthuzsulamanidze@gtu.ge
- J. Kerkadze** Scientific-engineering centre "Utilization", Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: j.kerkadze@gtu.ge

### Reviewers:

**I. Chikvaide**, associated professor, Department of chemistry exact and natural sciences, TSU

E-mail: iosebc@yahoo.com

**Z. Sabashvili**, associated professor, Department of metallurgy, materials science and metal processing, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**ABSTRACT:** Storage and burial of shockproof, tires and all kind of rubber waste are economically ineffective and ecologically hazardous. During long-term storage the secondary wastes can emit toxical agents to atmosphere, that will disturb the ecological balance. At the same time, shockproof tires experience insufficient changes in the moment of expiration of service life. That in its turn creates an opportunity of attainment of big economical effect during its secondary processing.

Scientific-engineering center "Utilization" of Georgian Technical University has developed the pyrolysis method of processing of shockproof tires, wherein tires under temperature influence decompose into solid, liquid and gaseous products, that takes place at 300°C.

It is shown in the work, that processing of shockproof tires is two-way profitable: first, it protects the nature from contamination and second, there are produced useful products, such as "stove" fuel, carbon, as the component of mastic for bitumen production and gas, which is used, as heating agent for returning back to production.

**KEY WORDS:** briquetting; ecology; pyrolysis; shockproof; "stove" fuel; recycling.

UDC 621.11.012.553

SCOPUS CODE 1501

## НОВЫЙ ВЗГЛЯД НА УТИЛИЗАЦИЮ АМОРТИЗИРОВАННЫХ ПОКРЫШЕК

- Лабадзе Р.Д.** Научно-инженерный центр „Утилизация“, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: labadze\_r123@mail.ru
- Хитири Г.Ш.** Государственный университет им. Ив. Джавахишвили, Институт физической и органической химии, Грузия, Тбилиси, пр. Чавчавадзе 1  
E-mail: guram2011@yahoo.com
- Кокилашвили Р.Г.** Научно-инженерный центр „Утилизация“, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: kokilashvilir@mail.ru
- Суламанидзе А.К.** Научно-инженерный центр „Утилизация“, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: arthuzsulamanidze@gtu.ge
- Керкадзе Дж.В.** Научно-инженерный центр „Утилизация“, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: j.kerkadze@gtu.ge

### Рецензенты:

**И. Чикваидзе**, ассоц. профессор Департамент химии факультета точных и естественных наук Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

E-mail: iosebc@yahoo.com

**З. Сабашвили**, ассоц. профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Складирование, захоронение амортизированных покрышек и всех видов резиновых отходов является экономически неэффективным и экологически опасным. В условиях длительного хранения вторичные отходы могут выделять в окружающую среду отравляющие вещества, что само по себе нарушит экологическое равновесие. В то же время, амортизированные покрышки в момент истечения сроков эксплуатации испытывают незначительные изменения. Это, в свою очередь, дает возможность достижения большого экономического эффекта при вторичной переработке.

Научно-инженерным центром «Утилизация» Грузинского технического университета разработан пиролизный метод переработки амортизированных покрышек, при котором покрышки под влиянием температуры распадаются на твердые, жидкие и газообразные продукты, что происходит при температуре 300°C.

В работе показано, что переработка амортизированных покрышек является выгодной по двум направлениям: во-первых, она защищает природу от загрязнения и, во-вторых, получают полезные продукты, такие как печное топливо, уголь, как компонент мастик, для производства битума, и газ, используемый как обогревающий агент для возврата в производство.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** амортизированный; брикетирование; «печное» топливо; пиролиз; утилизация; экология.

UDC 553.541:666.32/36

SCOPUS CODE 1508

## ადგილობრივი ბუნებრივი ქანების ბამოყენებით ფოროვანი მასალების მიღება და შესწავლა

**ზ. ჯავაშვილი** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: zazajavar@gmail.com

**თ. ჭეიშვილი** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

### რეცენზენტები:

**ზ. კოვზირიძე**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: kowsiri@gtu.ge

**ვ. გორდელაძე**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: v.gordeladze@gtu.ge

**ანოტაცია:** ნაშრომში მოყვანილია ყვარლის ფიქლის შესწავლის შედეგები მისგან ფოროვანი მასალის მიღების შესაძლებლობის დადგენის მიზნით. თერმული დამუშავებით მიღებული აფუქბული ფიქლის თვისებათა შესწავლით დადგინდა, რომ თერმული დამუშავებით გამოწვეული მასალის მასხანათებელ თვისებათა ცვლილება განისაზღვრება მისი თერმული დამუშავების პირობებით (ტემპერატურა, დრო) და გრანულომეტრიით.

**საკვანძო სიტყვები:** აფუქბა; გრანულომეტრია; თერმოდამუშავება; სიმკვრივე; ფიქალი; წყალშთანთქმა.

### 1. შესავალი

ფოროვან არაორგანულ მასალებს განსაკუთ-

რებული ადგილი უკავია ისეთ მნიშვნელოვან სამრეწველო დარგებში, როგორცაა მეტალურგია, საშენი მასალები, აგროინდუსტრია და სხვა. ბუნებაში აფუქბული (შემსუბუქებული), ასევე სასურველი თვისებების მატარებელი მასალები იშვიათად გვხვდება და ამიტომ მათი მიღება ძირითადად ხელოვნურად ხდება ისეთი ბუნებრივი ქანების გამოყენებით, როგორცაა პერლიტები და ობსიდიანები. სპეციალური თერმული დამუშავებით მიიღება დაბალი თბოგამტარობის, მოცულობითი წონის და გამოყენების ფართო ტემპერატურული ინტერვალის მქონე მასალები [1,2]. ამ მიმართულებით ბოლო წლებში ყურადღება დაეთმო საქართველოში არსებულ ტექნოგენურ ნედლეულს – ყვარლის ფიქალს. ყვარლის ფიქლის საფუძველზე დადგინდა ზოგიერთი სახის ტრადიციული სილიკატური მასალის მიღების პერსპექტიულობა [3,4]. ჩვენ

მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ყვარლის ფიქლის აფუების უნარის განსაზღვრა და ამ პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა.

**ძირითადი ნაწილი**

საკვლევი მასალა – ყვარლის ფიქალი ბუნებრივ მდგომარეობაში სხვადასხვა ზომისა (ძირითადად 5–40 მმ) და ბრტყელი ფორმის ნატეხებია, რომლისგან აფუებული მასალის მიღება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. შემდგომი ექსპერიმენტებისათვის ფიქალი დაქუცმაცდა, გაიცრა და საბოლოოდ მიღებული 7 სხვადასხვა ზომის მარცვლისგან აირჩა სამი სახეობის (გრანულომეტრიის მიხედვით) ნიმუში (ცხრილი), კერძოდ


B (ღორდი), C (მსხვილი ქვიშა) და E (საშუალო ქვიშა) ფრაქციები, რომელთა მარცვლების ზომებმა, შესაბამისად, შეადგინა 5–10, 3–5 და 1–2 მმ. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მასალის აფუების პროცესს ძირითადად განაპირობებს თერმული დამუშავების ტემპერატურა და აფუების შერჩეულ ტემპერატურაზე მისი დაყოვნების ხანგრძლივობა (დრო). აქედან, ყვარლის ფიქლის აფუებისადმი მიდრეკილების დადგენა მოხდა ცნობილი მეთოდების მიხედვით [5,6]. საკვლევი მასალის აფუებისადმი მიდრეკილების უნარის შესაფასებლად შეირჩა ერთი ძირითადი (აფუების კოეფიციენტი) და ორი დამხმარე (სიმკვრივე, წყალშთანთქმა) მახასიათებელი თვისებები.

**დაქუცმაცებული მასალის ფრაქციულობა და სახეობა**


პირობითი აღნიშვნა	მარცვლების ზომა, მმ	ფრაქციულობის სახეობისადმი მიკუთვნება
A	მეტია 10-ზე	ღორდი (ნატეხი)
B	5-10	ღორდი (ნატეხი)
C	3-5	მსხვილი ქვიშა
D	2-3	მსხვილი ქვიშა
E	1-2	საშუალო ქვიშა
F	0,5-1	წმინდა ქვიშა
G	ნაკლებია 0,5-ზე	წმინდა ქვიშა და პუდრი

ჩატარებული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ აფუების ხარისხზე (აფუების მოცულობითი ტემპერატურული  $K_a$  კოეფიციენტის მიხედვით) გაფლენას ახდენს როგორც თერმული დამუშავების ტემპერატურა, ასევე მასალის ფრაქციულობა (ნახ. 1). ტემპერატურათა რეკომენდებულ 800–1250°C ინტერვალში [7], თერმოდამუშავების 10-წუთიანი ხანგრძლივობისას, გამოვლინდა ზოგადი ტენდენცია – აფუების კოეფიციენტის ( $K_a$ ) ზრდა დამახასიათებელია ყველა საცდელი ვარიანტის (ფრაქციები B, C და E) მასალისათვის, მაგრამ აფუებისადმი მიდრეკილებას განსაკუთრებით ავლენს წმინდა ფრაქციის მასალები. კერძოდ, წმინდა

ქვიშის (ფრაქცია E) აფუების უნარი თითქმის ორჯერ აღემატება ნატეხებისათვის (ფრაქცია B) მიღებულ მნიშვნელობებს. 1-ელ ნახ-ზე წარმოდგენილი საშუალო და წმინდა ქვიშის ფრაქციების (შესაბამისად, მრუდები 2 და 3)  $K_a - T$  დამოკიდებულების მაღალტემპერატურული მონაკვეთები (1050°C-ზე ზემოთ) პუნქტირით არის წარმოდგენილი, რადგან 1100–1250°C ტემპერატურებზე აღილი აქვს საცდელი მასალის მარცვლების შეცხოვას, მაგრამ აფუებისადმი მიდრეკილება ზოგადად შენარჩუნდა პროცესის ინტენსიურობის კლების ტენდენციების გამოვლენით (მრუდები 1, 2, 3).



ნახ. 1. ყვარლის ფიქლის აფუების კოეფიციენტის ტემპერატურული დამოკიდებულება:  
1 – ფრაქცია 5–10 მმ; 2 – ფრაქცია 3–5 მმ; 3 – ფრაქცია 1–2 მმ



ნახ. 2. ყვარლის ფიქლის აფუების კოეფიციენტის დამოკიდებულება თერმული დამუშავების დროზე:  
1 – ფრაქცია 5–10 მმ; 2 – ფრაქცია 3–5მმ; 3 – ფრაქცია 1–2 მმ

თერმული დამუშავების ხანგრძლივობის გავლენა ყვარლის ფიქლის აფუების ხარისხზე შესწავლილ იქნა ერთ კონკრეტულ და ოპტიმალურად მიჩნეულ 1100°C-ზე, ხოლო თერმული დამუშავების დროსთან მიმართებაში აღებულ იქნა 5–30-წუთიანი ინტერვალი (ბიჯი 5 წთ-ს შეადგენდა). თერმული დამუშავების „დრო –  $K_{\alpha}$ “ დამოკიდებულების ამსახველი მრუდები წარმოდგენილია მე-2 ნახ-ზე, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ თერმული დამუშავების ხანგრძლივობის გავლენა მასალის აფუების ხარისხზე განსაკუთრებით იგრძნობა 10–20-წუთიან ინტერვალში, თერმული დამუშავების ხანგრძლივობის შემდგომი ზრდისას შეიმჩნევა აფუებისადმი მიდრეკილების ინტენსიურობის კლება და შემდგომი სტაბილიზაცია. რაც შეეხება განსხვავებული ფრაქციულობის ნიმუშების მრუდების სვლას, აფუების მაქსიმუმის მიღწევის დროსთან მიმართებაში, სავარაუდოდ ადგილი აქვს მასალის თბოგამტარობის გავლენას, მისი მარცვლების ზომებიდან გამომდინარე. აქედან, მსხვილი ფრაქციულობის მასალა (ფრაქცია B) უფრო გვიან აღიქვამს სითბოს, ვიდრე წმინდა ფრაქციებისთვისაა დამახასიათებელი (ფრაქციები C და განსაკუთრებით E) და რეალური ხდება აფუების პროცესის დროში (10-დან 20 წთ-მდე) გადანაცვლება (ნახ. 2).

თერმული დამუშავების დრო გავლენას ახდენს არა მარტო ძირითად მახასიათებელ თვისებაზე – აფუების ხარისხზე, არამედ მასალის საშუალო სიმკვრივესა ( $\rho_{საშ}$ ) და წყალშთანთქმაცხე (W), რაც განისაზღვრა ყვარლის ფიქლის ნატეხების (წონა 3–5 გ) გამოყენებით. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ საშუალო სიმკვრივისა და წყალშთანთქმის მნიშვნელობები საწყისი ნედლეულის დამუშავებით მიღებული ნიმუშებისათვის იქნება:

- საწყისი ნიმუში:  $\rho = 1530$  კგ/მ<sup>3</sup>; W = 1,5%;
- თერმულად დამუშავებული ნიმუში:  $\rho = 700$  კგ/მ<sup>3</sup>; W = 23,6%.

თუ მხედველობაში მივიღებთ ლიტერატურაში არსებულ რეკომენდაციებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თერმულად დამუშავებული ყვარლის ფიქლის ნიმუშისათვის მოსალოდნელია შერეული (დახურული და ზიარი) ფოროვანი სტრუქტურის არსებობა.

### დასკვნა

ყვარლის ფიქლის თერმული დამუშავების შედეგად მიღებული მასალის შესწავლით დადგინდა აფუების განმსაზღვრელი მახასიათებელი პარამეტრები და თვისებები. კერძოდ, ყვარლის ფიქლის აფუების მოცულობითი კოეფიციენტის

მნიშვნელობებს განსაზღვრავს თერმული დამუშავების ტემპერატურა (აფუების მაქსიმუმი 1100°C-ზე მოდის) და დრო (ოპტიმალური ხანგრძლივობა 15–20 წთ). დადგინდა, რომ მასალის გრანულომეტრიული შედგენილობა გავლენას ახდენს აფუების მაჩვენებელზე – მარცვლის ზომის შემცირება ზრდის ფიქლის აფუებისადმი მიდრეკილებას. ყვარლის ფიქლის თერმული დამუშავება, ოპტიმალურად მიჩნეულ პირობებში, იწვევს მასალის სიმკვრივის თითქმის ორჯერ შემცირე-

ბას და ძლიერ გავლენას ახდენს წყალშთანთქმის მაჩვენებელზე. კვლევით მიღებული მასალის ფიზიკური მახასიათებლების შეჯერებით შესაძლებელია აფუებულ ყვარლის ფიქალში შერეული (დახურული და ზიარი) ფოროვანი სტრუქტურის არსებობა, რომელთაგან წამყვანი დახურული ფორიანობაა. ჩატარებული კვლევით დადასტურდა, ყვარლის ფიქლის თერმული დამუშავებით, პერსპექტიული ფოროვანი მასალების მიღება.

### ლიტერატურა

1. Porous Materials. [www.uio.no/studierlemner/matnat/kjemi/KJM5100/h06/undervisningsmateriale/16KJM5100-2006-porous\\_1.pdf](http://www.uio.no/studierlemner/matnat/kjemi/KJM5100/h06/undervisningsmateriale/16KJM5100-2006-porous_1.pdf). (In Russian).
2. Javashvili Z., Cheishvili T. Production and Application of Porous and Inorganic Materials in Georgia. Intellectual. #28, 2015, pp. 112-116. (In Georgian).
3. Gabunia L., Kamushadze I., Shafakidze E., Gejadze I. Obtaining Porous Materials from Local Magmatic Rocks. Ceramics. 2(25), 2011, pp. 3-5. (In Georgian).
4. Mirianashvili A. D., Koivunen L. T., Skhvitaridze R. E., Nikoleishvili T. G., Rukhadze D. R., Sarukhanishvili A. V., Cheishvili T. Sh. Physico-chemical Study of Kvareli Slate for Wide Use in the Silicate Industry. Ceramics. 2(6), 2001. pp. 17-20. (In Russian).
5. Gorlov Ju. P. Technology of Heat Insulating and Acoustic Materials and Products. M.: Visshaia shkola. pp. 1989 – 384. (In Russian).
6. Gorlov Ju. P. Laboratory Practical Work on Technology of Thermal Insulation Materials. M., Visshaia shkola. pp. 1982 – 239. (In Russian).
7. Cheishvili T., Javashvili Z. Studying the Opportunities of Obtaining Porous Materials on the Basis of Kvareli Slate. 2(32), 2014, pp. 49-52. (In Georgian).

**UDC 553.541:666.32/36**

**SCOPUS CODE 1508**

## **OBTAINING AND STUDY OF POROUS MATERIALS WITH THE USE OF LOCAL NATURAL ROCKS**

- Z. Javashvili** Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: zazajavar@gmail.com
- T. Cheishvili** Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

### **Reviewers:**

**Z. Kovziridze**, professor, Department of chemical and biological technologies, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: kowsiri@gtu.ge

**V. Gordeladze**, professor, Department of chemical and biological technologies, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: v.gordeladze@gtu.ge

**ABSTRACT:** There are given results of study of Kvareli shales with the purpose of obtaining of porous materials. There was established by the study of expanded shale obtained via thermal processing, that change of characteristic properties is determined by the conditions of thermal processing (temperature, time) and granulometry of materials.

**KEY WORDS:** density; expansion; granulometry; thermal processing; shale; water absorption.

UCD 553.541:666.32/36

SCOPUS CODE 1508

## ПОЛУЧЕНИЕ И ИЗУЧЕНИЕ ПОРИСТЫХ МАТЕРИАЛОВ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ МЕСТНЫХ ЕСТЕСТВЕННЫХ ПОРОД

**Джавашвили З.Г.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: zazajavar@gmail.com

**Чеишвили Т.Ш.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

### Рецензенты:

**З. Ковзиридзе**, профессор Департамента химической и биологической технологий факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: kowsiri@gtu.ge

**В. Горделадзе**, профессор Департамента химической и биологической технологий факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: v.gordeladze@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Приведены результаты исследования кварельского сланца в целях получения пористых материалов. Изучением свойств полученного термообработкой вспученного сланца установлено, что изменение характеристических свойств определяется условиями термообработки (температура, время) и гранулометрией материала.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** водопоглощение; вспучивание; гранулометрия; плотность; сланец; термообработка.

UDC 665.5

SCOPUS CODE 1601

**ბაცვეთილი საავტომობილო საბურავების უტილიზაცია  
დაბალტემპერატურული პირობების შედეგად და მიღებული თხევადი  
პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური კვლევა**

- პ. თუშურაშვილი** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: PTushurashvili@expertiza.gov.ge
- დ. ჩორგოლაშვილი** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: DChorgolashvili@expertiza.gov.ge
- თ. ხუჭუა** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: TKhuchua@expertiza.gov.ge
- ნ. კობალაძე** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: NKobaladze@expertiza.gov.ge
- მ. ალელიშვილი** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: MAlelishvili@expertiza.gov.ge
- ე. გელაშვილი** ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 84  
E-mail: EGelashvili@expertiza.gov.ge

**რეცენზენტები:**

**შ. სამსონია**, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი, აკადემიკოსი

E-mail: shota.samsonia@tsu.ge

**მ. ციცაგი**, თსუ-ის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიის გამგე, წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი

E-mail: mziatsitsagi@yahoo.com

**ანოტაცია:** შესწავლილია რეზინტექნიკური ნაწარმის დაბალტემპერატურული პირობების შედეგად მიღებული თხევადი პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ნახშირწყალბა-

დური შედგენილობა და დადგენილია, რომ ის არის 5159 ნივთიერების რთული შედგენილობის ნარევი, რომელიც ძირითადად შედგება C<sub>4</sub>-C<sub>40</sub> ნახშირწყალბადებისა (ალკანები, ციკლოალკა-

ნები, არენები) და ჰეტეროატომების (ჟანგბადი, გოგირდი, აზოტი, ბრომი, ქლორი) შემცველი ორგანული ნაერთებისაგან.

**საკვანძო სიტყვები:** ალტერნატიული საწვავი; გაცვეთილი საავტომობილო საბურავები; პიროლიზი; უტილიზაცია.

### შესავალი

დღეს მსოფლიოში მწვავედ დგას ძველი საავტომობილო საბურავების შენახვისა და უტილიზაციის პრობლემა. გაცვეთილი საავტომობილო საბურავების მარაგი მთელ მსოფლიოში ~25 მილიონ ტონას შეადგენს. ყოველწლიურად ეს მარაგი ~7 მილიონი ტონით იზრდება. ევროპულ ქვეყნებზე მოდის ~3 მილიარდი ცალი საბურავი (დაახლოებით 2 მილიონი ტონა). მსოფლიოში გაცვეთილი საავტომობილო საბურავების მარაგის მხოლოდ 23% გამოიყენება (სხვა ქვეყნებში ექსპორტი, მათი დაწვა ენერჯის მიღების მიზნით, მექანიკური დაქუცმაცება გზის საფარების გამოსაყენებლად, სპორტული მოედნებისათვის და სხვა). გაცვეთილი საავტომობილო საბურავების 77%-ის უტილიზაცია არ ხდება, რადგან არ არსებობს უტილიზაციის რენტაბელური მეთოდი.

ძალზე აქტუალურია საწვავისა და ელექტროენერჯის მიღების ალტერნატიული გზების ძიება, მათ შორის გაცვეთილი საავტომობილო საბურავებისაგან თხევადი საწვავის, ტექნიკური ნახშირბადის და საწვავი აირის მიღების შესაძლებლობა. გაცვეთილი საბურავების უსარგებლო დასაწყოების ან პირდაპირი დაწვის ნაცვლად უფრო მომგებიანია მათი გადამუშავება.

რეზინტექნიკური ნარჩენების უტილიზაციის ძირითადი მეთოდებია დაქუცმაცება და დაწვა. დაქუცმაცება აღიარებულია გადამუშავების ყვე-

ლაზე მარტივ მეთოდად, რადგან საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შენარჩუნდეს მასალის ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებები, მაგრამ რეზინტექნიკური ნარჩენების გადამუშავების სირთულე, სიძვირე და მოწყობილობის ენერგოდანახარჯები აფერხებს აღნიშნული მეთოდით პრობლემის გადაწყვეტას.

საბურავების დაწვის მეთოდის ნაკლოვანებაა ის, რომ წვის პროცესში ტემპერატურის ცვალებადობა იწვევს საბურავების არასრულ წვას, ამასთან 1100°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე წარმოიქმნება ისეთი მომწამლავი ნივთიერებები, როგორცაა ქლორირებული დიოქსინი და ფურანი. ასევე ცნობილია, რომ მსგავსი პროცესები ხელს უწყობს სათბურის ეფექტის გაზრდას, რაც განპირობებულია 1 ტ საბურავის წვის პროცესში დაახლოებით 3700კგ CO<sub>2</sub>-ის წარმოქმნით. ცემენტის წარმოებაში საწვავის სახით საბურავების გამოყენება უარყოფითად აისახება ცემენტის ხარისხზე, რადგან საბურავების შემცველი ფოლადი თავს იჩენს ცემენტში რკინის ოქსიდის სახით, რომელიც მასალას ღებავს.

პიროლიზი ორგანული ნაერთების თერმული დაშლის პროცესია უჰაერო, ინერტულ ატმოსფეროში. ეს პროცესი ფართოდ გამოიყენება დაბალმოლეკულური ნახშირწყალბადების მისაღებად. პიროლიზის პროცესი ტარდება 700–1000°C ტემპერატურაზე ატმოსფერულ წნევაზე. თერმული კრეკინგის დროს 450–500°C ტემპერატურის პირობებში C-C ბმების გახლეჩა ძირითადად ხდება მოლეკულის ცენტრში, ხოლო პროცესის 700–1000°C ტემპერატურაზე ჩატარებისას C-C ბმების გახლეჩა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას, შესაბამისად პიროლიზის დროს წარმოიქმნება დიდი რაოდენობით დაბალმოლეკულური პროდუქტები (H<sub>2</sub>, CH<sub>4</sub>, C<sub>2</sub>H<sub>6</sub>, C<sub>2</sub>H<sub>4</sub>, C<sub>3</sub>H<sub>6</sub>, C<sub>4</sub>H<sub>8</sub>, C<sub>4</sub>H<sub>6</sub>). პიროლიზის შედეგად მიიღება აირადი და თხევადი პროდუქტები – პიროკონდენ-

სატი, რომელსაც პიროლიზურ ფისს უწოდებენ. გამოყენებული ნედლეულის მიხედვით, პიროლიზის პროდუქტების შედგენილობა ფართო ზღვრებში იცვლება.

გაცვეთილი საავტომობილო საბურავების უტილიზაცია პიროლიზის შედეგად ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიაა. ეს მეთოდი ეფუძნება რეზინის შემადგენელ კომპონენტებად დაშლას. ამისათვის გამოიყენება დაბალტემპერატურული პიროლიზის მეთოდი ანუ ინერტულ ატმოსფეროში ცხელი ორთქლის მეშვეობით ხდება რეზინის თერმული დეპოლიმერიზაცია. საბურავები იტვირთება რეაქტორში და ტემპერატურის (250–300°C) ზემოქმედებით პიროლიზს განიცდის, რის შედეგადაც წარმოიქმნება: 1) თერმოლიზური აირი (5–10%), რომელიც ბუნებრივი აირის ანალოგია; 2) პიროლიზის თხევადი პროდუქტი (40–45%), რომელიც ნახშირწყალბადური შედგენილობით ჰგავს ნავთობს და გამოიყენება საქვაბე საწვავად; 3) ტექნიკური ნახშირბადი (25–35%), რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულების რეზინტექნიკურ ნარევებში, მეტალურგიაში, ლაქსაღებავებსა და სამშენებლო მასალებში, ასევე საწვავი ბრიკეტების დასამზადებლად. მათ საფუძველზე შესაძლებელია წყლის და აირების გამწმენდი სორბენტების წარმოება; 4) მეტალოკორდი (10–20%), რომელიც დამატებით გასუფთავებას არ საჭიროებს და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მეტალურგიულ წარმოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ თხევადი პროდუქტის შედგენილობა ფართო დიაპაზონში იცვლება და დამოკიდებულია პიროლიზის პროცესის ჩატარების პირობებსა (ტემპერატურა, წნევა და სხვა) და გამოყენებულ ნედლეულზე.

ტექნოლოგიის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გადამუშავების პროდუქტები არ შეიცავს მაღალტოქსიკურ ნივთიერებებს, გამორიცხულია რეზინტექნიკური ნაწარმის დაშ-

ლის პროდუქტების ატმოსფეროში მოხვედრა. ამის გამო, აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესი ეკოლოგიურად უსაფრთხოა; აღნიშნული ტექნოლოგია არ მოითხოვს ელექტროენერჯის დიდ დანახარჯს (სხვა ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით); არ ხდება ნარჩენების წარმოქმნა, რაც მოითხოვს შემდგომ უტილიზაციას ანუ წარმოება უნარჩენოა; ტექნოლოგია არის ძალიან რენტაბელური, რადგან ხდება გაცვეთილი საავტომობილო საბურავების უტილიზაცია, რაც, ეკოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ასევე მიიღება თხევადი, მყარი და აირადი საწვავები [1-5].

### ძირითადი ნაწილი


რეზინტექნიკური ნაწარმის (გაცვეთილი საბურავები) დაბალტემპერატურული (250–300°C) პიროლიზის პროცესის შედეგად გამოყოფილია და შესწავლილი პიროლიზის თხევადი პროდუქტი (სინთეზური ნავთობი), რომელიც მოყავისფრო-მოშავო ფერის, მძაფრი სპეციფიკური სუნის მქონე სითხეა. პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებია: სიმკვრივე 20°C-ზე, გამყარების ტემპერატურა, აფეთქების ტემპერატურა და ხურულ ტიგელში, ფრაქციული შედგენილობა, კინემატიკური სიბლანტე 20°C-ზე, წყლის შემცველობა, მექანიკური მინარევეების შემცველობა, წყალში ხსნადი მჟავებისა და ტუტეების შემცველობა, ნაცრიანობა, 10% ნარჩენის კოქსვალობა, მჟავიანობა, კოროზიული აქტიურობა სპილენძის ფირფიტაზე, გოგირდის შემცველობა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

აღნიშნული სითხის ნახშირწყალბადური შედგენილობა შესწავლილ იქნა ორგანოზომილებიან გაზურ ქრომატოგრაფზე დროში გაფრენის მას-სპექტრომეტრის დეტექტორით (PEGASUS 4D GC×GC -TOFMS) [6], კაპილარული სვეტის – „RTX-DHA-50“ გამოყენებით (სიგრძე 50 მ, შიგა დიამეტრი – 0.2 მმ, სისქე – 0.5 μm) დაპროგ-

რამების რეჟიმში: ძირითადი ღუმლის ტემპერატურის 45°C (3 წთ დაყოვნება) 340°C-მდე გაცხელება 5°C/წთ სიჩქარით (15 წთ დაყოვნება 340°C-ზე); მეორე სვეტის – „BPX-50“ (სიგრძე – 1.67 მ, შიგა დიამეტრი – 0.1მმ, სისქე – 0.1µm) 50°C (3 წთ დაყოვნება) 345°C-მდე გაცხელება 5°C/წთ სიჩქარით (15 წთ დაყოვნება 345°C-ზე). ინჟექტორის ტემპერატურა – 280°C, ინჟექტირებული ნიმუშის რაოდენობა – 1.0µl, გაყოფის ფარდობა – 200:1, აირმატარებელი – ჰელიუმი 1 მლ/წთ მუდმივი ნაკადის პირობებში (იხ. ქრომატოგრამა და პროფილის გრაფიკული გამოსახულება).

ვინაიდან რეზინტექნიკური ნაწარმის დაბალ-

ტემპერატურული პირობების ჩატარების პირობების (ტემპერატურა, წნევა, გამოყენებული ნედლეული და სხვა) მიხედვით მიიღება სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის და თვისებების მქონე თხევადი პროდუქტი, აღნიშნული კვლევის შედეგები ვრცელდება მითითებულ პირობებში ჩატარებული პირობებით მიღებულ პროდუქტზე, რომელიც წარმოადგენს 5000-მდე ნივთიერების რთული შედგენილობის ნარევის და ძირითადად შედგება C<sub>4</sub>-C<sub>40</sub> ნახშირწყალბადებისა (ალკანები, ციკლოალკანები, არენები) და ჰეტეროატომების (ჟანგბადი, გოგირდი, აზოტი, ბრომი, ქლორი) შემცველი ორგანული ნერთებისაგან.



თხევადი პროდუქტის ქრომატოგრამა და პროფილის გრაფიკული გამოსახულება

სარისხის მარკენებელი	ფაქტიური შედეგი	გამოცდის მეთოდი
1. სიმკვრივე 20°C-ზე, კგ/მ <sup>3</sup>	899	ГОСТ 3900
2. გამყარების ტემპერატურა, °C	-43	ASTM D 97
3. აფეთქების ტემპერატურა დახურულ ტიგელში, °C	ნაკლები 0°C-ზე	ASTM D 93
4. ფრაქციული შედგენილობა: დუღილის დასაწყისი, °C	40	ASTM D 86
5% გამოიხდება, °C-ზე	100	
10% გამოიხდება, °C-ზე	120	
15% გამოიხდება, °C-ზე	132	
20% გამოიხდება, °C-ზე	146	
25% გამოიხდება, °C-ზე	157	
30% გამოიხდება, °C-ზე	169	
35% გამოიხდება, °C-ზე	183	
40% გამოიხდება, °C-ზე	193	
45% გამოიხდება, °C-ზე	209	
50% გამოიხდება, °C-ზე	227	
55% გამოიხდება, °C-ზე	246	
60% გამოიხდება, °C-ზე	260	
65% გამოიხდება, °C-ზე	278	
70% გამოიხდება, °C-ზე	296	
75% გამოიხდება, °C-ზე	316	
80% გამოიხდება, °C-ზე	336	
85% გამოიხდება, °C-ზე	355	
90% გამოიხდება, °C-ზე	380	
დუღილის დასასრული, °C	380	
5. კინემატიკური სიბლანტე 20°C-ზე, მმ <sup>2</sup> /წმ	1.52	ASTM D 445
6. წყლის შემცველობა, %	0.3	ГОСТ 2477
7. მექანიკური მინარევების შემცველობა, %	0.069	ГОСТ 6370
8. წყალში ხსნადი მჟავებისა და ტუტეების შემცველობა	არ შეიცავს	ГОСТ 6307
9. ნაცრიანობა, %	0.015	ГОСТ 1461
10. კოქსვალობა, 10% ნარჩენის	3.27	ГОСТ 19932
11. მჟავიანობა, მგ KOH/100მლ საწვავზე	3.99	ГОСТ 5985
12. კოროზიული აქტიურობა სპილენძის ფირფიტაზე	უძლებს	ГОСТ 6321
13. გოგირდის შემცველობა, %	0.857	ГОСТ 51947

\* შედეგები ვრცელდება მხოლოდ საანალიზო ნიმუშზე, რომელზეც კვლევა ჩატარდა.

### დასკვნა

რეზინტექნიკური ნაწარმის – გაცვეთილი საავტომობილო საბურავების დაბალტემპერატურული პირობების შედეგად შესაძლებელია მათი ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაცია და ალტერნატიული თხევადი საწვავის მიღება. გამოკვ-

ლეულია კონკრეტულ პირობებში მიღებული თხევადი პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ნახშირწყალბადური შედგენილობა. აღნიშნული პროდუქტი ძვირფასი ნედლეულია ნავთობ-ქიმიური მრეწველობისათვის.

### ლიტერატურა

1. M. Juma, Z. Koreňová, J. Markoš, J. Annus, L. Jelemenský. PYROLYSIS AND COMBUSTION OF SCRAP TIRE. Petroleum & Coal 48(1) 15-26, 2006. ISSN 1337-7027. (In English).

2. M. Bajus, N. Olahová. THERMAL CONVERSION OF SCRAP TYRES. Petroleum & Coal 53(2) 98-105, 2011. ISSN 1337-7027. (In English).
3. CIZKOVA, D. JUCHELKOVA. COMPARISON OF YIELD OF TIRES PYROLYSIS IN LABORATORY AND PILOT SCALES. Geo Science Engineering, Volume LV(2009), No.4 pp. 60-65, ISSN 1802-5420. (In English).
4. Y. Yongrong, Ch. Jizhong, Zh. Guibin. TECHNICAL ADVANCE ON THE PYROLYSIS OF USED TIRES IN CHINA. China-Japan International Academic Symposium Environmental Problem in Chinese Iron-Steelmaking Industries and Effective Technology Transfer Sendai, Japan, 6, March 2000. (In English).
5. J. Dodds, W. F. Dornenico, D. R. Evans, L. W. Fish, P. L. Lassahn (Science Applications, Inc.), W. J. Toth. SCRAP TIRES: A RESOURCE AND TECHNOLOGY EVALUATION OF TIRE PYROLYSIS AND OTHER SELECTED ALTERNATE TECHNOLOGIES. Idaho 83415. 1983. (In English).
6. Analysis of Samples from the Gulf of Mexico Oil Spill by GCxGC-TOFMS, LECO Corporation, Form No. 203-821-389. (In English).

UDC 665.5

SCOPUS CODE 1601

## UTILIZATION OF SCRAP TIRES BY LOW-TEMPERATURE PYROLYSIS AND PHYSICAL-CHEMICAL EXAMINATION OF OBTAINED LIQUID PRODUCTS

- P. Tushurashvili** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: PTushurashvili@expertiza.gov.ge
- D. Chorgolashvili** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: DChorgolashvili@expertiza.gov.ge
- T. Khuchua** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: TKhuchua@expertiza.gov.ge
- N. Kobaladze** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: NKobaladze@expertiza.gov.ge
- M. Alelishvili** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: MAlelishvili@expertiza.gov.ge
- E. Gelashvili** LEPL Levan Samkharauli National Forensic expertise Bureau, 84 Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia  
E-mail: EGelashvili@expertiza.gov.ge

### Reviewers:

**S. Samsonia**, professor, academician, head of chemistry Department, faculty of exact and natural sciences, head of organic chemistry trend, I. Javakhishvili Tbilisi state University

E-mail: shota.samsonia@tsu.ge

**M. Tsitsagi**, chief scientist worker, head of organic synthesis laboratory of Institute physics and organic chemistry, TSU

E-mail: mziatsitsagi@yahoo.com

**ABSTRACT:** As a result of the research there is estimated, that liquid product, obtained by means of low-temperature pyrolysis process of worn-out tires represents complex mix of 5159 compounds (Figure 1,2), which

mainly consists of hydrocarbons with the number of carbon atoms C4-C40 (alkanes, cycloalkanes, aromatics) and heteroatom organic compounds (oxy gen, sulfur, nitrogen, bromine, chlorine).

**KEY WORDS:** alternative fuels; Pyrolysis; scrap tires; utilization.

**UDC 665.5**

**SCOPUS CODE 1601**

## **УТИЛИЗАЦИЯ ИЗНОШЕННЫХ АВТОМОБИЛЬНЫХ ШИН МЕТОДОМ НИЗКОТЕМПЕРАТУРНОГО ПИРОЛИЗА И ФИЗИКО-ХИМИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ПОЛУЧЕННОГО ЖИДКОГО ПРОДУКТА**

- Тუშურაშვილი პ.პ.**      Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: PTushurashvili@expertiza.gov.ge
- Чорголашвили Д.Г.**      Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: DChorgolashvili@expertiza.gov.ge
- Хучуа Т.Т.**              Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: TKhuchua@expertiza.gov.ge
- Кобаладзе Н.З.**        Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: NKobaladze@expertiza.gov.ge
- Алелишвили М.В.**      Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: MAlelishvili@expertiza.gov.ge
- Гелашвили Э.Г.**        Национальное бюро экспертизы им. Л.Самхараули, Грузия, Тбилиси, ул.Чавчавадзе, 84  
E-mail: EGelashvili@expertiza.gov.ge

### **Рецензенты:**

**Ш. Самсония**, профессор, руководитель Департамента химии факультета точных и природоведческих наук Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили, заведующий кафедрой органической химии, профессор, академик.

E-mail: shota.samsonia@tsu.ge

**М. Цицаги**, ведущий научный сотрудник, заведующий Лабораторией органического синтеза Института физической и органической химии Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

E-mail: mziatsitsagi@yahoo.com

**АННОТАЦИЯ:** Жидкий продукт, полученный в процессе низкотемпературного пиролиза резинотехнических изделий, представляет смесь сложного состава 5159 веществ, который в основном состоит из органических соединений, содержащих углеводороды C4-C40 (алканы, циклоалканы, арены) и гетероатомы (кислород, сера, азот, бром, хлор).

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** альтернативное топливо; изношенные шины; пиролиз; утилизация.

UDC 666.11.01

SCOPUS CODE 1601

**მანგანუმისა და სპილენძის ოქსიდების შემცველი ამორფულ-კრისტალური მატრიცის მქონე მასალების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები**

- ნ. ჩიჯავაძე** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: ninochig@gmail.com
- თ. ჭეიშვილი** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

**რეცენზენტები:**

- ზ. სიმონგულაშვილი,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: z.simongulasvhili@gtu.ge
- გ. ლოლაძე,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: g.loladze@gtu.ge

**ანოტაცია:** შესწავლილია მანგანუმისა და სპილენძის ოქსიდების შემცველი ამორფულ-კრისტალური მატრიცის მქონე მასალები, რომლებშიც მოსალოდნელია ელექტრონული ტიპის გამტარობის რეალიზაცია. მიღებული მასალები – კომპოზიტები ავლენს უჩვეულო ელექტრულ თვისებებს, რომლებიც აისახა აქტივაციის ენერჯის და ელექტროწინააღობის ტემპერატურული კოეფიციენტის დაბალ სიდიდეებში, რაც პერსპექტივაში შესაძლებელს ხდის მათგან მაღალტემპერატურულ დიაპაზონში მომუშავე სპეციფიკური ელექტროტექნიკური მასალების მიღებას.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტროპარამეტრები; კომპოზიტი; მანგანუმი; ოქსიდები; სპილენძი; ხარშვა.

**1. შესავალი**

ელექტროტექნიკური დანიშნულების არაერთი სახეობის ნაწარმის მიღებისას კომპლექსური თვისებების მქონე მასალები გამოიყენება. თვისებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ელექტროთვისებებს, ხოლო წამყვანი ელექტროწინააღობის ტემპერატურული კოეფიციენტია ( $\alpha$ ). აღნიშნული კოეფიციენტი ლითონთა უმრავლესობისათვის, როგორც წესი, დადებითი სიდიდეა, სუფთა ნახევარგამტარებისათვის – უარყოფითი. შენადნობების და ლეგირებული ნახევარგამტარებისათვის, ასევე ამორფული მინისა და კერამიკისათვის  $\alpha$ -ს მნიშვნელობა ძნელად პროგნოზირებადია და ამიტომ ექსპერიმენტულად დადგენას მოითხოვს. კერძოდ, ცნობილ შენადნობებს (კონსტანტანი და მანგანინი) ძალიან მცირე  $\alpha$

აქვს, ე.ი. მათ წინააღმდეგ ტემპერატურის გაზრდა მინიმალურია.

საჭირო  $\alpha_T$ -ს მქონე მასალების მისაღებად ხშირად მიმართავენ ისეთი ელემენტების ოქსიდების ნაზავეების შეცხოვას, როგორცაა მანგანუმი, ნიკელი, სპილენძი და სხვა. საბოლოო პროდუქტია მყარი კერამიკული მასა, რომლიდანაც ტერმისტორები, გამმართველები და სხვა სახის ნაკეთობა მზადდება [1,2]. მათ, როგორც კლასიკური შეცხოვრების ხერხით მიღებულ მასალას, ერთი თავისებურება აქვს, როგორც წესი, მათში გარკვეული დონით ფიქსირდება ფორიანობა და, აქედან გამომდინარე, თანხლები ნაკლოვანებები [3]. აღნიშნული ტიპის და ასევე ფორების არმქონე ელექტროტექნიკური მასალების ასორტიმენტის გაფართოების მიზნით ჩა-

ტარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ამორფულ-კრისტალური მასალების მიღებას მინის ტექნოლოგიით და მათი ელექტრომაგნიტურ თვისებების შესწავლას.

**ძირითადი ნაწილი**

საკვლევ ობიექტად შეირჩა  $Cu_2O-MnO-B_2O_3$  სისტემა, რაც განაპირობა სპილენძშემცველი მანგანუმბორატული მინებისადმი არსებულმა ინტერესმა, მათში ელექტრონული ტიპის ელექტროგამტარობის რეალიზაციის შესაძლებლობიდან გამომდინარე [3,4]. კერძოდ, შესწავლილ იქნა  $Cu_2O-MnO-B_2O_3$  სისტემის ოთხი კომპოზიცია, რომელთა შედგენილობა წარმოდგენილია 1-ელ ცხრ-ში.

ცხრილი 1

**$Cu_2O-MnO-B_2O_3$  სისტემის საკვლევო მასალების შედგენილობა**

მასალის №	ქიმიური შედგენილობა, მოლ. %			ქიმიური შედგენილობა, წონ. %		
	$Cu_2O$	$MnO$	$B_2O_3$	$Cu_2O$	$MnO$	$B_2O_3$
1	20	30	50	33,7	25,1	41,2
2	40	10	50	57,6	7,2	35,2
3	20	40	40	33,7	33,3	33,0
4	50	10	40	67,1	6,6	26,3


საწიის ნედლეულად აღებულ იქნა  $Cu_2O$ ,  $MnO$  და  $H_3BO_3$ , ხოლო ოთხივე შედგენილობის მინამასალის სინთეზი განხორციელდა 1323–1373 K მაქსიმალურ ტემპერატურაზე 30-წუთიანი დაყოვნებით და ნიმუშების შემდგომი მოწვივით ( $693 \pm 20$  K), რასაც ახლდა მიღებული გადაცივებული ნაღობების თვითნებური კრისტალიზაცია და ამორფულ-კრისტალური მასალის წარმოქმნა.

ნიმუშების მოხეხვის და ელექტროდების (გრაფიტი) დატანის შემდეგ ელექტროწინააღმდეგობის გაზომვა განხორციელდა სპეციალურ საზომ უჯრედში [5] E6-3 და E13A თერაომეტრების

გამოყენებით, როგორც ეს რეკომენდებულია შესაბამის ლიტერატურაში [6]. საცდელი ნიმუშების – კუთრი ელექტროწინააღმდეგობის ( $\rho$ ), ელექტროწინააღმდეგობის ტემპერატურული კოეფიციენტის ( $\alpha_T$ ) და აქტივაციის ენერჯის ( $E_a$ ) გათვლები განხორციელდა [7]-ში მოყვანილი მეთოდიკით.

ელექტროწინააღმდეგობის კვლევის შედეგები ფართო ტემპერატურული ინტერვალისათვის ( $20-300^\circ C$ ) მოყვანილია ნახაზზე, სადაც წარმოდგენილია  $\lg \rho - T$  დამოკიდებულების მრუდები ოთხივე შედგენილობის ამორფულ-კრისტალური მასალისათვის (კომპოზიციისათვის). ელექტრო-

წინააღმდეგობის ცვლილება ტემპერატურაზე დამოკიდებულებით სწორხაზოვანია, ხოლო დამოკიდებულების ამსახველი მრუდების დახრის კუთხე ტემპერატურული დერძის მიმართ – მცირე. საკვლევე მასალათა შედგენილობასთან მიმართებაში ნაკლები მგრძობიარობა აქვს მე-2 და მე-3 ნიმუშებს, რომლებშიც  $Cu_2O/MnO$  ფარდობა საშუალო მნიშვნელობებით გამოირჩევა.



სპილენძმშემცველი მანგანუმბორატული კომპოზიტების „ელექტროწინააღმდეგობა – ტემპერატურა“ დამოკიდებულება (განმარტება იხ. ცხრ. 1)

ტემპერატურისა და ელექტროწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულებათა მრუდების საფუძველზე განხორციელდა ორი მახასიათებელი პარამეტრის, კერძოდ  $\alpha_T$  და  $E_a$ -ს გამოთვლა, რომლის შედეგები მოყვანილია მე-2 ცხრ-ში.

ცხრილი 2

საკვლევე მასალების  $\alpha_T$  და  $E_a$  მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები

მასალის №	ელექტროწინააღმდეგობის ტემპერატურული კოეფიციენტი, $\alpha_T$ ( $K^{-1}$ )	ელექტროგამტარობის აქტივაციის ენერჯია, $E_a$ (ეე)
1	$-1,8 \cdot 10^{-2}$	0,43
2	$-4,6 \cdot 10^{-3}$	0,11
3	$-4,6 \cdot 10^{-3}$	0,11
4	$-4,6 \cdot 10^{-3}$	0,11

**დასკვნა**

მინის ტექნოლოგიაში არსებული მიდგომით  $Cu_2O-MnO-B_2O_3$  სისტემაში მიიღეს მინამასალა, რომლის მოწვის პროცესში ადგილი ჰქონდა თვითნებურ (სპონტანურ) დაკრისტალებას და საბოლოოდ ამორფულ-კრისტალური კომპოზიტის მიღებას. მასალათა შედგენილობისა და მახასიათებელი ელექტროპარამეტრების სიდიდეთა ანალიზით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოპტიმალური შედგენილობები ჯამში არანაკლებ 60 მოლ. % პოლივალენტური ელემენტების ოქსიდების შემცველობითაა წარმოდგენილი. ამავე დროს, ელექტროწინააღმდეგობასთან მიმართებაში მკაფიოდ იჩენს თავს  $Cu_2O/MnO$  ფარდობის გავლენა დენგამტარობის ხარისხზე – რაც უფრო მეტია ფარდობა (შედგენილობები 2 და 4), მით უფრო დაბალია ელექტროწინააღმდეგობა და პირიქით (შედგენილობები 1 და 3). აღნიშნული ტენდენცია ნაკლებად შესამჩნევია  $\alpha_T$  და  $E_a$  სიდიდეთა შემთხვევაში (ცხრ. 2), სადაც მხოლოდ ერთი (20 მოლ. %  $Cu_2O$ -იანი) შედგენილობისათვის (შედგენილობა 1)  $T - \lg R$  დამოკიდებულების ამსახველი წრფე გამოირჩევა დახრის კუთხის მაღალი მნიშვნელობით (ნახ.). აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა გამოითქვას ვარაუდი, რომ მიღებული კომპოზიტების ელექტროპარამეტრების მნიშვნელობათა განმსაზღვრელად, გარდა  $Cu_2O$  და  $MnO$  შედგენილობაში თანაარსებობისა, მათში სპილენძის (I) ოქსიდის კონცენტრაცია და სტრუქტურული მდგომარეობა უნდა იქნეს მიხედვით.

პრაქტიკული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ  $Cu_2O-MnO-B_2O_3$  სისტემაში შესაძლებელია ისეთი ამორფულ-კრისტალური მატრიცის მქონე მასალების მიღება, რომლებსაც ახასიათებს ელექტროგამტარობის ელექტრონული მექანიზმი (ნახევარგამტარებისათვის მიღებული წინააღმდეგობა და დაბალი აქტივაციის ენერჯიის მნიშვნელობები) და, ამავდროულად, ლითონთა შენადნობებთან მიახ-

ლოგოვანი ელექტროწინალობის ტემპერატურული ტემპერატურული სპეციალური თერმისტორების, კოეფიციენტი. სამივე პარამეტრის ერთობლიობა ვარიაციების და სხვა უფრო (შეუკლები) ნა- და მასალის მიღების ტექნოლოგია შესაძლებელს კეთობათა მიღებისას. ხდის ახალი კომპოზიტების გამოყენებას მაღალ-

### ლიტერატურა

1. ru.wikipedia.org/wiki; mash-xx1; info/127773. Temperature coefficient of resistance.
2. dic.academic.ru/dic, nsf/ruwiki/348220. Temperature coefficient of resistance.
3. Feinberg E.A., Panovkina V.I. The Study of Electrical Properties of Manganese and Copper Containing Glasses with Conductive Oxidized layers. Inorganic Materials. 1967, Vol. III, №11, pp. 2123-2125. (In Russian).
4. Cheishvili T. Sh. Features of Thermal and Electrical Properties of Glass Materials Containing Copper and Manganese Oxides. Georg. Eng. News. 2003, №3, pp. 223-224. (In Russian).
5. Cheishvili T. Sh. Evaluation of the Processes Occurring on the Surface of Glasses Using new Electric Measuring Cell. Proceedings of GTU 2005, №4 (458), pp. 45-49. (In Georgian).
6. Pavlushkin N.M., Senturin G.G., Khodakovskaya R.J. Workshop on Glass Technology and Glass Ceramics. M. Stroyizdat, 1970, pp. 239-248. (In Russian).
7. Lisov V.F. Practical Work on Physics of Semiconductors. M., Education, 1976, pp. 5-56. (In Russian).

UDC 666.11.01

SCOPUS CODE 1601

## STUDY AND PROSPECTS OF APPLICATION OF AMORPHOUS-CRYSTALLINE MATRIX MATERIALS CONTAINING MANGANESE AND COPPER OXIDES

**N. Chidzavadze** Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: ninochig@gmail.com

**T. Cheishvili** Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

### Reviewers:

**Z. Simongulashvili**, professor, Department of metallurgy, metals sciences and metal processing, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: z.simongulasvhili@gtu.ge

**G. Loladze**, professor, Department of metallurgy, metals science and metal processing, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: g.loladze@gtu.ge

**ABSTRACT:** There are studied amorphous-crystalline materials containing manganese and copper oxides, in which the implementation of electronic conductivity type is possible. Obtained materials – composites display specific

electric properties, which are manifested in small values of activation energy and temperature coefficient of electric resistanc that preconditions receipt of specific electrotechnical materials on their basis, operating in high temperature range.

**KEY WORDS:** composite; cooking; copper; electric parameters; manganese; oxides.

**UDC 666.11.01**

**SCOPUS CODE 1601**

## **ИЗУЧЕНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ АМОРФНО-КРИСТАЛЛИЧЕСКИХ МАТРИЧНЫХ МАТЕРИАЛОВ, СОДЕРЖАЩИХ ОКСИДЫ МАРГАНЦА И МЕДИ**

- Чиджавадзе Н.Л.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: ninochig@gmail.com
- Чеишвили Т.Ш.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: t.cheishvili@gtu.ge

### **Рецензенты:**

**З. Симонгулашвили**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: z.simongulasvhili@gtu.ge

**Г. Лоладзе**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: g.loladze@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Изучены аморфно-кристаллические материалы, содержащие оксиды марганца и меди, в которых возможна реализация электронного типа проводимости. Полученные материалы – композиты-обладают специфическими электрическими свойствами, которые проявляются в малых значениях энергии активации и температурного коэффициента электрического сопротивления, что предопределяет получение на их основе специфических электротехнических материалов, работающих в высокотемпературном диапазоне.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** варка; композит; марганец; медь; оксиды; электропараметры.

UDC 620.9

SCOPUS CODE 2001

## მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მდგრალობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირება და მართვა

- დ. ჯაფარიძე** ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  
E-mail: d.japaridze@gtu.ge
- ზ. ჯაყელ-ხუნდაძე** ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  
E-mail: zurakhundadze@yahoo.com
- ა. იოსელიანი** ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  
E-mail: ani.ioseliani@gmail.com

### რეცენზენტები:

- ნ. სამსონია**, სტუ-ის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: nanasamsonia@mail.ru
- ლ. ბოჭორიშვილი**, სტუ-ის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: lalibochorishvili@yahoo.com

**ანოტაცია:** სტატიაში, საწარმოს ფინანსური მდგრალობისა და მართვის მსოფლიო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მეცნიერულად დასაბუთებულია მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მდგრალობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირების და მართვის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტის აქტუალურობა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავებულია ფინანსური მდგრალობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირების კრიტერიუმი. კრიტე-

რიუმი კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ ძირითადი მოთხოვნაა, ფინანსური მდგრალობის მახასიათებლების პრაქტიკაში მიღებული ნორმებით შეზღუდვის პირობებში, ფულადი ნაკადების დადებითი სალდოს მაქსიმუმის მიღწევა და შენარჩუნება ყოველთვის, კვარტალურ და წლიურ პერიოდებში. ნაჩვენებია ფინანსური მდგრალობის ოპტიმალური მართვის გზები. სრულიად ახლებური მიდგომებით არის გადაწყვეტილი მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრალობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მართვის ამოცანა. ეს მეთოდის უნივერსალურ ხასიათს ატა-

რებს და წარმატებით შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერი დარგის საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის წარმართვაში.

ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები აპრობირებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე. ანალიზმა აჩვენა, რომ ენერგოსისტემას ქმედითი ღონისძიებები აქვს გასატარებელი ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად, ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფისა და მისი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართვისათვის. ამ საქმეში აუცილებელია ქვეყნის მთავრობის დახმარება, ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის უზრუნველყოფის (RAB) მეთოდით, ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფის გრძელვადიანი პერიოდისათვის (3–5 წელი) დაგეგმვასა და სემეკში მისი დამტკიცების უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომეტრიკული მოდელირება; ელექტროენერგეტიკის სისტემა; მდგრადობა; მენეჯმენტი; ფულადი ნაკადები.

## 1. შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ელექტროენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის სისტემის ფორმირების თეორიული და მეთოდური პრობლემების დამუშავება სერიოზული პრობლემაა და ამიტომ საფინანსო მეცნიერებაში ეს საკითხი სრულყოფილად არ არის დამუშავებული. საქართველოში ამ პრობლემის კვლევა პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი კვლევების [3,5,9] ანალიზმა აჩვენა, რომ სამეცნიერო შრომებში ელექტროენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის სპეციფიკას მსოფლიოში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა. ცნობილი მეცნიერების [5,6,9] მიერ შემოთავაზებული ფინანსური მენეჯმენტის მოდელირების თეორია ზოგად ხასიათს ატარებს. ამ თეორიის კომპანიების ფინანსური მდგრადობის ოპტიმალურ მოდელირებასა და მართვაში გამოყენება მოითხოვს დიდი მოცულობის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ჩატარებას.

ამ კვლევების ჩატარების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური მენეჯმენტის ოპტიმალური რეგულირება საჭიროებს პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას. ამ მიმართულებით წინა პლანზე იწვევს გრძელვადიან პერიოდში (3–5 წელიწადი) კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ამის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო-საფინანსო საქმიანობაში გათვალისწინებული იქნება მასზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორი. ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანია ამ ფაქტორების დადგენა და გრძელვადიანი პერიოდისათვის მათი პროგნოზირების მაღალი სიზუსტით განხორციელება და პროგნოზული პარამეტრების მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის მეშვეობით დაზუსტდება. ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია გრძელვადიანი პერიოდისათვის ტარიფების, ინვესტიციების, საწარმოო პროგრამისა და ფინანსური ნაკადების ოპტიმალური დაგეგმვა, ვინაიდან ამ ამოცანების გადაწყვეტა განუსაზღვრელობის ხასიათს ატარებს. კვლევაში გამოყენებული უნდა იყოს რეგრესული ანალიზისა და არამკაფიო ლოგიკის მეთოდები, ნეირონული ქსელები, ეკონომეტრიკული მოდელირება.

ფინანსური თეორიის კონტექსტში [3,5,6,10,11,12, 13,14,15] ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის სპეციფიკას მსოფლიოში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა. ცნობილი მეცნიერების [5,6,9] მიერ შემოთავაზებული ფინანსური მენეჯმენტის მოდელირების თეორია ზოგად ხასიათს ატარებს. ამ თეორიის კომპანიების ფინანსური მდგრადობის ოპტიმალურ მოდელირებასა და მართვაში გამოყენება მოითხოვს დიდი მოცულობის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ჩატარებას.

ამ კვლევების ჩატარების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური მენეჯმენტის ოპტიმალური რეგულირება საჭიროებს პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას. ამ მიმართულებით წინა პლანზე იწვევს გრძელვადიან პერიოდში (3–5 წელიწადი) კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ამის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო-საფინანსო საქმიანობაში გათვალისწინებული იქნება მასზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორი. ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანია ამ ფაქტორების დადგენა და გრძელვადიანი პერიოდისათვის მათი პროგნოზირების მაღალი სიზუსტით განხორციელება და პროგნოზული პარამეტრების მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის მეშვეობით დაზუსტდება. ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია გრძელვადიანი პერიოდისათვის ტარიფების, ინვესტიციების, საწარმოო პროგრამისა და ფინანსური ნაკადების ოპტიმალური დაგეგმვა, ვინაიდან ამ ამოცანების გადაწყვეტა განუსაზღვრელობის ხასიათს ატარებს. კვლევაში გამოყენებული უნდა იყოს რეგრესული ანალიზისა და არამკაფიო ლოგიკის მეთოდები, ნეირონული ქსელები, ეკონომეტრიკული მოდელირება.

ნანსური მდგრადობის მართვა მიზანშეწონილია აიგოს შედეგიანობის მაჩვენებლების შერჩევის, ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორების იდენტიფიკაციის, მათი ურთიერთკავშირისა და პრიორიტეტების გამოყოფით საწარმოს ფინანსური მდგრადობისათვის დამახასიათებელი რაოდენობითი მაჩვენებლების ანალიზისა და ფინანსური მდგრადობის მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის საფუძველზე. ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ნასესხები კაპიტალის მართვის ეფექტიანობით. კომპანიის განვითარება მხოლოდ საკუთრი რესურსების ჩარჩოებში პრაქტიკულად შეუძლებელია, მისი ფინანსური შესაძლებლობების გასაფართოებლად აუცილებელია ნასესხები რესურსების მოზიდვა; ნასესხები დაფინანსების რესურსების წყაროების შერჩევისა და მისი მოზიდვისთვის კისტრატეგიას განსაზღვრავს საწარმოს საბაზისო ფინანსური ნაკადების ორგანიზაციის მექანიზმები და საბაზრო პრინციპები. ნასესხები კაპიტალის ფორმირების ეფექტიანი და მოქნილი მართვა ხელს უწყობს საწარმოს ოპტიმალური ფინანსური სტრუქტურის შექმნას და უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას.

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები [4,5,6,8,10] საწარმოს ფინანსური მდგრადობის მართვისადმი რესურსულ-მმართველობით მიდგომაში გამოყოფენ ნასესხები საშუალებების ეფექტიანობის დამოკიდებულებას ორგანიზაციის მართვის ხარისხთან, რაც საშუალებას იძლევა ფორმირებული იყოს ნასესხები კაპიტალის მართვის ეფექტიანობა.

ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფილად წარმართვისათვის აუცილებელია მისი განმსაზღვრელი ფაქტორების საფინანსო-სამეცნიერო ოპე-

რაციების ისეთი სახით წარმართვა, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფულადი ნაკადების შემოდინება-გადინების დადებითი ბალანსი, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, კაპიტალის საშუალოშეწონილი შემოსავლიანობის, ფინანსური ბერკეტის ლიკვიდურობის და კომპანიის გადახდისუნარიანობის დასაშვებ ნორმებში შენარჩუნება, ფულადი საშუალებების ხარჯვის შედეგიანობა და ეფექტიანობის მეცნიერული ანალიზი. კომპანიის ფინანსური მდგრადობის მართვასა და საქმიანობაში შემოთავაზებული დონისძიებების გატარება საშუალებას იძლევა, მეცნიერული კვლევის საფუძველზე, შესრულდეს ფინანსური მდგრადობის კომპლექსური შეფასება; გაიზომოს საფინანსო საქმიანობის შედეგები და მიღწეული შედეგების მიხედვით დაიგეგმოს კომპანიის მუშაობა; განისაზღვროს მისი მდგრადი ფინანსური განვითარების ზღურბლის პროგნოზული სიდიდეების რაოდენობრივი კრიტერიუმები და განხორციელდეს მათი ჩართვა კომპანიის საფინანსო საქმიანობის დაგეგმვის სისტემაში.

### ძირითადი ნაწილი

გრძელვადიან პერიოდში ელექტროენერგეტიკული კომპანიის გამართული მუშაობისათვის უნდა განხორციელდეს ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური მართვა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებით. ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელის ფორმირების ოპტიმალურ კრიტერიუმს საფუძველად უნდა დაედოს, კომპანიის საინვესტიციო, საწარმოო და ენერგოდაზოგვითი ფაქტორების გათვალისწინებით, გრძელვადიანი პერიოდისათვის (3–4 წელი) ოპტიმალურად დაგეგმილი ტარიფის მაჩვენებლებით შეზღუდვის

პირობებში, ფულადი ნაკადების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის ისეთი სახით განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საწარმოს ფინანსური მდგრადობის და ფუნქციონირების საიმედოობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის მართვის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელის ფორმირების კრიტერიუმში შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის მეთოდით (RAB) გრძელვადიან პერიოდში (3-5 წელი) ოპტიმალურად დაგეგმილი ტარიფის სიდიდის, ფინანსური მდგრადობის მახასიათებლების საერთო გადახდისუნარიანობის, კრედიტზე პროცენტის დაფარვის, საერთო ლიკვიდურობის, მდგრადი ზრდის კოეფიციენტის, ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელურობის დასაშ-

ვები ნორმებით შეზღუდვის პირობებში უზრუნველყოფილი იყოს ფულადი ნაკადების დადებითი სალდო. შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანგარიშის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელი მიიღებს სახეს:

- მიზნობრივი ფუნქცია

$$f(t) = \sum_{i=1}^t [\varphi(t)_{i_{შეშ}} - \varphi(t)_{i_{გად}}] > 0 \rightarrow \max. \quad (1)$$

ფორმულა აღნიშნავს ფულადი ნაკადების შემოდინება-გადინების სალდოს ანუ აქტიურ ბალანსურ ეფექტს, სადაც  $\sum_{i=1}^t \varphi(t)_{i_{შეშ}}$  არის ფულადი ნაკადების შემოდინების ჯამური სიდიდე t დროის განმავლობაში;  $\sum_{i=1}^t \varphi(t)_{i_{გად}}$  – ფულადი ნაკადების გადინების ჯამური სიდიდე t დროის განმავლობაში.

- შეზღუდვების სისტემა

საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი,  $K_{i_{გად}} = \frac{ZC_i}{OA_i} \leq 0.3;$

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი,  $K_{i_{ლიკ}} = \frac{TA_i}{TP_i} \geq 2;$


კრედიტზე პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი,  $K_{i_{პროც}} = \frac{OP_i}{B_i} \geq 1,3+2;$

აქტივების რენტაბელურობა,  $K_{i_{რენტ}} = \frac{(NP_{i+P_i})x(1-HP)}{OA_i} > 0;$

ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელურობა,  $K_{i_{რენტ}} = \frac{(NP_{i+P_i})x(1-HP)}{IK_i} > 0,1;$

მდგრადი ზრდის კოეფიციენტი,  $K_{i_{ზრდ}} = \frac{NP_i - D}{AK_i} > 0;$

გრძელვადიანი პერიოდისათვის ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის მეთოდის საფუძველზე დაგეგმილი ტარიფი,  $T_{გგ}$  თეთრი/კვტ.სთ;



(2)

სადაც  $ZC_i$  არის  $i$  ბიჯზე ჯამური ვალის მოცულობა, ათასი ლარი;  $OA_i$  –  $i$  ბიჯზე აქტივების ჯამური ღირებულება, ათასი ლარი;  $TA_i$  –  $i$  ბიჯზე აქტივების ღირებულება, ათასი ლარი;  $TP_i$  –  $i$  ბიჯზე პასივების ღირებულება, ათასი ლარი;  $OP_i$  –  $i$  ბიჯზე კრედიტების პროცენტების გადახდამდე ოპერაციული მოგება, ათასი ლარი;  $B_i$  –  $i$  ბიჯზე კრედიტზე გადასახდელი პროცენტების თანხის მოცულობა, ათასი ლარი;  $NP_i$  –  $i$  ბიჯზე წმინდა მოგება, ათასი ლარი;  $P_i$  –  $i$  ბიჯზე პროცენტი კრედიტზე, ათასი ლარი;  $HP_i$  –  $i$  ბიჯზე მოგების გადასახადის ნორმა, ათასი ლარი;  $IK_i$  –  $i$  ბიჯზე ინვესტირებული კაპიტალის მოცულობა, ათასი ლარი;  $AK_i$  –  $i$  ბიჯზე საწყისი აქციონერული კაპიტალის მოცულობა, ათასი ლარი.

(1) ფორმულაში ფულადი ნაკადების მაფორმირებელი მაჩვენებლების ჩასმით მივიღებთ:

$$\sum_{i=1}^t [\varphi(t)_{i\text{გაფ}}] = \sum_{i=1}^t (Q_i + L_i + Bt_i + CK_i + 3K_i) \quad (3)$$

$$\sum_{i=1}^t [\varphi(t)_{i\text{გაფ}}] = \sum_{i=1}^t (OP_i + Y_i + PK_i + H_i + B_i + D_i); \quad (4)$$

$$F(t) = \sum_{i=1}^t (Q_i + L_i + Bt_i + CK_i + 3K_i) \times (OP_i + Y_i + PK_i + H_i + B_i + D_i) > 0 \rightarrow \max, \quad (5)$$

სადაც  $Q_i$  არის  $i$  ბიჯზე პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები (ათასი ლარი) და განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Q_i = W_i T_{nt}, \quad (6)$$

სადაც  $W_i$  არის რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) მოცულობა, კვტ.სთ;  $T_{nt}$  – პროდუქციის (მომსახურების) გეგმური ტარიფი, ლარი/კვ.სთ;  $L_i$  –  $i$  ბიჯზე ხედმეტი აქტივების რეალიზაციიდან შემოსავალი, ათასი ლარი;  $B_i$  –  $i$

ბიჯზე რეალიზაციის გარეშე მიღებული შემოსავალი, ათასი ლარი;  $CK_i$  –  $i$  ბიჯზე აქციონერული (საკუთარი) კაპიტალის შემოდინება, ათასი ლარი;  $3K_i$  –  $i$  ბიჯზე სესხის მოცულობა, ათასი ლარი;  $OP_i$  –  $i$  ბიჯზე საოპერაციო ხარჯების მოცულობა, ათასი ლარი;  $Y_i$  –  $i$  ბიჯზე დანახარჯები მუდმივი და ცვლადი აქტივების შექმნაზე, ინვესტიციები, ათასი ლარი;  $PK_i$  –  $i$  ბიჯზე სესხის პროცენტის მოცულობა, ათასი ლარი;  $H_i$  –  $i$  ბიჯზე გადასახადების მოცულობა, ათასი ლარი;  $BK_i$  –  $i$  ბიჯზე ვალის გადასახადის მოცულობა, ათასი ლარი;  $D_i$  –  $i$  ბიჯზე დივიდენდების გადახდის მოცულობა, ათასი ლარი.

ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მართვის შემოთავაზებული მეთოდის პრაქტიკული რეალიზაცია მსხვილ ელექტროენერგეტიკულ კომპანიებს საშუალებას აძლევს ფინანსური მდგრადობის მართვა განახორციელონ საქმიანობის ყოველ ბიჯზე. მიზანშეწონილია ეს პროცესი მოიცავდეს თვეს, კვარტალს, წელიწადს. ამ ამოცანის მოთხოვნილ დონეზე გადასაწყვეტად კომპანიას უნდა ჰქონდეს ფინანსური მდგრადობის განსაზღვრისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაციის მომზადების მწყობრი სისტემა. არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ფულადი ნაკადების ყველა ტიპის (სახის) შემოდინება-გადინების სალდოს დასახასიათებლად, მოცემულ და წინსწრებ ბიჯებზე ასეთი ინფორმაციის არსებობა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები კომპანიის ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად.

მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მართვის შემოთავაზებული მეთოდის პრაქტიკაში აპრობაციის

მიზნით გაანალიზებულ იქნა საქართველოს (წწ.) ფინანსური მაჩვენებლები [1,2]. ანალიზის ელექტრონერგეტიკული სისტემის (2005–2014) შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსური მაჩვენებლები (2005–2014 წწ.)**

წლები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
დასახელება	ათასი ლარი									
შემოსავლები	72 559	57 409	47 297	46 651	42 872	50 085	54 952	54 154	61 337	86 210
გრძელვადიანი აქტივები	82 135	96 530	114 255	158 294	336 721	511 628	706 301	997 982	957 538	1 008 553
მიმდინარე აქტივები	17 629	23 785	32 113	48 907	36 132	59 119	141 909	46 317	65 732	69 838
სულ აქტივები	99 764	120 315	146 368	207 201	372 853	570 747	848 210	1 024 359	1 023 270	1 078 391
კაპიტალი	130 275	-106 342	-75 268	17 858	171 006	209 236	293 080	282 437	219 806	259 842
გრძელვადიანი ვალდებულებები	200 797	209 966	199 449	159 541	177 259	326 449	410 832	620 187	712 835	686 584
მიმდინარე ვალდებულებები	7 765	16 691	22 187	29 802	24 588	35 062	144 298	121 735	90 629	131 965
სულ ვალდებულებები	208 562	226 657	221 636	189 343	201 847	361 511	555 130	741 922	803 464	818 549
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	99 764	120 315	146 368	207 201	372 853	570 747	848 210	1 024 359	1 023 270	1 896 940
მთლიანი ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან	72 559	57 409	52 540	5 347	83 918	62 097	59 321	60 171	75 413	76 535
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	-22 582	1 912	28 868	30 576	-41 742	526	24 605	-14 553	-57 525	3 654
საერთო მოგება/ზარალი მოცემული წლისთვის	-35 667	-4 421	27 548	27 763	99 462	3 812	19 275	-10 862	-63 035	3 572
გადახდილი პროცენტი	1 716	2 262	1 716	3 154	4 873	5 597	5 356	4 694	4 182	-9 689
სესხების ანგარიშსწორება	0	1 729	3 885	5 476	24	3 701	0	8 298	8 582	-24 448

1-ელ ცხრილში ასახული ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით განისაზღვრა ფინანსური მდგრადობის მახასიათებლები. ანგარიშის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსური მდგრადობის**

მაჩვენებლები (2005–2014 წწ.)

#	დასახელება	წლები									
		2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
1.	საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2,27	1,43	1,45	1,64	1,47	1,69	0,98	0,38	0,73	0,64
2.	საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	2,09	1,88	1,51	0,91	0,54	0,63	0,65	0,72	0,79	0,80
3.	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	-12,16	1,85	17,82	10,69	-7,57	1,09	5,59	-2,10	-12,76	0,28
4.	საინვესტიციო კაპიტალის რენტაბელურობა ROI	-0,40	-0,09	0,26	0,13	0,55	0,03	0,05	-0,01	-0,24	0,07
5.	ROA- აქტივების რენტაბელურობა	-0,36	-0,04	0,19	0,13	0,27	0,01	0,02	-0,01	-0,06	0,003
6.	SGR- მდგრადი ზრდის კოეფიციენტი	0,273782	0,041573	-0,365999	1,554653	0,581629	0,018219	0,065767	-0,038458	-0,286776	0,013747

ამ ცხრილის მონაცემებით, პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელით, ჩატარდა მდგრადობის მაჩვენებლის გრძელვადიანი პროგნოზირება.

მსხვილი ენერგოენერგეტიკული კომპანიის მდგრადობის პროგნოზირების ავტორეგრესულ განტოლებას ექნება სახე:

$$Y=ay^{-1}+by^{-2}+c, \quad (7)$$

სადაც  $a$ ,  $b$  არის რეგრესიის კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებს შესაბამისი ფაქტორის გავლენის ხარისხს საპროგნოზო მაჩვენებელზე.

სხვა ფაქტორების ფიქსირებული მნიშვნელობის დრო;

$y^{-1}$  – ფინანსური მდგრადობის წინა წლის მაჩვენებელი;  $y^{-2}$  – ფინანსური მდგრადობის 2 წლის წინა პერიოდის მაჩვენებელი;  $C$  – თავისუფალი წევრი.

(7) განტოლების მეშვეობით და უმცირეს კვადრატთა მეთოდით, მე-2 ცხრილის მონაცემების საფუძველზე, ჩატარდა ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზირება. ანგარიშის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსური მდგრალობის პროგნოზული მაჩვენებლები (2012–2020 წწ.)**

მუდმივი სიდიდე A=0.71, B=-0.04, C=0.34	საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი								
	პროგნოზის განტოლება $Y=0.71*y^{-1}+(-0.04)*y^{-2}+0.34$								
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პროგნოზული მაჩვენებელი	0,38	0,73	0,53	0,64	0,55	0,61	0,55	0,58	0,55
მუდმივი სიდიდე A=1.06, B=-0.45, C=0.31	საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი								
	პროგნოზის განტოლება $Y=1.06*y^{-1}+(-0.45)*y^{-2}+0.31$								
	პროგნოზული მაჩვენებელი	0,72	0,79	0,759047	0,804131	0,751348	0,809185	0,735386	0,8176745
მუდმივი სიდიდე A=0.32, B=-0.76, C=2.46	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი								
	პროგნოზის განტოლება $Y=0.32*y^{-1}+(-0.75)*y^{-2}+2.46$								
	პროგნოზული მაჩვენებელი	-2,10	-12,76	0,62	0,28	12,50	2,18	6,18	-6,31
მუდმივი სიდიდე A=-0.06, B=-0.23, C=0.33	საინვესტიციო კაპიტალის რენტაბელურობა								
	პროგნოზის განტოლება $Y=-0.06*y^{-1}+(-0.23)*y^{-2}+0.33$								
	პროგნოზული მაჩვენებელი	-0,04	-0,29	0,011	0,069	0,098	0,097	0,099	0,098
მუდმივი სიდიდე A=0.33, B=-0.199, C=0.053	ROA-აქტივების რენტაბელურობა ( 5%<კარგია)								
	პროგნოზის განტოლება $Y=0.33*y^{-1}+(-0.199*y^{-2})+0.053$								
	პროგნოზული მაჩვენებელი	0,020	0,017	0,014	0,035	0,330	-0,200	0,023	-0,097
მუდმივი სიდიდე A=0.006, B=-0.25, C=0.26	SGR-მდგრადი ზრდის კოეფიციენტი								
	პროგნოზის განტოლება $Y=0.006*y^{-1}+(-0.25*y^{-2})+0.26$								
	პროგნოზული მაჩვენებელი	-0,03846	-0,28678	0,01375	0,26753	0,00267	-0,25109	0,00143	0,26619

ცალკე ანალიზს დაექვემდებარა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფულადი ნაკადების სადღოს ფორმირების პრობლემა. ამ მიზნით შესწავლილ იქნა 2012–2014 წლებში ელექტროენერგეტიკული სისტემის აუდიტორული შედეგების შედეგები [1, 2]. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ფულადი ნაკადების (შემოდინება-გაღი-

ტროენერგეტიკული სისტემის აუდიტორული შედეგების შედეგები [1, 2]. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ფულადი ნაკადების (შემოდინება-გაღი-ნების) საწყისი ინფორმაცია მე-4 ცხრილის სახით.

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფულადი ნაკადების მოძრაობა (2012–2014 წწ.)**

ფულადი ნაკადების სახეები	წლები		
	2012	2013	2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების	(10741)	(57525)	3654
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	32409	33096	51122
ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან წარმოშობილი ზარალი, წმინდა	1918	1827	2529
წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯები	(528)	61455	(5280)
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	(3812)	(528)	(3357)
ცვლილებები:			
მარაგები	1591	(3320)	320
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(25842)	7060	1615

გრანტები	(3024)	2234	13417
აენსები	(5465)	803	(8110)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	43924	(504)	(54)
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	-	(624)	10320
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	960	2397
ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე განხორციელებული ოპერაციებიდან	44064	44934	68573
გადახდილი პროცენტი	(9689)	(4182)	(4694)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58884	40752	39370
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტები	7233	3302	2709
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	-	595
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექენა	(258902)	(90434)	(72804)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(251670)	(87132)	(69500)
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოსავლები სესხებიდან	156840	67840	38750
რესტრუქტურისებული ვალდებულებების ანგარიშსწორება	(3232)	(2922)	(5431)
სესხების ანგარიშსწორება	(8298)	(8582)	(24448)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	145310	55797	8871
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულად სახსრებში და მათი ეკვივალენტი	(66990)	9417	(1745)
ზრდა წმინდა ფულად სახსრებში და მათი ეკვივალენტი 1 იანვრის მდგომარეობით	89764	21878	32914
სავალუტო კურსის მერყეობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(896)	1619	(42)

მე-4 ცხრილში ასახული მონაცემების და რიში და მისი გრძელვადიანი პროგნოზირება. კომპიუტერული პროგრამა excel-ის მეშვეობით ჩატარებული კვლევის შედეგები მოცემული მე-5 შესრულდა ფულადი ნაკადების სალდოს ანგა- ცხრილში.

ცხრილი 5

**ფულადი ნაკადების სალდოს საპროგნოზო მაჩვენებლები (2012–2020 წწ.)**

დასახელება	წლები								
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მუდმივი სიდიდე A=0.21, B=0.04 C=24425.74	<b>ფულადი ნაკადების სალდო</b>								
	<i>პროგნოზის განტოლება <math>Y=0.21*y^{-1}+0.04*y^{-2}+24425.74</math></i>								
ფულადი ნაკადების სალდოს საპროგნოზო მაჩვენებელი, ათასი ლარი	21878,00	32914	31127	32165	32262	32402	32466	32499	32518

მე-5 ცხრილში ასახული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგეტიკულ სისტემას მუდმივად შენარჩუნებული აქვს ფულადი ნაკადების დადებითი სალდო, თუმცა ეს შედეგი მიღწეულია ნასესხები კაპიტალით და არა ეკონომიკური საქ-

მიანობის გაუმჯობესებით. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფინანსური მდგრადობისა და მართვის შემოთავაზებული მეთოდით მიღებული შედეგები მოცემულია შემავსებელ მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგებითი მაჩვენებლები**

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
<b>საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{საერთო} \geq 2$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	0,38	0,73	0,53	0,64	0,55	0,61	0,55	0,58	0,55
<b>საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{საერთო} \leq 0.3$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	0,72	0,79	0,759047	0,804131	0,751348	0,809185	0,735386	0,8176745	0,7166756
<b>პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{პროც} 1,3+2$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	-2,10	-12,76	0,62	0,28	12,50	2,18	6,18	-6,31	2,79
<b>საინვესტიციო კაპიტალის რენტაბელურობა</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{საინვესტი} > 0,1$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	-0,04	-0,29	0,011	0,069	0,098	0,097	0,099	0,098	0,098
<b>ROA-აქტივების რენტაბელურობა( 5%&lt;კარგია)</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{ROA} > 0$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	0,020	0,017	0,014	0,035	0,330	-0,200	0,023	-0,097	0,321
<b>SGR- მდგრადი ზრდის კოეფიციენტი</b>									
პრაქტიკით აპრობირებული ნორმა (X)	$K_{SGR} > 0$								
პროგნოზული მაჩვენებელი X	-0,03846	-0,28678	0,01375	0,26753	0,00267	-0,25109	0,00143	0,26619	0,00195
<b>Cashflo –ფულადი ნაკადები</b>									
მდგრადობის კრიტერიუმის მოთხოვნა	$f(t) > 0 \rightarrow max$								
პროგნოზული რეალური მაჩვენებელი ('000 ლრი)	21878	32914	31127	32165	32262	32402	32466	32499	32518

მე-6 ცხრილში მოცემული ფინანსური მდგრადობის შესახებ მონაცემების შედეგებით ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები სრულად ვერ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს და მკვეთრად ჩამორჩება პრაქტიკით დადგენილ ნორმებს.

**დასკვნა**

1. შემუშავებულია მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის მართვის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მართვის ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც უნივერსალურ ხასიათს ატარებს. მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი დარგის საწარმოში;

2. მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასების ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მართვის შემოთავაზებული მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას იძლევა საწარმოში ჩამოყალიბდეს ფინანსური მენეჯმენტის მწყობრი სისტემა. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, დროის ნებისმიერ მომენტში, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა მიიღოს ოპერატიული ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ და გაატაროს დროული და ეფექტური ღონისძიებები წამოჭრილი პრობლემების უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად;

3. ზემოთ მითითებული მსხვილი ელექტროენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგრადობის ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელირებისა

და მართვის მეთოდის აპრობირებულ იქნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზაციამ გადამჭრელი ზომები უნდა გაატაროს ფინანსური მდგრადობის ასამაღლებლად, რაშიც სახელმწიფოს მხრიდან დროული დახმარება დასჭირდება;

4. სისტემაში გაიზარდა ორგანიზაციის ვალდებულებები, რომელთა მოცულობამ 2014 წელს 818,549 მილიონი ლარი შეადგინა. სულ ვალდებულებამ და კაპიტალმა ჯამში 1078,491 მილიონ ლარს მიაღწია. ამჟამად მოქმედი ტარიფის პირობებში კომპანიას არ შეუძლია პრობლემების დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დახმარების გარეშე გადაწყვეტა.

## ლიტერატურა

1. Georgian State Elctrosystem annual report 2005-2014. <http://www.gse.com.ge/new/?cat=7> (In English).
2. Georgian State Elctrosystem annual audit reports 2005- 2014 <http://www.gse.com.ge/new/?cat=7> (In English).
3. Jackson M. The Financial Modeling in Excelence and VBA. Moscow, magazine "diagnostics" №6 2006.
4. Grachev A.V. Analysis of the Financial and Economic Condition of the Enterprise in Modern Conditions. magazine " Management in Russia and Abroad." 2005 №3 (In Russian).
5. Grachev. A.V. Methods of Dynamic Assessment of Financial Stability of the Company. Magazine, "Auditing and Financial Analysis" №5 2012. (In Russian).
6. Usachev E.V. Methodological Problems of Assessing the Financial Stability of Modern Russia. "Journal of Russian Entrepreneurship" №6 2010. (In Russian).
7. Leonova E. Al., Enterprise Financial Stability and the Direction of its Increase. Abstract of Dissertation for the Degree of Candidate of Economic Sciences. Moscow 2012. (In Russian).
8. Voronov T.A. Lyapunov S.I. Popov V.A. Business Forms and Budgeting Cash Flow. Magazine, "Finance and Statistics", 2003. (In Russian).
9. Hams R.I. Financial Sustainability of Energy Companies. Publishing, Polytech 2005. (In English).
10. Sokolov Y.A. Okryakov RV, beam A.S. Managing Financial Stability Company (Edited by V.R. Okorokova) - SPB Publishing "Nestor" 2005. (In Russian).
11. M.I. Rimer, V.D. Kasatonov, M.N. Matienko, Economic Evaluation of Investments. 2 Edition - SPB "Peter." 2007. (In Russian).
12. Fonseka, Mohan; Tian, Gaoloang, The Most Appropriate Sustainable Growth Rate (SGR) Model for Managers and Researchers, American Accounting Association 2011. (In English).
13. Weston, J. Fred and Eugene F. Brigham, Managerial Finance 2010. (In English).
14. Richard Brealey; Stewart Myers; Franklin Allen, Principles of Corporate Finance 2013. (In English).
15. Allan M. Malz, Financial Management 2015. (In English).

UDC 621.397.2

SCOPUS CODE 2001

## OPTIMAL ECONOMETRICAL MODELLING AND MANAGEMENT OF FINANCIAL SUSTAINABILITY AT THE MAJOR ELECTRIC POWER PROCESSING INSTITUTION

- D. Japaridze** Department of power engineering, electronics and electromechanics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: d.japaridze@gtu.ge
- Z. Jakeli-Khundadze** Department of power engineering, electronics and electromechanics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: zurakhundadze@yahoo.com
- A. Ioseliani** Department of power engineering, electronics and electromechanics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: ani.ioseliani@gmail.com

### Reviewers:

**N. Samsonia**, professor, Department of power engineering, electronics and electromechanics, faculty of power engineering and telecommunication, GTU

E-mail: nanasamsonia@mail.ru

**L. Bochorishvili**, professor, Department of power engineering, electronics and electromechanics, faculty of power engineering and telecommunication, GTU

E-mail: lalibochorishvili@yahoo.com

**ABSTRACT:** There is outlined the scientific substantiation of optimal modelling in terms of financial sustainability at the major electric power processing institution. The analysis has been conducted on the grounds of international experience in management and financial sustainability. According to the outcomes of the research, the optimal econometrical criterion for assessment of the financial sustainability has been generated. The criterion function is to provide maximization of the positive cash flows balance monthly, quarterly and yearly in terms of the commonly accepted boundaries of the financial stability indicators. The article outlines optimal ways of the financial sustainability as well as it illustrates innovative approaches of optimal econometrical modelling and major management methodology to be used at the electric power processing institution. This methodology implies universal function, that could be implemented at financial management of any institution.

The outcomes received from the research are based on the example of Georgian State Electrosystem. According to the research, Georgian State Electrosystem has to undertake major event for improvement of the financial sustainability, as well as being up to date with the challenges of the modern environment. In order to improve the current state, it is necessary to involve the country government, as well as provide long term (3-5 years) electricity transportation tariff according to RAB method, Venture capital entry.

**KEY WORDS:** cash flows; econometrical modelling; electric power system; management; sustainability.

UDC 621.397.2

SCOPUS CODE 2001

## АДАПТИВНОЕ ЭНТРОПИЙНОЕ КОДИРОВАНИЕ МАССИВА ГЛАВНЫХ КОЭФФИЦИЕНТОВ ДИСКРЕТНОГО КОСИНУСНОГО ПРЕОБРАЗОВАНИЯ

- Джапаридзе Д.А.** Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: d.japaridze@gtu.ge
- Джакели-Хундадзе З.Н.** Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: zurakhundadze@yahoo.com
- Иоселиани А.М.** Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: ani.ioseliani@gmail.com

### Рецензенты:

**Н. Самсония**, профессор Департамента электроэнергетики и электромеханики факультета энергетики и телекоммуникаций ГТУ

E-mail: nanasamsonia@mail.ru

**Л. Богоришвили**, профессор Департамента электроэнергетики и электромеханики факультета энергетики и телекоммуникаций ГТУ

E-mail: lalibochorishvili@yahoo.com

**АННОТАЦИЯ:** На основе анализа мирового опыта оценки финансовой устойчивости и управления, научно обоснована актуальность решения на уровне современных требований задачи оптимального эконометрического моделирования и управления финансовой устойчивостью крупных электроэнергетических компаний.

Исходя из результатов исследований, разработан критерий оценки оптимального моделирования финансовой устойчивости. Критерий носит комплексный характер. Основное критериальное требование заключается в том, что на практике в условиях ограничения апробированными нормами показателей финансовой устойчивости, будет достигнуто максимальное положительное сальдо денежных потоков и их соблюдение в ежемесячный, квартальный и годовой периоды. Совершенно новым подходом решена задача оптимального эконометрического моделирования и управления финансовой устойчивостью крупных электроэнергетических компаний. Предложенная методика носит универсальный характер и её успешно можно использовать в осуществлении финансового менеджмента на предприятиях любой отрасли производства. Полученные результаты апробированы на примере электроэнергетической системы Грузии. Анализ показал, что в указанной системе должны быть приняты действенные меры для улучшения финансовой устойчивости и совершенствования финансового менеджмента. Для решения этой задачи необходимо планирование тарифа на передачу электроэнергии по методу обеспечения доходности инвестированного капитала (RAB) на долгосрочный период (3-5) лет.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** денежный поток; менеджмент; устойчивость; эконометрическое моделирование; электроэнергетическая система.

UDC 621.1

SCOPUS CODE 2105

**საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენარი**

- გ. არაბიძე** თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  
E-mail: giagiorgi@hotmail.com
- ი. ფხალაძე** თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  
E-mail: ipkhaladze@yahoo.com

**რეცენზენტები:**

**გ. გინეიშვილი**, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: gogigin@yahoo.com

**ვ. მუსელიანი**, შპს „ინჟინერი 2008“, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საბრძოლო და სანადირო იარაღების ყველაზე მთავარი ელემენტი სპეციალური მილია, რომელსაც ლულა ეწოდება. მისი დამზადების სრულყოფილი ტექნოლოგია განსაზღვრავს მიზანში სროლის სიზუსტეს. გარდა ამისა, მიზანში ბურჩხად მოხვედრის სიზუსტე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შესაბამისი კალიბრის ტყვიისათვის ხვიარა ღარების ბიჯთან, სალულე ფოლადის სწორად შერჩევასა და, რაც მთავარია, სრულყოფილი ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარის არსებობასთან.

### ძირითადი ნაწილი

სასროლი იარაღის ლულის უმეტესობა მზადდება შიგა ზედაპირზე ხრახნული (ხვიარა) ღარების დატანით. ხვიარა ღარებში ხდება ტყვიის წამყვანი ზედაპირის შეჭრა და ანიჭებს ბრუნვით მოძრაობას საკუთარი გრძივი ღერძის გასწვრივ, რის შედეგად ტყვია სწრაფად და სტაბილურად მოძრაობს.


ლულის შიგა ზედაპირის დამუშავების რამდენიმე ხერხი არსებობს: მექანიკური – სპეციალურ ჩარხზე გაბურღვით; დაწნევა-გამოწევათი (ადიდვით); როტაციული ჭედვით (ცივი ჭედვა) სამართულზე; ელექტროქიმიური და ელექტროფიზიკური მეთოდებით.

მზა ლულის ხარისხს განსაზღვრავს მწარმოებლის მკაცრი სტანდარტები და სალულე ფოლადის ხარისხი. მსოფლიოში ცოტაა სპეციალური ფოლადის მწარმოებელი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს სალულე ფოლადი სპეციფიკური თვისებების ერთობლიობით და მოთხოვნების შესაბამისობის იდეალურობით. ამ

მწარმოებლებიდან შეიძლება აღინიშნოს ფირმა Carpenter Technology Corporation (აშშ), რომელიც არ ერიდება დიდ ხარჯს ასეთი იარაღის წარმოებისათვის და ზედმიწევნით აკონტროლებს უმნიშვნელო წუნს, სტრუქტურულ თუ სხვა სახის დეფექტებს.

ეს ფირმები მაღალი სიზუსტის ლულების დამზადებისათვის იყენებენ 416R მარკის უჟანგავ ფოლადს (საბჭოთა ანალოგი – ფოლადი 20X13) და 416S მარკის ფოლადს გოგირდის მომატებული რაოდენობით და ამზადებენ სქელკედლიან ლულებს. ეს ფოლადები ნაკლებად ცვეთს მჭრელ იარაღებს და მნიშვნელოვნად ზრდის მექანიკური დამუშავების სიჩქარეს. ლულის სავაზნე ნაწილისათვის, სადაც ხდება დენთის რგოლური აალება, იყენებენ 1137 მარკის ფოლადს (საბჭოთა ანალოგია ფლ. 35F2). გამოიყენება ასევე 4140 მარკის ქრომობლენდინიანი ფოლადი (ანალოგები – ფლ. 42XM და 38XMA).

ყველა ჩამოთვლილი ხერხისათვის საერთოა ნამზადების წინასწარ გახვრეტა სპეციალურ ჩარხზე ღრმა გაბურღვით, ზუსტად გარე ზედაპირის ღერძის გასწვრივ. ეს ოპერაცია სრულდება 1-ელ სურათზე მოცემულ ჩარხზე.




სურ. 1. სალულე ნამზადების ღრმა გაბურღვის ჩარხი

მექანიკური დამუშავებით, ე.ი. ლულის შიგა ზედაპირზე სპეციალური გრძივი საჭრისით ხვეულა ღარის გაჭრა ყველაზე ძველი ტექნოლოგიური ხერხია. ასეთი დამუშავების არსი მდგო-

მარეობს იმაში, რომ საჭრის მრავალჯერადად ატარებენ ლულის შიგა ზედაპირზე და ერთი გავლით მთელ სიგრძეზე მუშავდება ერთი ღარი. ჭრის დროს მჭრელი იარაღი ან ნამზადი ასრულებს ბრუნვით მოძრაობას სპეციალურ ჩარხზე, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად შესრულდეს ღარის სასურველი ბიჯი და სიღრმე. პროცესის დამთავრების შემდეგ საჭრის ბრუნდება სავაზენ ღრუში და შემდეგ ოპერაცია რამდენჯერმე მეორდება. ამრიგად, საჭირო სიღრმის ერთი ღარის მისაღებად აუცილებელია საჭრის დაახლოებით 25-მდე გავლა. ჭრის შემდეგ ახდენენ ლულაში ღარების უხეში ზედაპირების მიღწევას. ამ ხერხით ღარების მიღება საკმაოდ შრომატევადი და ძვირად ღირებული პროცესია. ამასთან, ღარების მოჭრისას ხდება მასალის ბოჭკოების ჭრა, რაც არღვევს შიგა სტრუქტურას და უარესდება სიმტკიცის მახასიათებლები. მიუხედავად ამისა, სანადირო იარაღისათვის ელიტარული ლულები ჯერ კიდევ იწარმოება, მაგალითად, ამერიკული ფირმები „Bartlin“ და „Kneger“ ლულებს ამზადებენ აღნიშნული ტრადიციული ხერხით.

დაწნევით და გამოწვევით, პუანსონის საშუალებით, ლულების დამზადება მიეკუთვნება ცივად დეფორმირების მეთოდს, ბურბუშელას მოხსნის გარეშე. ლულაში დაწნევა-გამოწვევით (ადიდვით) ღარების დატანის სქემა მოცემულია მე-2 სურ-ზე.



სურ. 2. ადიდვით ღარების დატანის სქემა:

1. ნამზადი; 2. პუანსონი; 3. როტაციული ჭედვის საცემი


დაწნევით და გამოწვევით ლულაში ხვია რღარების დატანის მეთოდი ყველაზე მარტივი და იაფი ტექნოლოგიური პროცესია. ლულის დამზადებისათვის ნამზადები ზომებად დაჭრისა და ნორმალიზაციის შემდეგ მთელ სიგრძეზე იბურდება შესაბამისი დიამეტრის ნახვრეტზე. შემდეგ მუშავდება საფართით (იარაღი) და მიხეხვა-მიღწევით. მიხეხვა-მიღწევა მოსაპირკეთებელი დამუშავებაა სპეციალურ ჩარხზე წვრილმარცვლოვანი აბრაზიული წნელით (იარაღით). იგი ასრულებს ბრუნვით და შესვლა-გამოსვლით მოძრაობას, რის შემდეგაც უშუალოდ აწარმოებენ ხვეულა ღარის დატანას პუანსონის დაწნევა-გამოწვევით. აღნიშნული იარაღი ვოლფრამის კარბიდისაგან დამზადებული მაღალი სისაღის ღეროა ხრახნული ტიპის ზედაპირით, რომელსაც ლულაში ღარის შებრუნებული პროფილი უკეთდება. აბრაზიული ღერო 80000 ნიუტონის ტოლი ძალით გამჭოლად მიეწოდება ლულის ნახვრეტში და ახდენს შიგა ზედაპირის ფორმირებას და თვით ფოლადის გამკვრივებასაც. შედეგად ნაკლები სიმჭისის ზედაპირი მიიღება ჭრით მიღებულთან შედარებით. ამავე დროს შიგა ზედაპირზე წარმოიქმნება ძაბვა, რომელსაც ხსნიან თერმული დამუშავებით (ნორმალიზაცია) ვაკუუმურ ღუმელში აზოტის არეში. ასეთი მძიმე ოპერაციების შემდეგ ზოგჯერ საჭირო ხდება ლულის გასწორება (შეზუსტება) ნახვრეტის სწორხაზოვნების აღსადგენად.

სამართულზე ცივი ჭედვის მეთოდი შემუშავებულ იქნა გერმანიაში მეორე სამამულო ომამდე (30-იან წლებში). პროცესი საკმაოდ ძვირად ღირებული იყო, ამიტომ ძირითადად იარაღების დამამზადებელი მსხვილი საწარმოები იყენებდნენ. სამართულზე როტაციული ჭედვისას პროცესთან ერთად იგი მიეწოდება ლულის სიღრმეში და თან ბრუნვით მოძრაობას ასრულებს. ცივი ჭედვის ორი მეთოდი არსებობს: 1) ავსტრიული ფირმა „GFM GmbH“ ლულებს

აწარმოებს ე.წ. „ჰიდრაგლიკური ჭედვით“. მათი მანქანები ჭედვას ახორციელებს ვერტიკალურად დაყენებულ ნამზადებზე პრიზმული საცემებით, რომლებიც მუშაობს ჰიდროამძრავების საშუალებით. საღულე ნამზადი აქ ასრულებს ბრუნვით მოძრაობას. ამ მეთოდით დამუშავებისას ჭედვას სავაზნეც განიცდის, ამიტომ მოქმედებს დეფორმაციის დიდი ხარისხი, რაც იწვევს მნიშვნელოვნად მძლავრ ძაბვებს და, შესაბამისად, საჭიროებს თერმულ დამუშავებას; 2) ფირმები – „Metalltechnik Menges GmbH“ და „Heinrich Mueller Maschinenfabrik GmbH“ ლულების ნამზადის დეფორმაციას ახორციელებს მექანიკური ზემოქმედებით. ამ პროცესის დროს საცემები რადიალურად სწრაფად გადაადგილდება დოლის გარშემო, რომელიც ნელა მოძრაობს. ასეთი დამუშავებით ლითონში თითქმის არ წარმოიქმნება ძაბვები, ვინაიდან დეფორმაცია მიმდინარეობს მცირე ხარისხით, ამიტომ შემდგომ თერმულ დამუშავებას გამორიცხავენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შექმნილია საჭედი მანქანა, რომელიც განკუთვნილია ადიდვამდე მიღების და წნელების ბოლოების მოსაჭედად. მანქანაში გათვალისწინებულია როგორც ხელით, ასევე მექანიკური მიწოდება. როტაციული საჭედი მანქანის კონსტრუქციული ნახაზი მოყვანილია მე-3 სურ-ზე.

დასამუშავებელი მილნამზადი მიეწოდება დეფორმაციის ზონაში, სადაც საცემების მოძრაობა საჭირო ზომებით უზრუნველყოფს მილის ბოლოს მოჭედვას. მანქანის კონსტრუქცია მცირე მოდერნიზაციის შემდეგ გამოიყენება ლულების სამართულზე ცივად როტაციული ჭედვისათვის. ტექნიკური მონაცემებით, პრაქტიკულად იგი უზრუნველყოფს საიმედო, მაღალეფექტურ მუშაობას.



სურ. 3. როტაციული საჭედი მანქანის კონსტრუქციული ნახაზი:

1. კორპუსი; 2. ორმხარა ბერკეტის ღერძები; 3. ორმხარა ბერკეტი; 4. საცემები; 5. გორგოლაჭები; 6. ზამბარები; 7. ცოცია; 8. ცილინდრული მიმმართველი; 9. ბარბაცა; 10. ექსცენტრული ლილევი; 11. მქნეგარა ბორბალი; 12. დეველები; 13. ამბრავი დევეი; 14. ელექტროძრავა

**დასკვნა**

1. მიმოხილულია საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში საბრძოლო და სანადირო სასროლი იარაღების ლულის და მასში ხვიარა ღარების დატანის როგორც ტრადიციული, ასევე უახლესი ხერხები, მათი ურთიერთშედარებით ანალიზი ხარისხობრივი თვალსაზრისით. დადგენილია ლულების წარმოებისათვის გამოყენებული ფოლადები და სხვადასხვა ხერხით დამზადებისას მათი ტექნოლოგიური უპირატესობა;

2. მიზანშეწონილია შეიქმნას სამართულზე როტაციული ჭედვის იაფფასიანი, მარტივი და სრულყოფილი მოწყობილობა სასროლი იარაღის ლულების დამზადებისა და მათში ხვიარა ღარების დატანისათვის.

**ლიტერატურა**

1. Formation of Gun Barrels. The Patent for the Invention RU 2353461. 2008. (In English).
2. Gabrielle Wagner. The Barrel Fire-arms. Translation M. Dragunov German Weapons Journal, №2, 2013. (In English).
3. Mikautadze M.M., Nozadze A.D., Mgeladze G.N., Chivadze M.I., Minyailo E.G. The Device for Pointing the Ends of Gun Barrels. Author Certificate №1252001, 1985. (In English).

**UDC 621.73 (035)**

**SCOPUS CODE**

**RESEARCH OF TECHNOLOGICAL PROCESSES OF MANUFACTURING MUZZLES OF COMBAT WEAPON**

- |                         |  |
|-------------------------|--|
| <b>M. Mikautadze</b>    | Department of metallurgy, materials science and metal processing, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: m.mikautadze@gtu.ge       |
| <b>A. Gordeziani</b>    | Department of metallurgy, materials science and metal processing, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: a.gordeziani@gtu.ge       |
| <b>N. Kanteladze</b>    | Department of metallurgy, materials science and metal processing, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: Kanteladze.nata@yahoo.com |
| <b>N. Kenchiashvili</b> | Department of metallurgy, materials science and metal processing, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia<br>E-mail: n.kenchiashvili @gtu.ge   |

**Reviewers:**

**Z. Lomsadze**, professor, Department of metallurgy, metals science and metal processing, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: z.lomsadze@gtu.ge

**I. Kashakashvili**, professor, Department of metallurgy, metals science and metal processing, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: i.kashakashvili@gtu.ge

**ABSTRACT:** There are considered traditional and the latest methods of manufacturing muzzles of military and hunting small arms and obtaining threaded grooves produced in other developed countries. Comparative analysis of these methods in order of quality is given.

The paper covers the use of steel for the production of muzzles of small arms and their technological advantages in the manufacture of a variety of ways.

Based on the analysis of research the recommendation for developing a cheap, simple and perfect manufacturing process of muzzles and obtaining threaded grooves for small arms and related manufacturing equipment is given.

**KEY WORDS:** materials; military and hunting small arms; muzzle; technology of manufacturing; threaded grooves.

UDC 621.73 (035)

SCOPUS CODE

## ИССЛЕДОВАНИЕ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ ИЗГОТОВЛЕНИЯ СТВОЛОВ БОЕВОГО ОРУЖИЯ

- Микаутадзе М.М.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: m.mikautadze@gtu.ge
- Гордезиани А.Г.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: a.gordeziani@gtu.ge
- Кантеладзе Н.В.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: Kanteladze.nata@yahoo.com
- Кенчиашвили Н.А.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: n.kenchiashvili @gtu.ge

### Рецензенты:

**З. Ломсадзе**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: z.lomsadze@gtu.ge

**И. Кашакашвили**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: i.kashakashvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Рассмотрены традиционный, а также новейшие способы изготовления стволов боевого и охотничьего стрелкового оружия с нарезными канавками, производимого в развитых зарубежных странах. Приведён сравнительный анализ этих способов по качеству.

В работе рассмотрены используемые для производства стволов стрелкового оружия стали и их технологические преимущества при изготовлении различными способами.

На основе анализа исследований даны рекомендации по разработке дешёвого, простого и совершенного процесса изготовления стволов и получения в них нарезных канавок для стрелкового оружия, а также соответствующего оборудования.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** боевое и охотничье стрелковое оружие; материалы; нарезные канавки; ствол; технология изготовления.

UDC 621.791:762.5

SCOPUS CODE 2506

**კონტაქტური შედუღების წერტილის ადგილმდებარეობის მართვა**

- ა. **სულამანიძე** მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: artur.sulamanidze@gmail.com
- ბ. **კახიშვილი** მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: kakhishviligivi@gmail.com

**რეცენზენტები:**

**ბ. ვატიტაძე**, შპს „გაბოს“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: gabriel-vatitadze@yahoo.com

**ზ. საბაშვილი**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**ანოტაცია:** სხვადასხვა სისქის მასალების კონტაქტური შედუღებისას წერტილის ადგილმდებარეობის სიმეტრიულობის დარღვევის მიზეზების ანალიზი.

განხორციელებულია სქელ დეტალში დენის ხაზების ხელოვნური მართვა და მიღებულია სიმეტრიულად განთავსებული შედუღების წერტილი, რომელიც შეერთების მაღალი და სტაბილური ხარისხის გარანტიას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** დეტალის გეომეტრია; ელექტროდები; ელექტროკონტაქტი; თხევადი ბირთვი; ნახევარმუშა ელექტროდი; ცხელი კონტაქტი; შედუღება; შედუღების ზონა.

**შესავალი**

ელექტროკონტაქტური შედუღების ყველა ძირითადი სახეობის – პირაპირა, წერტილოვანი, გორგოლაჭოვანი (ნაკერული), რელიეფური და უშლელი შეერთებისას კომპლექსურად მიმდინარეობს ელექტრომექანიკური პროცესები და ადგილი აქვს სითბოს გამოყოფა-დახარჯვის რთულ მოვლენებს. ამასთან, დროის უმცირეს მონაკვეთში პერიოდში ერთდროულად ფუნქციონირებს როგორც მთავარ პარამეტრთა – დენი, დაწნევა, დრო, ასევე შედუღების ზონის ელემენტთა, ელექტროდთა და შესადუღებელ დეტალთა მასალის გვარობა თუ გეომეტრია. ზემოაღნიშნულთაგან შედუღების ხარისხზე მნიშვნელოვნად აღიქმება როგორც ელექტრული დენის ხასიათი – მისი გვარობა, მოქმედი რიცხვითი მნიშვნელობა, რომლის კვადრატის



პროპორციულად იზრდება ჯოჯის სიბო, ასევე შედუღების ზონის ცალკეულ ელემენტებში (დეტალებში) გამავალი დენის ხაზების გაგრძელების ხასიათი, ეპიურები.

ცნობილია, რომ შეერთების წერტილის – თხევადი ბირთვის ცხელ კონტაქტში (დეტალი-დეტალი) წარმოსაქმნელად განმსაზღვრელია არა მარტო გარდამავალ ელექტრულ კონტაქტში გამოყოფილი სიბო, არამედ მეზობელი უბნებიდან – დეტალი-დეტალი, ელექტროდები, ცივი კონტაქტები (ელექტროდი-დეტალი) მისთვის გადაცემული თუ მისგან მიღებული სიბოები [1]. ნათქვამიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი არგუმენტიც, როგორცაა დენის გავლენის ქვეშ მოქცეული შედუღების ზონის ელემენტთა ფართობი, რითაც განისაზღვრება კუთრი დენი – დენის კუთრი მნიშვნელობა ფართობის ერთეულზე. მის რიცხვით მნიშვნელობათა დასადგენად საკმარისი არაა მხოლოდ შედუღებისათვის საჭირო დენის მოქმედ მნიშვნელობათა

და დეტალთა სისქეების ცოდნა, არამედ აუცილებელია ასევე ელექტროდთშორის ზონაში დენის ეპიურათა აგება.

### ძირითადი ნაწილი

ბოლო წლებში ამ მიმართულებით საინტერესო გამოკვლევებია ჩატარებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში [2,3], რომელთა შედეგების შესწავლა-ანალიზით შეიძლება კონტაქტური წერტილოვანი შედუღების თხევადი ბირთვის წარმოქმნის ადგილის რეგულირება. აღნიშნულ ნაშრომებში წერტილოვანი შედუღების ზონა წარმოდგენილია ბრტყელი ფიზიკური მოდელის სახით (ნახ. 1, ა) და აგებულია დენის ეპიურები, კერძოდ სხვადასხვა სისქის დეტალთა კვეთებში გამავალი დენის კიდურა ეკვიპოტენციური ხაზები და დადგენილია სისქეცვალებადი დეტალის კვეთაში გამავალი დენის სიმკვრივის ცვალებადობის ხასიათი (ნახ. 1, ბ).



ნახ. 1. წერტილოვანი შედუღების ზონის გამოკვლევა მოდელირების საშუალებით:

1. ელექტროდები; 2.  $\delta_1, \delta_2$  – შესადუღებელი დეტალები განსხვავებული სისქეებით;  $d_1, d_2$  – ელექტროდთა დიამეტრები;  $\rho_1$  – მოდელის ელემენტთა კუთრი წინაღობა;  $R_{c1}, R_{c2}, R_{c3}$  – გარდამავალ კონტაქტთა წინაღობანი;  $D_1, D_2$  – დენის ხაზების ექსტრემალურ მნიშვნელობათა დიამეტრები

სწორედ ამ ბოლო ნიშნულით შეიძლება აიხსნას სხვადასხვა სისქის დეტალთა კონტაქტური შედუღების წერტილის ჩვენ მიერ დასტურებული ადგილმონაცვლეობის ხასიათი, მისი ასიმეტრიულად განლაგება ცხელი კონტაქტის მიმართ. ეს მოვლენა კი თავისთავად იწვევს ნაკერის ხარისხის შესამჩნევ გაზარდვას – შეერთების ადგილის თხევად მდგომარეობაში ჩამოყალიბების ნაცვლად მისი მყარ მდგომარეობაში მიღებით.


გამოთქმული ალბათობიდან გამომდინარე, თუ კვლევის ობიექტად მივიღებთ წერტილოვანი

შედუღების ნახევარმუშა ელექტროდით მიღებულ დიაგრამას (ნახ. 2), შეიძლება დავაფიქსიროთ სისქეთა ფართობის სამი მნიშვნელობა (ზონა):

I – ნორმალური, სისქეები თანაბარია  $\delta_1 = \delta_2$ , მაშინ წერტილი სიმეტრიულია, ე.ი.  $Z=0$ , ხარისხი კარგია;

II – კრიტიკული, სისქეთა ფარდობა ტოლია:  $1 < (\delta_2/\delta_1) < (18-20)$ , მაშინ  $Z > 0$ , ხარისხი უვარგისია.

III – ნაკლებკრიტიკული, სისქეთა ფარდობა ტოლია:  $(\delta_2/\delta_1) > (18-20)$ , მაშინაც მიუხედავად იმისა, რომ წერტილის დიამეტრი მცირეა,  $Z=0$ , ხარისხი დამაკმაყოფილებელია.




ნახ. 2. გრაფიკული დამოკიდებულება ერთ-ერთი დეტალის სისქესა და წერტილის ადგილმონაცვლეობას შორის

წარმოდგენილ განმარტებათა ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შემდგომში შესაძლებელია სისქეთა ფარდობის კრიტიკული ზონის გარდაქმნა პირველ ან მესამე ზონად. აქედან პირველი შემთხვევა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან სისქეებს ვერ გავათანაბრებთ, მაშინ გამოდის, რომ საჭიროა მეორე ზონის მესამე ზონად გარდაქმნა. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? მხოლოდ ხელოვნურად, რაც შემდეგში მდგომარეობს: მეორე ზონის სისქეთა ფარდობის შემთხვევაში, როცა  $1 < (\delta_2/\delta_1) < 18$ , სქელ დეტალში დენის კიდურა ეკვიპოტენციური

ხაზების დიამეტრი  $D_2$  (იხ. ნახ. 1) ხელოვნურად, დეტალის სისქის გაზრდელად, უნდა გავხადოთ მესამე ზონის საწყისი წერტილის ( $\delta_2/\delta_1=18$ ) შესაბამისი სქელი დეტალის დენის კიდურა ეკვიპოტენციური ხაზების –  $D_2$ -ის ტოლი (ან მეტი). ეს უკანასკნელი გამოიწვევს წერტილის სიმეტრიულობის აღდგენას (ე.ი.  $Z=0$ ), ოღონდ მცირე დიამეტრით.


პრაქტიკულად ასეთი ვარიაციების განხორციელება მიღწევადი გახდა ჩვენ მიერ დამუშავებული წერტილოვანი შედუღების სპეციალური ხერხით, ორიგინალური ელექტროდის შექმნით (ნახ. 3).



ნახ. 3. არათანაბარ სისქეთა წერტილოვანი შედუღების ელექტროდი და შედუღების ზონაში ტემპერატურის ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობა

იგი, როგორც ნახაზიდან ჩანს, სხვა საშუალებათაგან განსხვავებით [1,4], სხვადასხვა სისქის (კრიტიკულ) შემთხვევაში, შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური გახურების ადგილი სქელი დეტალის სიღრმიდან ხელოვნურად დაიძრას, გადაადგილდეს ცხელ კონტაქტში და განლაგდეს მისი სიბრტყის სიმეტრიულად.

აქ ჩამოყალიბებული მსჯელობა მკაფიოდ დადასტურდა სტუის შედუღების ტექნოლოგიითა ცენტრში ჩატარებულ ექსპერიმენტთა შედეგებით, რომლის ერთ-ერთი ნიმუშის შენადული წერტილის მეტალოგრაფია წარმოდგენილია ქვემოთ (ნახ. 4).



ნახ. 4. სხვადასხვა სისქის ნიმუშთა კონტაქტური შედუღების დროს მიღებული სიმეტრიული წერტილი  
 მასალა – უჟანგავი ფოლადის,  
 სისქეები –  $\delta_1 = 3\text{მმ}$ ;  $\delta_2 = 7\text{მმ}$

### დასკვნა

ამრიგად, მოხდა შედუღების კრიტიკული ზონის ხელოვნურად გარდაქმნა ნაკლებკრიტიკულად და ღენის არსებული საანგარიშო სიდიდის სათანადო გაზრდამ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სისქის დეტალების წერტილოვანი შედუღების მა-

ღალი და სტაბილური ხარისხის უზრუნველყოფა.

მოცემული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო სხვადასხვა სისქის დეტალების, არამედ სხვადასხვაგვარი მასალების (მათ შორის თანაბარი სისქის) წერტილოვანი შედუღებისას [2,4].

### ლიტერატურა

1. Nikolaev A.K. Some Features of Contact Welding. Journal "RITM", 2014 (in Russian), E-mail: 9511014@gmail.com
2. Sulamanidze A.K. Mathematical Approximation of Current Density Dependence from Thickness Change in Contact Welding Blank. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 151, №1, 1995, pp. 77-84 (in Georgian).
3. Sulamanidze A.K., Kakhishvili G.S. Heating of Point Welding Samples by Half-working Electrodes. Georgian Engineering Novelties , №4, vol. 75, Tbilisi, 2015, pp. (in Georgian)
4. Smirnov I.V, Sidorov V.P., Zakharenko A.S., Gilyazev E.S., Dobrovolsky V.G. The Welding Method of Elements with Big Difference in Thickness. Patent RU №2469828, 2012 (in Russian)

UDC 621.791:762.5

SCOPUS CODE 2506

### CONTROLLING THE LOCATION OF PRESSURE CONTACT WELDING POINT

**A. Sulamanidze** Department of metallurgy, metals science and metal processing, Georgian Technical University, 68<sup>ა</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

E-mail: artur.sulamanidze@gmail.com

**G. Kakhishvili** Department of metallurgy, metals science and metal processing, Georgian Technical University, 68<sup>ა</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

E-mail: kakhishviligivi@gmail.com

#### Reviewers:

**G. Vatitadze**, head of LLC "Gabo", doctor of technical sciences

E-mail: gabriel-vatitadze@yahoo.com

**Z. Sabashvili**, associated professor, Department of metallurgy, metals science and metal processing faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**ABSTRACT:** The reasons of violation of symmetric location of the pressure contact welding point of different thickness materials have been analyzed and special construction of the electrode has been worked out.

Artificial control of the current line in the thick-walled piece has been made and, as a result, symmetrically located weld point, guaranteeing high and stable quality of the joint, has been received.

**KEY WORDS:** geometry of detail; electrodes; electrical contact; hot contact; half-working electrode; liquid nucleus; welding zone;

---

**UDC 621.791:762.5**

**SCOPUS CODE 2506**

### **УПРАВЛЕНИЕ МЕСТОРАСПОЛОЖЕНИЕМ ТОЧКИ КОНТАКТНОЙ СВАРКИ**

**Суламანიძე А.К.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: artur.sulamanidze@gmail.com

**Кахишвили Г.С.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: kakhishviligivi@gmail.com

#### **Рецензенты:**

**Г. Ватитадзе**, доктор технических наук, директор ООО «Габо»

E-mail: gabriel-vatitadze@yahoo.com

**З. Сабашвили**, ассоц. профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: z-sabashvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Проведён анализ причин нарушения симметричного расположения точки контактной сварки разнотолщинных материалов и разработана конструкция специального электрода.

Осуществлено искусственное управление линией тока в толстостенной детали и получена симметрично расположенная сварная точка, гарантирующая высокое и стабильное качество соединения.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** сварка; жидкое ядро; горячий контакт; электроконтакт; геометрия детали; электроды; зона плавления; полурабочий электрод.

UDC 666.293.5.4:004.14

SCOPUS CODE 2508

**მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურობის ამაღლებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება**

- ი. ბერძენიშვილი** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: i\_berdzenishvili@gtu.ge
- მ. სირაძე** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: manana.siradze@yahoo.com

**რეცენზენტები:**

- ჯ. შენგელია**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: j.shengelia@gtu.ge
- თ. ლოლაძე**, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი  
E-mail: t.loladze@gtu.ge

**ანოტაცია:** შემოთავაზებულია კონკურენტუნარიანი ანტიკოროზიული ერთშრიანი მინანქრების შექმნის ახალი ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელიც ინფრასტრუქტურული მეგაპროექტების ეფექტურობის ამაღლებაზეა ორიენტირებული. სტატიაში წარმოდგენილია მილსადენი კონსტრუქციების ქცევის აღმწერი მათემატიკური მოდელი. შედარებულია “შავი” (დანაფარის გარეშე) და ანტიკოროზიულდანაფარიანი მილების საექსპლუატაციო პარამეტრები.

**საკვანძო სიტყვები:** დანაფარი; ეფექტურობა; ინფრასტრუქტურული პროექტები; მილსადენი; მინანქარი.

**შესავალი**

საქართველოს მდგრადი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე. მსოფლიო მნიშვნელობის მილსადენები საქართველოს აძლევს არა მარტო ეკონომიკურ ეფექტს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელიცაა, რაც ძალისხმევას გაძლიერებას მოითხოვს ახალი მეგაპროექტების რეალიზებისათვის [1-3].


ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალზე აქტუალურია გაზსადენი სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეების თუ შესაძლო რისკების შეფასება და, სადაც ეს შესაძლებელია, აღმოიფხვრას ან მინიშ-

მამდე შემცირდეს მილსადენის მთელ სიგრძეზე არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რისკ-ფაქტორების გავლენით გამოწვეული ეკოლოგიური ზიანი და სხვა უარყოფითი შედეგები.

მილსადენ სისტემებზე საფრთხის შემცველი რისკ-ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი სხვადასხვაა. აშშ-ის მაგისტრალური მილსადენების დეპარტამენტის (PHMSA) მიერ ნახშირწყალბადე-

ბის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საიმედოობის დასადგენად ჩატარდა სტატისტიკური დაკვირვებები კანადაში, ევროპასა და ამერიკაში [4, 5].

მილსადენებზე ავარიების წარმოშობისა და მათი მიზეზების კანონზომიერებების დასადგენად შესწავლილ იქნა მილსადენი ობიექტების გარემო პირობები და მტყუნების მიზეზები (ნახ. 1).



ნახ. 1. კანადის გაზსადენებზე მომხდარი 46 რღვევის ძირითადი მიზეზები (1984–2004 წწ.)

კვლევებით დადგინდა [4], რომ კანადის გაზსადენ სისტემებზე მომხდარ ავარიათა უმეტესი ნაწილი (50%) გამოწვეულია კოროზიით, რომელიც ძირითადად მოდის მილების კოროზიულ დასკდომაზე. მილსადენი ტრანსპორტის ანტიკოროზიული დაცვის საკითხი სულ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება საქართველოსთვისაც.

**ძირითადი ნაწილი**

ბუნებრივი აირით მომარაგების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საიმედოობა შეიძლება მიღწეულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. კოროზიისაგან ხანგრძლივი დაცვის თვალსაზრისით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სილიკატური მინანქრების გამოყენება მსოფლიო სტანდარტი გახდა [3, 6, 7].

მიღებული გამოცდილების საფუძველზე ფოლადის მიღების მომინანქრების უახლესი ეკონომიკურად მომგებიანი “Direct” ტექნოლოგიისათვის შექმნილია მაღალტექნოლოგიური ერთშრიანი მინანქრების თანამედროვე სისტემა [7, 8] (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**ერთშრიანი დანაფარების შედგენილობა (მას. %)**

შედგენილობა	მას. %
$\sum(\text{SiO}_2 + \text{ZrO}_2 + \text{TiO}_2)$	50,7 – 60,8
$\sum(\text{Al}_2\text{O}_3 + \text{B}_2\text{O}_3)$	8,7 – 13,1
$\sum(\text{SrO} + \text{CaO} + \text{MgO})$	9,3 – 13,9
$\sum(\text{Na}_2\text{O} + \text{K}_2\text{O})$	18,4 – 21,2
$\sum(\text{Co}_2\text{O}_3 + \text{CuO})$	1,1 – 2,1

დანაფარებს ახასიათებს გლუვი ზედაპირი, სასურველი სისქე, კარგი ადჰეზია, უფორობა და სხვა. დაბალტემპერატურული უგრუნტო მინანქრები, რომელთა სიახლე დაცულია საქართველოს პატენტებით, არ შეიცავს ტოქსიკურ ფთორს, ტრადიციულ ძვირად ღირებულ ნიკელსა და ლითიუმს, მისი ზედაპირის ხარისხი და საექსპლუატაციო პარამეტრები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს (ცხრილი 2).

ახალი მასალების თვისებათა ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ მინანქარი პრაქტიკულად სრულად აკმაყოფილებს დამცავი დანაფარების სადმი წაყენებულ ნორმებს: მინისებრი დანაფარი ექსტრემალურ პირობებში გამოცდისას მუავა- და ტუტემდეგია, მტკიცეა მექანიკური მოქმედების მიმართ (კუმშვის მიმართ წინაღობის ძალა ისეთივე აქვს, როგორც, მაგალითად, თუჯს), მაღალი შეჭიდულობით ხასიათდება და მნიშვნელოვნად ხანმდეგია.

ცხრილი 2

**შექმნილი მინანქრების საექსპლუატაციო პარამეტრები**

№	თვისება	პარამეტრი
1	მუავამდეგობა, ISO 2743	0,12-0,14 მგ/სმ <sup>2</sup>
2	ტუტემდეგობა ISO 2745	0,21-0,32 მგ/სმ <sup>2</sup>
3	წყალმდეგობა დულილისას, ISO 2744	0,003-0,004 მგ/სმ <sup>2</sup>
4	თერმომდეგობა, DIN 51167	230-250°C
5	დარტყმამდეგობა, GOST 3-17-48-98	5,1-5,6 ჯ
6	სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას, GOST 3-17-48-98	1500-1600 მპა
7	მიკროსისალე	6800 მპა
8	ცვეთამდეგობა, DIN 51152	0,7-0,8 მგ/მ <sup>2</sup>
9	ფრიტის კუთრი ელექტროწინაღობა, ρ <sub>293</sub>	≥ 10 <sup>10</sup> ომ•მ
10	ადჰეზიური სიმტკიცე, EN 10209	1-2 ბალი

მოყვანილი შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ თხელი 450 მკმ სისქის მქონე უგრუნტო მინანქარი საუკეთესო ელექტროსაიზოლაციო მახასიათებლებით (ρ<sub>293</sub> ≥ 10<sup>10</sup> ომ•მ) გამოირჩევა.

მათემატიკურად შეფასებული და შედარებულია ფოლადის (დანაფარის გარეშე) და გაერცვლებული ანტიკოროზიულდანაფარიანი მილების ექსპლუატაციის ვადის ხანგრძლივობის ალბათობა და ეფექტურობა, მათი ექსპლუატაციის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნა მათემატიკური მოდელების აგების პრინციპები და მეთოდები.

შემოთავაზებული მათემატიკური მოდელი შემდეგ ფიზიკურად მკაფიო წარმოდგენებს ეფუძნება: ვინაიდან მილსადენთა სისტემა არის არა-

რეზერვირებული, იგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მასობრივი მომსახურების ერთხაზოვანი სისტემა λ მტყუნებათა მუდმივი ინტენსიურობით [9]. ასეთი სისტემისათვის მზაობის ფუნქცია შეუფერხებელი მუშაობის ალბათობის ფუნქციას ემთხვევა:

$$K_n(t) = P_n(t) ,$$

ხოლო გაცდენის ფუნქცია – მტყუნების ალბათობას:

$$k_n(t) = P(t) .$$

კოლმოგოროვის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის თანახმად:

$$\frac{dP_0(t)}{dt} = -\lambda P_0(t) + \mu P_1(t) ;$$

$$\frac{dP_1(t)}{dt} = \lambda P_0(t) - \mu P_1(t),$$

სადაც  $\mu = 1/T_s$  არის პარამეტრი, რომელიც სისტემის აღდგენით უნარს ახასიათებს ( $T_s$  – აღდგენის საშუალო დრო).


მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მინისებრი დანაფარი მილსადენის ექსპლუატაციის ვადის ხანგრძლივობას 40–45 წლამდე ზრდის და იგი დღეს ყველაზე ეკონომიკური საშუალებაა. „შავი“ ანუ ფოლადის მილების ექსპლუატაციის ვადა არ აღემატება 2–3 წელიწადს, ორგანულდანაფარიანი მილებისა – 10–15 წელიწადს. „ლითონი – მინანქარი“ კომპოზიციის

ეფექტურობა ასევე ძალზე მაღალია, ვინაიდან შეუფერხებელი მუშაობისას სისტემის ყოფნის ალბათობა ( $P_i$ ) მნიშვნელოვნად ჭარბობს. ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელი

$$E = \sum_{i=1}^s E_i P_i,$$

სადაც  $s$  შეუფერხებელი მუშაობის მდგომარეობათა რაოდენობაა,  $E_i$  – ეფექტურობის პირობითი მაჩვენებელი.

ფოლადის მილების (დანაფარის გარეშე) და ანტიკოროზიულდანაფარიანი მილების საექსპლუატაციო პარამეტრები მოცემულია მე-2 ნახ-ზე.



ნახ. 2. „შავი“ და ანტიკოროზიულდანაფარიანი მილების საექსპლუატაციო პარამეტრები

უნდა ითქვას, რომ ციფრობრივი მაჩვენებლები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. მიღებული შედეგების საიმედოობა და საფუძვლიანობა განპირობებულია მდგომარეობათა ალბათობებისათვის კარგად აპრობირებული სისტემური ანალიზის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

### დასკვნა

ამგვარად, შემოთავაზებული ეფექტური დამცავი სტრატეგიის მეშვეობით მიღწევა: მილსადენის

ექსპლუატაციის ვადის ხანგრძლივობის გაზრდა (7-ის ნაცვლად, სტანდარტის მიხედვით) 45 წლამდე, რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება, მილების კონკურენტუნარიანობა და თვითღირებულების შემცირება, მილსადენის ჰიდროდინამიკური მახასიათებლების უცვლელობა.

რეკომენდებულია ფოლადის მომინანქრებული მილების გამოყენება მილსადენი სისტემების მშენებლობისათვის.

## ლიტერატურა

1. [http://for.ge/view.php?for\\_id=29994&cat=1](http://for.ge/view.php?for_id=29994&cat=1). S. Pavliashvili. Features of Development Georgia, as a Transport Corridor. 2014-01-26 p.
2. <http://ge.bp.com/go/doc/1335/145153/-BTC>.
3. Korshak A. A. Nechval A.M. Pipe-line Transport of Oil, Oil Products and Gas. - Ufa: Design Printing Services, 2005. 516 p. (In Russian).
4. ASM Handbook Volume 13C, Corrosion: Environments and Industries (ASM International) 2006 pp. 1026-1036. (In English).
5. National Energy Board. [2008, July]. Focus on Safety and the Environment. A Comparative Analysis of Pipe-line Performance, 2000 – 2006. (In English).
6. Smirnov L.A. How to Create a Safe Protection for Pipes and Equipment in the Oil Industry // Eurasian Metals, 2002, № 10. - pp. 38-39. (In Russian).
7. Berdzenishvili I.G. Functional Corrosion-Resistant Enamel Coatings and Their Adherence Strength. //Acta Physica Polonica A, 2012, vol.121, №1, pp.178-180. (In English).
8. Georgian patent P4765. I. Berdzenishvili. Frits for direct on vitreous coatings. Official Bulletin of Industrial Property, 2009, 04.10, #7. (In Georgian).
9. Probabilistic Methods in Computer Science. Under edition of Lebedev A. N. and Cherniavsky E. A. M. .: Higher School, 1986. 312 p. (In Russian).

UDC 666.293.5.4:004.14

SCOPUS CODE 2508

## ORIENTED SOLUTION INCREASE THE EFFICIENCY OF MAJOR INFRASTRUCTURE PROJECTS

- I. Berdzenishvili** Department of Chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: i\_berdzenishvili@gtu.ge
- M. Siradze** Department of Chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia  
E-mail: manana.siradze@yahoo.com

### Reviewers:

**J. Shengelia**, professor, Department of chemical and biological technologies, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: j.shengelia@gtu.ge

**T. Loladze**, associated professor, Department of chemical and biological technologies, faculty of chemical technology and metallurgy, GTU

E-mail: t.loladze@gtu.ge

**ABSTRACT:** There is proposed the new technical solution in the creation of competitive anticorrosive direct enamel coatings, significantly improving the efficiency of infrastructure mega-projects. In the paper there is described the mathematical model to estimate the behavior of pipe-line constructions. The operating parameters of “black” (non-coated) and coated pipes are compared.

**KEY WORDS:** coating; efficiency; enamel; infrastructure projects; pipe-line.

UDC 666.293.5.4:004.14

SCOPUS CODE 2508

## РЕШЕНИЕ, ОРИЕНТИРОВАННОЕ НА ПОВЫШЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ КРУПНЫХ ИНФРАСТРУКТУРНЫХ ПРОЕКТОВ

**Бердзенишвили И.Г.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: i\_berdzenishvili@gtu.ge

**Сирадзе М.Г.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: manana.siradze@yahoo.com

### Рецензенты:

**Дж. Шенгелия**, профессор Департамента химической и биологической технологий факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: j.shengelia@gtu.ge

**Т. Лоладзе**, ассоц. проф. Департамента химической и биологической технологий факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: t.loladze@gtu.ge

**АННОТАЦИЯ:** Предлагаются новые технические решения в создании конкурентоспособных антикоррозионных однослойных эмалевых покрытий, значительно повышающие эффективность инфраструктурных мегапроектов. В статье приведена математическая модель, описывающая поведение трубопроводных конструкций. Сопоставлены эксплуатационные параметры «черных» (без покрытия) труб и труб с покрытиями.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** инфраструктурные проекты; покрытие; трубопровод; эмаль; эффективность.

## ავტორთა საძიებელი

### Author's index

### Указатель авторов

ალელიშვილი მ. 43	მეტრეველი მ. 18	ჯაყელ-ხუნდაძე ზ. 55
არაბიძე გ. 68	მიქაუტაძე მ. 110	Khutsishvili M. 93
ბერძენიშვილი ი. 122	სირაძე მ. 122	Loladze T. 88
გაბარაევი უ. 9	სულამანიძე ა. 31, 84, 116	Maisuradze N. 88
გელაშვილი ე. 43	ფაილოძე ნ. 9	Mikadze O. 88
გორდეზიანი აღ. 110	ფხალაძე ი. 68	Nakhutsrishvili I. 88
თუშურაშვილი პ. 43	ქერქაძე ჯ. 31	Shengelia L. 93
იოსელიანი ა. 55	ჩიჯავაძე ნ. 50	Верулашвили Ф.Г. 78
კანთელაძე ნ. 110	ჩორგოლაშვილი დ. 43	Кашакашвили Г. Б. 99
კახიშვილი გ. 116	ჭეიშვილი თ. 37, 50	Кашакашвили И. Г. 99
კენჭიაშვილი ნ. 110	ხიტირი გ. 26, 31	Кашакашвили Б. Г. 99
კობალაძე ნ. 43	ხოტენაშვილი ბ. 18	Турашвили В.Ш. 78
კოკილაშვილი რ. 26, 31	ხუჭუა თ. 43	Хазарадзе О.Г. 78
ლაბაძე რ. 31	ჯავაშვილი ზ. 37	
მეტრეველი ა. 84	ჯაფარიძე დ. 55	

## ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეფერირებადი ჟურნალი, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე – 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე – 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე – 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატია მიიღება ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე და ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები ახალი მეცნიერული კვლევების შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- მშენებლობა
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ბიზნესინჟინერინგი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით A4 ფორმატის ქაღალდზე, არანაკლებ 4 გვერდისა (არეები – 2 სმ, ინტერვალი – 1,5). თანდართული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ლიტერატურის სია;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს doc ან docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnux შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტისთვის – Times New Roman, ზომა 12;
- სტატიის ქუდი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - უაკ-ს (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია)
  - SCOPUS CODE (სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორი. ხელმისაწვდომია საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტში“)
  - ავტორის (ავტორების) სახელს, მამის სახელს, გვარს
  - ავტორის (ავტორების) ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს
  - დეპარტამენტის დასახელებას
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს ნებისმიერ გრაფიკულ ფორმატში, გარჩევადობით არანაკლებ 150 dpi-სა;
- სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია და საკვანძო სიტყვები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, მართლმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ორი რეცენზია
- რეცენზიის გაფორმების წესი იხ. [http://publishhouse.gtu.ge/site\\_files/recenziis\\_nimushi.docx](http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx)
- ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი.

## To the authors attention!

Transactions of Georgian Technical University represent reviewed, periodical edition, which is published four times a year. (the first number includes the period from 1 January to 31 March, the second number - from 1 april to 30 June, the third number - from 1 July to 30 September and the fourth - from 1 October to 31 December).

Purpose of collection is assistance of science development, new achievements of scientists and specialists, operative publication materials and results of scientific researches.

The articles are accepted in Georgian, English and Russian languages (are published in original language).

The publication of articles for the workers of Georgian Technical University is free of charge.

The amount of author's article mustn't exceed 3.

In transactions are published articles about results of new scientific researches according to the following theoretical and applied sphere of a branch:

- Building
- Energetics, telecommunication
- Mining-geology
- Chemical technology, metallurgy
- Transport, engineering industry
- Architecture, urbanist, design
- Business-engineering
- Informatics, systems of management
- Agrarian sciences and biosystems engineering

There is offered the rule of official registration of scientific articles:

- The volume of a work is determined with A4 paper size, no less than 4 pages (margins - 2cm, line spacing -1,5) and with a list of references;
- The article should be carried out in form file doc, docx (MS WORD), written down on any magnetic carrier.
- For Georgian text there is used Acadnux font, size 12;
- For English and Russian texts there is used font - Times New Roman, size 12;
- The beginning of the article should contain the following informations:

- UDC (Universal Decimal Classification)
  - SCOPUS CODE (Science Journals Classification. Available at Publishing House GTU)
  - Name, surname of author (authors)
  - E-mail and contact telephone of author (authors)
  - The name of department in all three languages
- In the article with subtitles should be isolated the introduction, the body of the article and the conclusion;
  - Computer version of pictures or photos must be done in any graphic format with the recognition no less than 150 dpi;
  - The article should have abstract and key words in Georgian, English and Russian languages;
  - The article should be written correctly, with the observance terminology, without stylistic and grammatical mistakes;
  - Author (authors) is (are) responsible for content and quality of article.

There is offered the following documentation for the article presentation:

- Two reviews  
See how to write a review [http://publishhouse.gtu.ge/site\\_files/recenziis\\_nimushi.docx](http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx)
- Minutes of the Faculty's Sectoral Committee Meeting, Educational and Science Literature

## К сведению авторов!

Сборник научных трудов Грузинского технического университета является реферируемым периодическим изданием, которое выходит в свет четыре раза в год (первый номер включает период с 1 января по 31 марта, второй номер – с 1 апреля по 30 июня, третий номер – с 1 июля по 30 сентября и четвертый – с 1 октября по 31 декабря).

Назначение сборника – содействие развитию наук, новых достижений ученых и специалистов, оперативная публикация материалов и результатов исследований.

Принимаются статьи на грузинском, английском и русском языках (публикуются на языке оригинала).

Для сотрудников Грузинского технического университета статьи публикуются бесплатно.

Количество авторов статьи не должно превышать 3.

В сборнике печатаются статьи, касающиеся результатов новых исследований по следующим теоретическим и прикладным отраслям:

- Строительство
- Энергетика, телекоммуникации
- Горное дело-геология
- Химическая технология, металлургия
- Транспорт, машиностроение
- Архитектура, урбанистика, дизайн
- Бизнес-инженеринг
- Информатика, системы управления
- Инженеринг аграрных наук и биосистем

Предлагаем порядок оформления научных статей:

- Объем работы определяется форматом бумаги А4 с интервалом 1,5, содержащей не менее четырех страниц (поля = 2см), со списком литературы.
- Статья должна быть выполнена в виде файла doc или docx (MS Word), записанного на любом магнитном носителе.
- Для грузинского текста используется шрифт Acadnusx, размер 12.
- Для английского и русского текстов – шрифт Times New Roman, размер 12.
- В начале статьи должна содержаться следующая информация:

- УДК (Универсальная десятичная классификация).
  - SCOPUS CODE (Классификатор научных журналов, который доступен в «Издательском доме ГТУ»)
  - Фамилия, имя, отчество автора (авторов).
  - Адрес электронной почты автора (авторов) и контактный телефон.
  - Название департамента на трех языках.
- В статье подзаголовками следует выделить введение, основную часть и заключение.
  - Компьютерный вариант рисунков или фото должен быть выполнен в любом графическом формате распознаваемом не менее 150 dpi.
  - Статья должна иметь аннотацию и ключевые слова на грузинском, английском и русском языках.
  - Статья должна быть написана грамотно, с соблюдением терминологии, без стилистических и грамматических ошибок.
  - Автор (авторы) ответствен за содержание и качество статьи.

Для представления статьи необходимы следующие документы:

- Две рецензии  
Оформление порядка рецензии см. [http://publishhouse.gtu.ge/site\\_files/recenziis\\_nimushi.docx](http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx)
- Выписка из протокола заседания отраслевой комиссии научно-учебной литературы факультета.

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 23.10.2015. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.2015. ქალაქის ზომა  
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,  
scripta manent